ლიტერატურული გაზეთი

№6(190) 24 მარტი - 6 აპრილი 2017 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 80 თეთრი

ინტერვიუ
გიორგი ლობჟანიძე

პროზა
ირაკლი სამსონაძე
ბექა ბერულავა

პოეზია
ბაღათერ არაბული
ნინო ნასყიდაშვილი
თენგიზ სვანიძე

ჩანაწერები
ირაკლი ლომოური

ესე
როსტომ ჩხეიძე



ჯარჯი ფხოველი

გველიბრი

არ გაგექცევი: ისევ მე ვარ ის,
ვინც მიახატავს მწუხრის სავანეს
იმ ლოცვას, რასაც შენი მძლევარი:
გულში გაზრდილი გველი გავალებს...

არ გაგექცევი: ისევ მე ვარ ის,
ვისაც ავდარდის წვეთებს აკმევენ,
ამ უსაშველო ღამის მთევარი
გულზე რომ ითვლის გველის ნაკბენებს...

ვხედავ: აქ შენი ხმები არ ხმება:
მწუხრმა ამინთო სანთლად ეს სხივი...
სულ მალე შემჩქვეფს ავი ნახმევი
გულში გაზრდილი გველის გესლივით...

ილოცავ, იტყვი: ღმერთო მაღალო,
ამ ღამით ჩემი გული რაც ღებე,
ესეც შხამია: დღეს რო დაღალულს
მითვლი ავსიტყვებს, ცრემლით ნაცხებებს.

გადაგინათებს ელვის ნაფაზი
ცას, სადაც ჩემი სიტყვა იქორებს...
ილოცავ, დათვლი გულის დაფაზე
გველის დაკბენილ მწარე სტრიქონებს!

V

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

ზამთარი. პარასკევი.

კიბის საფეხურები. ძველი. მოაჯირი. ხელი მოაჯირს, კიბის საფეხურებით ქვემოთ, ჩქარა აქედან — შინ! მოსასხამი არ დამავიწყდეს, ქუჩაში შემნიშნავენ; შეყოვნება კიბეზე, ხელი მოსასხამის სახელოში, ერთი-მეორე, ჩანთა მხარზე, ფეხი კიბეზე, ჩქარა აქედან, ჩქარა აქედან — შინ! შინ — საპონი და მდუღარე, მდუღარე წყალი. ჩამორეცხავს, მომაშორებს. საფეხურები — მოწითალო. საფეხურებით — ქვემოთ. გამაუპატიურა, თუ მივეცი? გამაუპატიურა, თუ მივეცი? გამაუპატიურა? ჰო. მივეცი? ჰო. ერთიც, მეორეც. ღირსი ხარ, დეა! ღირსი ხარ, დეა! — 1704-ე მეგობარმა სამ ბიძგში გიხმარა და უნდა ჩამოირეცხო ახლა და შინ, შინ, შინ — საპონი, შამპუნი, ქაფი, ღრუბელი სიწითლემდე გამიხეხავს კანს და მდუღარე წყალში და ჩამორეცხავს ალბათ, მომაშორებს ალბათ. ალბათ კი არა, აუცილებლად, ჰო, ჰო, ჰო, თორემ დარჩენილი ცხოვრება ნიკოს შავი ძაღლის სუნით გამეჟღინთება, იმიტომ რომ, ნიკო თავის ძაღლს დაემსგავსა. უკიდურესად დაემსგავსა, უკიდურესად და რა ამაზრზენი ფერი აქვს კიბეს — გახუნებული მოწითალო, აქერცლილი მოწითალო, ნახმარი მოწითალო და — გამაუპატიურა, თუ მივეცი? გამაუპატიურა, თუ მივეცი? ნაბიჯი მოწითალოზე, კარი ჭრიალით, — ზამთარში! შეცისფრებულ ზამთარში ქუჩა. მაღაზიიდან შუქი. მაღაზიასთან ქურთი სეირანა მოკლე ჯუბით, სპორტული შარვლით, სიგარეტით, დაკვირვებული მზერით ჩემკენ. რატომ ასეთი დაკვირვებული მზერით? შენძრეულისერთი მოხუცი ქალი დაკვირვებულად ჩემკენ — ამ სადარბაზოში რა უნდოდაო, ალბათ, ფიქრობს. გავუღიმოთ უნდა. ვითომც არაფერი, ვითომც არაფერი, მაღლა, აივნიდან ყეფა. ჩიბია? ფუჰ, შენი! — გამარჯობა, დეიჩკა! — მიღიმის სეირანა. თავს ვუქნევ, ვუღიმი, მაგრამ ჩიბის ყეფა მომყვება და — გავუღიმე? ვითომ გავუღიმე? მგონი, ჰო, გავუღიმე. ავცდი. ჩავუარე. თვალს მაყოლებს სეირანა? ალბათ. რამდენი ნაბიჯი იქნება ჩემს სადარბაზომდე? 40-50-60. მიყურებს სეირანა? ალბათ. ჩიბი აღარ ყეფს. კარგია. წინ ჩორნა ნიკო მობუზულად თავის ჭიშკართან. სიგარეტს მთხოვს უეჭველად. არ გავჩერდები, ვერ გავჩერდები, სეირანას თხოვოს სიგარეტი, მაგრამ სეირანა არ მისცემს სიგარეტს, იცის. ამ ჩემს ფეხებს. სხვას გამოართვას. ვერ შევყოვნდები, არ შემიძლია, შინ, ჩემთან, სადაც სააბაზანოა, წყალია, საპონია, ღრუბელია, — შინ! გამაუპატიურა, თუ მივეცი? გამაუპატიურა, თუ მივეცი? შინ გავარკვიოთ რა და როგორ — შხაპის შემდეგ, მდუღარე წყლის შემდეგ, ბევრი საპნის, ბევრი შამპუნის შემდეგ გავარკვიოთ, რა და როგორ, ახლა შინ — ჩქარა! მეგობრობით შემომიტყუა ახვარმა, კარგი მსახიობი ხარო, შენს ფანად მიგულეო, შემომიტყუა, მაჭამა, მაგრამ მაჭამა კი? ბინაში რატომ ავაკითხე?! რატომ, დეა, რატომ ბინაში და არა კლინიკაში, დეა, რატომ, რატომ, რატომ და იმიტომ, რომ სულელი ხარ, ჰო, იმიტომ, რომ მზად იყავი გეჭამა და ჭამე კიდეც, დაუჯერე, თითქოსდა კერძო პრაქტიკაც აქვს და ბინაში იღებს პაციენტებს და დაუჯერე კი არა, იმან აგაგდო, კარგი მსახიობი ხარო, შენს ფანად მიგულეო და ავარდი ამაზე და ესე იგი, კი არ გაგაუპატიურა, ძალიან მარტივად მიეცი, ჰო, მიეცი, მაგრამ ამაზე მერე, შხაპის შემდეგ, ბევრი მდუღარე წყლის შემდეგ და მაინც, მაინც, მაინც არ ვიცი — იქნებ გამაუპატიურა კიდეც, გამაბრუა და გამაუპატიურა, თუ დამაჰიპნოზა, თუ არ ვიცი, ჯერაც ვერ გამიგია, ოღონდ ამაზე მერე, მერე, მერე გავარკვიოთ, რა მოგიწყო დანევროზებულმა ნევროპათოლოგმა, ვინც პატარა ბიჭივით, ჰო, პატარა ბიჭივით, უნახავივით ათავებს მესამე ბიძგზე და მერე ცრემლით ევსება თვალები, ტირის. ფუჰ, შენი! — მეგონა, ვნადირობდი, თურმე ის ნადირობს ჩემზე. ახვარი ეგ, ჩემი ფანი ვითომ; ჩაქუჩი წაიღეო, ჩაქუჩი ხომ გინდოდა, ჩაქუჩიო! — გაითხარე-მეთქი შენი ჩაქუჩი, გაითხარე-მეთქი! — მივაძახე, წამლები მივუყარე იქვე, შემოსასვლელში, დავავლე მოსასხამს ხელი და გამოვიჭერი იმ დაწყევლილი ბინიდან. კიდე რა მახსოვს? მახსოვს, ჰო, მახსოვს, მაგრამ არ მინდა, მახსოვდეს, ოღონდ ამაზე მერე, მერე, აბაზანის შემდეგ, — ახლა შინ! ჩორნა ნიკო მობუზულად. გავუღიმოთ ჩორნას. უნდა გავუღიმოთ ჩორნას. გავუღიმე? მგონი. ორი თითი მიაქვს ტუჩებთან. არა, ვერა, ვერ გავჩერდები, არ მაქვს სიგარეტი, შინ, რათა გავთავისუფლდე იმისგან, რაც ჩამიტოვა და ჩამოვირეცხო, მოვიშორო და დავფიქრდე, რა გადამხდა ახლახანს. ხელი სადარბაზოს კარს. კარი ჭრიალით. ფეხი კიბეზე, ამ პატარა ქუჩაზე ყველა სადარბაზოში აქერცლილი კიბეა. იმ ახვართან გახუნებული მოწითალო, ჩემთან გახუნებული მომწვანო, ნახმარი მომწვანო, ძველი. ძველი კიბე. ძველი მოაჯირი. ხელი მოაჯირს. საფეხურებით მაღლა, ჩემი ბინისკენ, სადაც წყალია, ღრუბელია, საპონია და სადაც ჩამოვიბანი, მოვიშორებ და ჰო, გადავიტან, როგორმე გადავიტან, როცა მოვიშორებ და მერე ვნახოთ, შე ახვარო, მერე ვნახოთ, შე ახვარო, მერე, ჰო, მერე, ახვარო, მერე ვნახოთ. ხელი ჩანთაში. გასაღები. გასაღები საკეტში. შინ. შემოსასვლელის სარკეში — მე, შეშლილი — მე, ცუდი — მე, ბინძური — მე, დასაბანი — მე. მოსასხამი, ფეხსაცმელები შემოსასვლელში, სააბაზანოს კარი, სააბაზანოში. თეთრი კაფელი. საშხაპე. ამ კაბას, ლიფს, ტრუსს ჩემი სირცხვილი ახსოვთ. იქ, სარეცხის მანქანაში, იქ გამოიხარშონ, იქ გამოიფუფქონ, იქ, ჰო, იქ დაივიწყონ, რაც გადამხდა. მე, შიშველი — მე, ცუდი — მე, ჩემი ჯერია. ხელი ონკანისკენ. წყალი. გრილია. უფრო ცხელი — ასეე, ასეე, წაიღოს ის, ის, ის წაიღოს და ფუჰ, შენი! წადი, წადი, წყალს გაყევი, ჩაყევი აბაზანის მილს, გამშორდი, რათა დავივიწყო, გავთავისუფლდე და დავივიწყო, რაც მოხდა და არ მინდა, მახსოვდეს და ჰო, ახლა უფრო გავაცხელოთ, — ასეე, ასეე. შამპუნი თავზე, ქაფი — ბევრი, ღრუბელი წყალში, სველი ღრუბელი საპნით, — ასეე, ასეე, საპნიანი ღრუბელი სხეულზე, მაგრად, უფრო მაგრად, გაიხეხოს, გამოიბუგოს ჩემი სირცხვილი და გამწოვმა გაიწოვოს, აბაზანის მილმა წაიღოს რომელიღაც მდინარემდე, მდინარემ — რომელიღაც ზღვამდე, სადაც ბევრი, ბევრზე-ბევრი წყალია და იქ ჩაიკარგება, იქ ჩაიხრჩობა, იქ ჩაკვდება, ჩემი კანი კი სიწითლემდე, გატყავებამდე ამ საპნიანი ღრუბლით, ასეე, ასეე, აი, ასეე — ჩემი სხეული ამ დამდუღრული წყლით გაიწმინდება — ასეე, ასეე, აი, ასეე, და ჰო, ჰო, ჰო — დამწვას, დამფუფქოს, მსუყე ორთქლში გამოიხარშოს, ოღონდ წაიღოს. ჰოო, შენი! ჰოო, შენი! ჰუუჰ, ასეე და ჰო — ახლა გამეცალა, ვიცი; ახლა შეიძლება წყლის განელება, ვიცი. ახლა უფრო მშვიდად, დეა, უფრო მშვიდად ბევრი წყლის ქვეშ, დეა, სადაც სიმყუდროვეა, სიმშვიდეა და ჰო, სიმშვიდეა, როცა წყლის ქვეშ და თანაც ხანგრძლივი პაუზის უფლებით ტვინში. ჰოოო, ჰოოო, ჰოოო — წყალი ასუფთავებს, ჰოოო, ჰოოო, — გადავიტან, უკვე ვიცი, ჰოოო, აუცილებლად გადავიტან, რადგან წაიღო წასაღები,წყალი დამდის და წყლის ქვეშ ხანგრძლივი პაუზის უფლებით ტვინში, — ჰოოო, ჰოოო, ჰოო — წყალი ასუფთავებს. ჰოო, ჰოო, — გადავიტან, ჰო, სიმშვიდე. ჰო, ჰო, ჰო, სიმშვიდე, ჰო — ხელი ონკანის საკეტს, საკმარისია, მე — ორთქლში; მსუყე, ცხელ ნისლში, ხელი ვარაუდით პირსახოცისკენ. პირსახოცი. პირსახოცით. სიცხე. სიცხეში — მე. სიცხეში ოფლის მომცრო წვეთები ჩემს სხეულზე, მაგრამ ამ ოფლის წვეთებს სირცხვილის ის სიმლაშე, წყალმა რომ წაიყოლა რომელიღაც ზღვისკენ, უფრო მშვიდად ახსოვთ. ხელი უჯრისკენ. სუფთა საცვალი — ჩემზე. ხალათი. ფლოსტები, ჰო — ასე. ხელი კარს. ღია კარიდან მსუყე ნისლებად გაზიდული ორთქლი ჩემი ბინის ატმოსფერულ წნევაში, მე — ჩემი ბინის ატმოსფერულ წნევაში, სადაც ფანჯრის ღრიჭოებიდან ზამთრის ანასხლეტები იჭრებიან, აბაზანიდან კი მსუყე ნისლები ნებიერი სიზანტით ლაგდებიან ფთილა-ფთილა ღრუბლებად. ჩემი სივრცეა. ჩემს სივრცეში სიგარეტი, სანთებელა, ნაფაზი — ღრმა, ნაფაზი — ღრმა, ნაფაზი — მშვიდი. ჩემგან გამოსუნთქული კვამლი ფთილა ღრუბლებისკენ. მე — სავარძელში. მშვიდად, დეა, მშვიდად, ისეთი არაფერი გადაგხდენია, რისგანაც ქალია დაზღვეული. უბრალოდ, შენთვის მაინც უნდა გაარკვიო, გაუპატიურებული ხარ, თუ შენს მოლოდინში გაბითურებული. სამომავლოდ გჭირდება ამის ცოდნა. რატომ? თუნდაც იმიტომ, რომ შუალედი არ არსებობს. თუმცა, ვინ იცის, იქნებ არსებობს კიდეც შუალედი და იქ, იმ შუალედში ამოვრგე თავი? ჰა? არ ვიცი. ვიცი, რომ მეგობრობის შემოთავაზებით დაიწყო. რა დღე იყო, როგორ გამოვიყურებოდი? პაუზა ტვინში, პაუზა ტვინში, — წინა კვირის სამშაბათი, ძველით ბედობა. პაუზა ტვინში, — არ ვიცი. ანდა, რა უნდა ვიცოდე, საერთოდ; როგორ შეიძლება იმ ქალმა იცოდეს რამე, ვისაც ვერ გაურკვევია, გააუპატიურეს, თუ საკუთარი ნებით მისცა? დამშვიდდი, დეა, დამშვიდდი, დეიკო, ნაფაზი — ღრმა, ნაფაზი — ღრმა, სიგარეტი საფერფლეზე, მზერა — ფანჯარას. ფარდა. ირხევა. ზამთარში ორი ზამთარია, ერთი ბენო ჩემს სამშობლოში — ორი კონტინენტი და ამასთან ერთად — ორი ახალი წელი ორი ბედობითურთ, ჰოდა, მე — გაორებული და მე — გაორებული და მე — გაორებული და რა გასაკვირია ჩემს კლიმატოზურ აალებაში მყოფმა, გაორებულმა ქალმა ვერ გაარკვიოს, გააუპატიურეს, თუ მისცა? კომედიისკენ? მეკომედიებ? ფუჰ, შენი! ხელი სიგარეტს, — ნაფაზი, — ჰუუჰ, ნაფაზი, — ჰუუჰ, ნამწვი საფერფლეში, მზერა აფიშებს — თომა. მე და თომა ერთ აფიშაზე, — არ მინდა. რა მინდა? რა მინდა და ბედნიერი დასასრული მინდა, ჰეფი ენდი მინდა, ჰეფი ენდი მინდა, მაგრამ შორსაა, განზეა ჩემგან, ანკი, არსებობს საერთოდ? სიტყვა — „ბედნიერებას“ ყველაზე ხშირად ის გოგონები წერენ ხოლმე წითელ-ყვითელ ყვავილებად მოხატულ დღიურებში, ახლახანს რომ მოუვიდათ მენსტრუაცია და ქალად წარმოიდგინეს თავი. მქონდა ასეთი დღიური. ყველას ჰქონდა, ვიყავი — მქონდა, ვიყავი — მქონდა, მართლა ვიყავი? ჰო, ვიყავი — ვარ, ვიყავი — ვარ, ვიყავი — ვარ და უნდა გავარკვიო, აუცილებლად უნდა ავხსნა, რა მოხდა დღეს. დავიწყოთ: ქალი, რომელიც მარტოხელა მამაკაცთან მიიპუწკება ბინაში, მიმცემია, — ეს — ერთი. რას ნიშნავს ეს — ერთი? თუკი მამაკაცი ექიმია, ქალი — პაციენტი? კარგი, რა, დეა, მოეშვი მსხვერპლის თამაშს, ყელში ამოვიდა. პირველად არ გეფიქრებოდა მასზე, სამედიცინო ჩაქუჩის მოპარვა ჩაიფიქრე და ამიტომაც მისწერე — გარკვეული ხასიათის პრობლემები მაქვს, კონსულტაციისთვის ვის მირჩევო? — ჩემთან მობრძანდი, სიამოვნებით გაგიწევ კონსულტაციას, მითუმეტეს, რომ დიდ პატივს გცემ, როგორც მსახიობსო. ამან აგაგდო. თეატრზე გააჩაღეთ მიწერ-მოწერა. თეატრის მოყვარული ვარო და ის სპექტაკლები ჩამოთვალა, სადაც ვთამაშობდი. ამაზე მეტად გალღვი, დეიკო, ხომ ასე იყო? ჰო, ასე იყო. მერე? მოგწერა მერე — მგონი, კონსულტაცია გინდოდა, მობრძანდი ჩემთან, კლინიკის რეგისტრაციაში მოგიწევს გატარება, ფული გექნება გადასახდელი, რა ძალა გადგას, კერძო პრაქტიკაც მაქვს, მეზობლურად მიგიღებო და ჰო, მოწერით — მოგწერა, მაგრამ შენ რას მიკუსკუსებდი, დეა, შენ რას მიიპუწკებოდი მარტოხელა კაცის ბინაში? რადა, ბოზანდარა დეიკო, მოგწერა თუ არა, შენი ფანი ვარო, მამაკაცი დაინახე მასში, ისიც მოგეჩვენა, რომ ნიკო ექიმის ქუთუთოჩამოზიდულ თვალებში მოწყენით ჩამსხდარი გუგები მიუსაფრობის, მოწყვეტილობის, თუ მარტოობის ტკივილს ეზიდებიან, რომ ძალიან თბილი, ადამიანური სალამი იცის და რომ, სევდიანი საცქერია, როცა ნიკო თავის ძაღლს დაასეირნებს, რადგან ნიკოს ცხვირაბზუებული ცოლი ქალიშვილთან გადაბარგდა გერმანიაში და შერჩნენ ნიკო და თავისი შავი ძაღლი ერთმანეთის ამარა. ფანი ვარო, შენს ფანად მიგულეო და აქედან დაიწყო ყველაფერი. რა ცოტა უნდა მსახიობ ქალს, ვისაც დიდი ხანია არ უთამაშია სცენაზე. ფუჰ, შენი! — მსხვერპლს ვთამაშობ ისევ. სხვა ქალის როლი უნდა მეთამაშა, თუკი ჩაქუჩის მოპარვას ვაპირებდი. მოშვებული, დანერვოზებული ქალი უნდა გამეთამაშებინა, ქალი, ვისაც ნაკლებდ ადარდებს საკუთარი გარეგნობა და ჩაცმულობა. როლს ვუღალატე. ჰო, დეა, ჰო, სწორედ მაშინ უღალატე როლს, როცა ჩვეულებრივზე მეტად დაიგრძელე ფანქრით თვალის ჭრილი. რატომ? რთული მისახვედრია? — იმიტომ, რომ მეორეხარისხოვანი გახდა ჩაქუჩი, გადაჩოჩდა სადღაც ეს წყეული ჩაქუჩი და წყეულმა მამაკაცმა დაიკავა მისი ადგილი. მამაკაცზე დაიწყე ნადირობა და მოხდა, რაც მოხდა, როლს უღალატე და დაისაჯე, მიმცემი იყავი და მიეცი, აღარაფერია საწუწუნო, ახლა მოხარშე თავსგადახდენილი და გააგრძელე ცხოვრება. მოიცა, ხელი ხომ ამომიტრიალა? ის ხელი, რომელშიც მოპარული ჩაქუჩი მეჭირა, მტკივნეულად არა, მაგრამ მაინც ამომიტრიალა და მრცხვენოდა, რომ ფაქტზე დავიწვი, მრცხვენოდა, ჰო, მრცხვენოდა, რომ ჩავფლავდი და სიტყვებს ვერ ვპოულობდი, მან კი მაგიდისკენ მაქცევინა პირი, გადამზნიქა და სამი ბიძგის შემდეგ ჩაიღვარა ჩემში. ხელის ამოტრიალება რაღა იყო? არც ასეა საქმე, არც ასეა საქმე! კარგი, რა, დეა, ისევ მსხვერპლის როლი? ასე მარტივად ვერ აუპატიურებენ ქალს, გაუჩერდი, დაემორჩილე, ახლა წუწუნებ. აღარც ვიწუწუნო? მორჩი-მეთქი! თავიდან დავიწყოთ. თავიდან? თუნდაც გუშინდელი დღიდან, მომწერა — ხვალ ოთხისთვის ვიქნები შინ, მობრძანდი, გავისაუბროთო, „გავისაუბროთ“ — მომეწონა. დამამშვიდა ამ სიტყვამ. კარგი-მეთქი, — მივწერე. რა მივართვა, — ვფიქრობ, — ოჯახში პირველად ავდივარ, — ვფიქრობ; გამახსენდა, ვატუკუნამ გერმანული ბომბონიერკით მომიკითხა საახალწლოდ, გავახვიე ბომბონიერკა პოლიეთილენის ლამაზ პარკში, შემოვდევი მაგიდაზე. მერე რა იყო? გაფერმკრთალდა ჩაქუჩი, აღარ მახსენებს თავს, მივალ, შევხედავ რა და როგორ-მეთქი და იმის მიხედვით მოვიქცევი. ჰო, ასე იყო. დიდხანს არ დამეძინა. ვფიქრობდი, ვფიქრობდი, მეფიქრებოდა მასზე. წამოვდექი, მივწერე — ბავშვობიდან მეშინია ძაღლების და იქნებ სხვა ოთახში გაიყვანო-მეთქი შენი სიმპათიური ძაღლი. ჩიბი არავის ერჩის, მაგრამ თუკი ასე გეშინია, აივანზე გავიყვანო, — მომწ-

ერა. არ გამიგია ასეთი სახელი ერქვას ძაღლს, საიდან-მეთქი ჩიბი? ჩიბი — ჩინელ ბიჭს ნიშნავს, ჩემმა ქალიშვილმა დაარქვა ეს სახელი, მანვე ჩამომიყვანა გერმანიიდან, ლეკვი იყო მაშინო, — მომწერა. დედა, რა საინტერესოა-მეთქი, — მივწერე; ჩემთვის ვიფიქრე, ქალიშვილმა ლეკვი ჩამოუყვანა გერმანიიდან და ცოლი აართვა-მეთქი და შემეცოდა უფრო. კეთილი და პატიოსანი. ეს მიწერ-მოწერა რას ნიშნავდა, თუ არა ფლირტს? ჰო, ჩვეულებრივი ფლირტი იყო, მოშინაურება, შეთამაშება, ერთმანეთის არსებობის შეხსენება გვიან ღამით, როცა სხვებს სძინავთ, შენ და ის კი რაღაცაზე ყბედობთ, თუნდაც, ყბედობის საბაბი ძაღლი იყოს, ვისი განსაკუთრებული შიში არასდროს მქონია, მაგრამ სალაპარაკოს ვეძებდი მასთან და ამიტომაც გავიფაქიზე თავი. მერე? რა მერე, გათენდა — ისევ მეფიქრებოდა, კარმენის არიას ვუსმენდი დროგამოშვებით. რატომ? მომხიბვლელი ბოშა ქალი. თავისუფლებისმოყვარე, აწყვეტილიც და სიყვარულში გადაჩეხილი და ამავე დროს ძლიერი ქალი. მარია კალასი — ტორე-ადორ, ტა-რა-რა-რა, ტორე-ტორე-ტორე-ა-დორ! სიტყვები არ ვიცი, შევეცი სიტყვებს. ტა-რა-რა-რა-რარირირა! არა, ამ შემთხვევაში დონ ხოზეს შევეცი, რას ერჩოდა, გაეშვა თავის ნებაზე. დეიკო-დეა, სულ გარეკე! ფუჰ, შენი! კარგი. მორჩა. საათისკენ ვიცქირებოდი ხშირად და მეჩვენებოდა, რომ ნელა, ძალიან ნელა მიზოზინებდა დრო. იმის პირველი ნიშანი, რომ მამაკაცთან მიდიხარ პაემანზე და არა ექიმთან. ჰო, ასე ვიყავი, მიიზლაზნებოდა დრო, მიიზლაზნებოდა, მიიზლაზნებოდა დრო. „მიიზლაზნება, როგორც კამეჩი“, — ოთარ ჭილაძე. მისაღებ გამოცდაზე წავიკითხე ნაწყვეტი. აუ, ეგ როდის იყო, დეა, ეგ როდის იყო, დეიკო-დეა, ჰუუჰ, — ხელისგულები თვალებზე, ხელისგულები — სველი, ჰუუჰ, შენი! მორჩა-მეთქი! მზერა ჭერს. ფანჯრის ღრიჭოებიდან შემომსხლტარმა ზამთრის ანასხლეტებმა საბურავივით დაფუშეს ღრუბლები. მე დღევანდელმა შემთხვევამ დამფუშა, რადგან პირველად ჩავფლავდი და შესაძლოა, ვეღარაფერი მოვიპარო. ღირსი ხარ, დეა, ღირსი, რამდენი ხანი იკოხტავებდი თავს სარკესთან, როცა სხვა ქალი უნდა გეთამაშა, — მოშვებული, დანერვოზებული, სახიფათო ასოციაციებში გადაჭრილი, თავისივე ასოციაციების ტყვეობაში ჩარჩენილი. მსახიობი პერსონაჟის ტყავში ძვრება, ქალს კი აუცილებლად სჭირდება მამაკაცი, ვისთვისაც მაკიაჟს იკეთებს. მაკიაჟი ვამჯობინე გრიმს, ესე იგი მამაკაცთან მივდიოდი და არა როლის სათამაშოდ, ჰოდა, მოხდა, რაც მოხდა: — მივ-მივეცი, მივ-მივეცი! ტორეადოორს მივ-ეცი! ტორე-ა-დორს მივ-ეცი, ტო-რე-ა-დორს მივ-ეცი! ფუჰ, შენი! მაშინ ამეკიდა ბიზეს მელოდია, როცა კარმენის პაროდიაც აღარ დარჩა ჩემგან. კარგი. მოვეშვათ, მაგრამ ბომბონიერკა მაგიჟებს, წინა დღით გამზადებული, პოლიეთილენის ლამაზ პარკში გამოხვეული. ამოვიიღლიავე ბომბონიერკა, წავედი თხუთმეტი წუთის დაგვიანებით. ქუჩიდანვე შევნიშნე ჩიბი აივანზე. მესიამოვნა. ნიშანივით იყო ჩიბი აივანზე. თითქოს პაროლი იყო, რომ მელოდება, ჩემს თხოვნას ანგარიში გაუწია, არც კი ვიცი, რაღაც იყო, რაც მესიამოვნა. როცა მის სადარბაზოში შევდიოდი, მალული მზერა გამექცა აქეთ-იქით. იმ მზერაშიც იყო რაღაც. რა? მზადყოფნა, ჰო, მზადყოფნა,რომ რაღაც შეიძლება მოხდეს ჩვენ შორის; ტვინში მქონდა ჩანერგილი ეს მზადყოფნა, სხვა შემთხვევაში, რატომ მალული მზერა აქეთ-იქით? ტვინი თავდაცვის ინსტინქტის სათაო ოფისია, ტვინი გვკარნახობს პაუზებსა და გარინდებებს, ტვინი გვაგუებს, გვაჩვევს, თუ გვამზადებს მოულოდნელობებისთვის, რათა ელდას გადავურჩეთ. მაშინაც ასე იყო — ლიფტში. სამოქალაქო ომის შემდგომი დღეები, მე — პატარა გოგო. 17-ის? ჰო. ქალაქში გაუგებარი მასტები დაძრწიან. სახით ვერც იცნობ, ყველა ერთსახედ ქცეულა, რადგან იერი აქვთ ერთი — ამრეზილი, თავის გაბოროტებაში შენ გადანაშაულებენ თითქოს. დღეები და ღამეებიც ერთსახედ ქცეულიყო ქალაქში, სულმუდამ მოქუფრული საღამოჟამი იდგა. რა მედაბადებისდღეებოდა, სად მივეთრეოდი, მაგრამ, როცა 17-ის ხარ, გინდა დაიჯერო, რომ ერთსახედ ქცეულ ქალაქშიც არსებობს სიხარულის პატარ-პატარა კუნძულები. რაღა მაშინ იყო შუქი იმ უშუქობაში. გამიხარდა მე სულელს, ლიფტით ავალმეთქი. დაეშვა, ჩამორიხინდა ლიფტი და სწორედ მაშინ გამოჩნდა, ფეხი რომ უნდა შემედგა ღია კარში. არაფერი უთქვამს, ხელით დაიჭირა კარი, შემომყვა. ავხედე, ის ტიპი იყო, ის, სამოქალაქო ომიდან ტიპი იყო, ვის სახესაც ვერ ვიხსენებ, იერს — კი, სახეს — ვერა. ტვინმა ჩამძახა ხიფათი, ტვინმა შემამზადა ელდისთვის. როცა ღილაკს მიაჭირა თითი და ლიფტი გაჭედა სართულებს შორის, ისიც კი ვიფიქრე — ეს ხომ წინასწარ ვიცოდი-მეთქი. სიტყვა არ დაუძრავს, ხელზე მომეჭიდა, ამომიტრიალა და — პაუზა ტვინში, პაუზა ტვინში, — ჰო, ხელი. ხელის ამოტრიალება იქაც, აქაც, — იქ მტკივნეულად, აქ — უმტკივნეულოდ, მაგრამ აქაც ხელის ამოტრიალება, რაც გაუპატიურებას მახსენებს. სამოქალაქო ომის დღეებმა ჩემი სისხლი დაღვარა ლიფტში. სამოქალაქო ომმა ჩემი ნების გარეშე მაქცია ქალად. სამოქალაქო ომმა მატკინა ჩემი შემდგომი დღეები და რომ არა პატიკო, ჰო, პატიკო, ჰო, პატიკო, ვინც დამეხმარა, მე კი ვერ დავეხმარე, ვერ ვუმეგობრე და ცუდი ვარ, ღირსი ვარ, ჰო, ღირსი ვარ იმის, რაც გადამხდა დღეს, რადგან დღევანდელმა ჩემმა სირცხვილმა ისევ გამახსენა სამოქალაქო ომი და ლიფტი, სადაც ერთ დროს ვიღაც უსახო, გაბოროტებულ კაცზე გავთხოვდი ჩემი ნების გარეშე; ანდა, სამოქალაქო ომმა გამათხოვა იმ უსახო კაცზე, მერე გამოვთხოვდი ლიფტიდან, ასე თუ ისე მივივიწყე, და დღეს ისევ, ისევ, ჰო, ისევ იმ საზარელი დღეების გამოძახილი. სიგარეტი. სანთებელა. ჰუუჰ. ჰუუჰ. სიგარეტი საფერფლეზე. რეალობა არასდროს ემთხვევა წარმოსახვას. ძალიან მარტივად წარმოვიდგინე, როგორ მოვიპარავდი ჩაქუჩს. ტექსტს ჩავარაკრაკებდი ღამურების ოჯახზე, თვალზე ცრემლს დავისვამდი და მორჩა — კრება დარჩა მხიარული. სხვაგვარად ამიხდა. სიგარეტი — ჰუუჰ, ჰუუჰ, — მე — ბომბონიერკით მის კართან. გამოაღო, შემიპატიჟა, შევედი, მოსასხამი ჩამომართვა, საკიდზე ჩამოკიდა, ვრცელ მისაღებში შემიძღვა. ძველებური ავეჯი, სითბო — არა, სიცხე ბინაში და რაღაც სუნი. ყველა ბინაში იგრძნობა თავისებური სუნი — ზოგან სისუფთავის, სტერილურობის, საჭმლის თუ კვამლის თუ ნესტისა და სიძველის, თუ რაღაცის, რაც სუნთან ერთად ატმოსფეროცაა, აურაა, ცხოვრების წესია. მტვერსასრუტის შიგთავსის სუნში გავეხვიე, რამაც გამაბრუა, — ჩამხუთა. იქნებ იმის ბრალიცაა, ზამთრის სუსხიდან ჩახურებულ ბინაში რომ მოვხვდი-მეთქი — ვიფიქრე და მაშინ მივაქციე ყურადღება ხალიჩას და ისევ ვიფიქრე, — ნეტა ჩიბის თუ დაუფსამს ამ ხალიჩაზე-მეთქი და უეცრად, თავისთავად გაერია მტვერსასრუტის შიგთავსის სუნს შარდის სუნიც და მივხვდი, რომ ბინაში ჩიბის სუნია. ბომბონიერკა კომოდზე შემოვდე, თავისი მოწყენილი გუგებით გამიღიმა — ნეტაი შენ, რას წუხდებოდიო, — თეთრი, მაღალი კარისკენ მიმითითა, კაბინეტისკენ გამიძღვა. როცა თავის პროფესიულ საქმეს ასრულებენ, ექიმები რაღაცნაირად მოძრაობენ — თავდაჯერებული სილაღით, რაც პატივისცემის შეგრძნებას გიჩენს. ჰო, აშკარად სხვა, არაფრით გამორჩეული ნიკო იყო, როცა ქუჩაში ასეირნებდა ჩიბის და სრულიად სხვა — როცა კაბინეტისკენ გამიძღვა. მყუდრო ოთახი მაღალი ფანჯრით. მაგიდა, მაგიდის აქეთ-იქით ძველებური, მაღალსაზურგიანი სკამები. რამდენიმე სკამი კედელთან. წიგნების კარადა და კედელზე, მინის ჩარჩოში გამოკრული დიპლომის ქვეშ ის — ისინი, არ დამითვლია რამდენი, ბევრი — 15-12 ჩაქუჩი მაინც, სამუზეუმო ექსპონატებივით, — კედელზე მილურსმულ დაფებზე შემოწყობილი, სხვადასხვა ზომისა და ფორმის სამედიცინო ჩაქუჩები და მაშინ შევუძახე თავს — დეა, არა, დეა, ფიქრადაც არ გაივლო-მეთქი, და მზერა დაიჭირა ჩემი, გამიღიმა — ნევროპათოლოგისთვის ჩაქუჩი იგივეა, რაც კარდიოლოგისთვის ფონენდოსკოპი, ანდა, ქირურგისთვის ლანცეტი; სტუდენტობიდან მოყოლებული ვაგროვებო, — მითხრა, სკამისკენ მიმითითა, მაგიდას მიუჯდა, მომაცქერდა თავისი მოწყენილი თუ გაზარმაცემული გუგებით. ჩამოვჯექი, მივაცქერდი, ვუღიმი, მიღიმის, თვალი გამირბის ჩაქუჩებისკენ, მაგრამ ვახერხებ თავის მოთოკვას, ვუღიმი კვლავაც, ვეკითხები — ჩიბი რომ ჩინელ ბიჭს ნიშნავს გავიგე, მაგრამ ასეთი ჯიშის ძაღლი არსად მინახავს, ჩინური ჯიშია-მეთქი? — ეშმაკმა უწყის, რა ჯიშისაა ჩიბი, ლაბრადორიც ურევია, ჩინური შარპეიც, ფრანგული ბულდოგიც; მოკლედ რომ ვთქვათ, ბევრი ჯიშიანი ძაღლის სისხლი ურევია, თვითონ კი „დვარნიაშკაა“, რადგან წმინდა სისხლის არ არის, თუმცა, როგორც ყველა „დვარნიაშკა“, ჭკვიანი ძაღლიაო. სპეციალურად გამოიყვანეთ-მეთქი ამდენი ჯიშიანი ძაღლიდან „დვარნიაშკა“? — ვითომ ძალიან მაინტერესებს ჩიბის ამბავი, სინამდვილეში თვალი გამირბის ჩაქუჩებისკენ, მაგრამ ვახერხებ თავის მოთოკვას. აიჩეჩა მხრები, გაიღიმა რაღაცნაირად უღონოდ, თავისთვის, — ჩემს ქალიშვილს რას გაუგებ, ან რა ჩამოსაყვანი იყო იმსიშორიდან, მაგრამ კარგია, რომ ჩამომიყვანა, მე და ჩიბი შევეჩვიეთ ერთმანეთსო, — თქვა, გადმოიზნიქა მაგიდაზე, მომიახლოვა სახე, მომაცქერდა და — დავიწყოთო? — მკითხა. კი ბატონო, დავიწყოთ-მეთქი. კარგიო, — გაზიდა სიტყვა, — კაარგიო, კაარგიო, და — რითი დავიწყოთ მაინცო? — აქეთ მეკითხება ეს ახვარი. — რა ვიცი, რითიც იწყებთ, იმით დავიწყოთ-მეთქი, — გავუღიმე. აღარ მიღიმის, მიცქერს, თანდათან შემოდის ჩემში მისი მოწყენილი გუგები, ჰო, თანდათან, აუჩქარებლად, ზარმაცად, მაგრამ ჯიუტად შემოდის ჩემში, აღარ მეფიქრება სამუზეუმო ექსპონატებივით გამოფენილ ჩაქუჩებზე, მას ვუცქერ, მიცქერს, მერე მეკითხება: — ძილი როგორი გაქვსო? — არაუშავს, მაინცდამაინც არ ვუჩივი, ჩვეულებრივი-მეთქი, — აბა, ის რა იყო, გუშინ გვიანობამდე რომ არ გეძინაო? — ასე, თქვენც ხომ არ გეძინათ-მეთქი? — გაღიმებას შევეცადე, მაგრამ არ ვიცი, გამეღიმა თუ არა, გუგები შემომისახლდნენ მისი, მოწყენილი გუგებია, ჩემში არიან, შიგნიდანაც მიცქერენ თითქოს; ის იქიდან მიცქერს და შიგნიდანაც მიცქერს, მეხამუშება ჩემი თავი და არ ვიცი, ვახერხებ თუ არა გაღიმებას. — თქვენობით ნუ მომმართავ, ჩვენ ხომ ახლობლები ვართ, თანაც მე სხვა ვარო, — თქვა და მეტი დაბეჯითებით გაიმეორა, — ჰო, მე სხვა ვარო, — გაყუჩდა ცოტა ხნით, თვალმოუშორებლად მიცქერს, — უმიზეზო სიცილი, ან უმიზეზო ტირილი ხომ არ გახასიათებს ამ ბოლო დროსო? — გააჩნია, რაა სატირალი, ან გასაცინი-მეთქი, — ვეუბნები, ვუცქერ, მიცქერს, არც ის იღიმის, არც — მე; ვიღიმი კი არა, მეტირებასავით, აშკარად მეტირებასავით და არ ვიცი, რაზე მეტირება. — იტირე, თუ გეტირებაო, — მეუბნება და მიცქერს. იქ ვიფიქრე, — ეს ახვარი შიგნიდანაც მხედავს ნაღდად, იმ თვალებით მხედავს, იმ მოწყენილი გუგებით, სხეულში რომ შემომისახლა-მეთქი და ამან ცოტა გამაბრაზა და გამამაგრა კიდეც, და, — არა-მეთქი, — თავი გავუქნიე, — არ მეტირება, არა-მეთქი, — რადგან სიბრაზემ ძალა მომცა თითქოს, თანაც არ მინდა მის დასანახად ტირილი, თვალები გამედღაბნება და არ მინდა, უშნო და ბეჩავი მიხილოს და იქ, სრულიად მოულოდნელად, უადგილოდ, უშინაარსოდ მახსენდება წინასწარ მომზადებული ტექსტი ღამურებზე და მიკვირს, თვითონ მიკვირს, მაგრამ ცხადად ვეუბნები: — ჩვენი თეატრის დიდი სცენის მაღალ სივრცეებში ღამურები ბუდობენ-მეთქი, — მიცქერს, არაფერს ამბობს, მიცქერს, მაშფოთებს, ისე მიცქერს, ფიქრი მეპარება შფოთთან ერთად, — ამას გიჟი არ ვეგონო მართლა-მეთქი, — და რადგანაც ამაფორიაქა ამ ფიქრმა, შეძლებისდაგვარად ყოჩაღად ვუყვები, რომ ერთხელ მაღაზიაში ჩავედი პურისთვის და იქ სრულიად უმიზეზოდ ამეტირა, მერე კი, როცა შეწუხებულმა გამყიდველმა წყალი შემომთავაზა, გავიაზრე, რა იდიოტურ მდგომარეობაში ჩავიგდე თავი და სიცილი ამიტყდა, ჰო, სიცილი, თავშეუკავებელი, აწყვეტილი სიცილი. მომისმინა, არ შეუწყვეტინებია, მიცქერდა კვლავაც, ამან შემაწუხა და ჩვენი უბნის ყასაბ ქალზე დავიწყე ლაპარაკი, ვუხასიათებ თანაც, გეგონება, თვითონ არ იცნობდეს ნორას, ვყბედობ ნორაზე, ვერ ვჩერდები, მიცქერს, ვყბედობ: — საერთოდ, ისე, ზოგადად რომ ვთქვათ, ნორა მაშინებს-მეთქი, ჰო, მაშინებს, რადგან ხომ გინახავს, როგორ მოეჭიდება უშველებელ ნაჯახს ეს ერთი ციდა, წამწამებაპრეხილი, ყვითლად თმაშეღებილი, ჯინსიანი ქალი, როგორ დასცხებს-მეთქი თავის ნაჯახს საქონლის ბარკალს, რა მტაცებლური იერი უხდება, ხორცს რომ ახარსხებს-მეთქი და ეს მაშინებს, მაგრამ ბავშვი ჰყავს გაძიძებული ნორას, ერთხელაც ბავშვით დავინახე და ისე სათუთად კოცნიდა თავის შვილს, ისე სათუთად კოცნიდა, რომ ამაზე ამეტირა და დიდხანს, დიდხანს ვიტირე, ოღონდ, ტირილის მერე, რატომღაც, აღარ მიცინია-მეთქი. მიცქირა უსიტყვოდ, თვალმოუწყვეტლად, როდის-როდის მეკითხება: — ხმები არ გესმისო? — რა ხმები-მეთქი? — ავფორიაქდი ისევ, შემეშინდასავით და თანაც შემრცხვა, — ამას ნამდვილად გიჟი ვგონივარ-მეთქი, — გავიფიქრე. — მიპასუხე, გესმის თუ არა ხმები, ვინმე არ გელაპარაკებაო? — არა-მეთქი, არანაირი ხმები არ მესმის, არავინ მელაპარაკება, — ცოტა ისე მივუგე, მკაცრად. — დამშვიდდი, უბრალოდ მაინტერესებსო, — თქვა. არ მომასვენა ჩემ შიგნით ჩასახლებულმა რაღაცამ, რაც მაწუხებდა და გავუმეორე: — არა-მეთქი, არა, არანაირი ხმები არ მესმის. — მენსტრუალური ციკლი როგორ მიმდინარეობსო, — მკითხა. გადასარევად-მეთქი, — ვატყუებ. მიცქერს, მიცქერს, გარედანაც მიცქერს და შიგნიდანაც მაწუხებს მისი მოწყენილი გუგები. — სიმართლე მითხარი, დასამალი არაფერიაო, — მეუბნება. შემრცხვა ჩემი ტყუილის, დავიწყე დეტალურად: — იქამდე ორი თვე არ მქონია, მერე მომივიდა, ამ თვეში ისევ არ მომსვლია-მეთქი. მაგიდაზე შემოდებულ ჩაქუჩს მისწვდა, ტარით დაიჭირა, კედლის საათის ქანქარასავით გააქნია — მარჯვნივ-მარცხნივ, მარჯვნივ-მარცხნივ, მარჯვნივ-მარცხნივ, ვაყოლებ თვალს, — განაგრძეო, — მეუბნება. — რა განვაგრძო-მეთქი? — თან თვალს ვაყოლებ ჩაქუჩს, რომელიც მის ხელში — მარჯვნივ-მარცხნივ, მარჯვნივ-მარცხნივ. — ყველაფერი რიგზეაო, — და ჩამოდო ჩაქუჩი მაგიდაზე. მივაცქერდი ჩაქუჩს, გამექცა მზერა კედელზე გამოფენილი ჩაქუჩებისკენ, მეფეთა თვალში სულ ქვემოთ, კუთხეში მიყუჩებული ერთი პატარა ჩაქუჩი. საყვარელი იყო ძალიან, სანახევროდ ფარავდა ფანჯრის ფარდა, მეძახდა იქიდან, — შენი ვარ, შენი, მოდი, წამიღე, ფარდას მისწევ, დავიფარები ორისამი დღე, მერე ვერაფერს დაგაბრალებს, შენი ვარ, შენი, მოდი, წამიღე! შევუძახე თავს, — არ შეიძლება, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება-მეთქი, — მოვარიდე მზერა ჩაქუჩს, იმ ახვარს მივაცქერდი, მიცქერს ახვარი, წამოდგა მერე, ჩაქუჩი წამოიყოლა, კედელს მიუახლოვდა, სკამი წამოიღო, მომიჯდა, მარჯვენა მუხლზე დამკრა ჩაქუჩი. არავითარი რეაქცია, ვარ ჩემთვის, მიცქერს: — კარგი გოგო ხარო, — მითხრა. მესიამოვნა შექება, ამეტირასავით „გოგო“-თი რომ მომმართა და თანაც შემაქო და ჰო, ბედნიერებისგან ამეტირასავით, თუმცა, არ მიტირია, ვუცქერ, მიცქერს: — სუიციდისკენ ხომ არა ხარო მიდრეკილი? — მკითხა. — არა, ჯერჯერობით არა, ჯვარი მწერია-მეთქი, — გაღიმებას ვცდილობ და მეტირება ცოტა, რომ ვერ ვიღიმი, ავარიდე მზერა, თვალი თავისით გამირბის ჩაქუჩისკენ, ქვემოთ რომაა, მოყუჩებულად რომაა. — ხალხთან ურთიერთობა გემძიმებაო? — მესმის მისი ხმა. გამოვხედე, — ამ ბოლო დროს თეატრში აღარ მივდივარ, იქ ბევრი ადამიანი ტრიალებს და ვერიდები თეატრს, მაგრამ თავის დროზე იმდენი მითამაშია, სუფთა ნამუსით ვიღებ ჯამაგირს-მეთქი. — ქუჩაშიც გემძიმება გასვლაო? — მეზარება-მეთქი, — ვუპასუხე. — გეზარება ერთია, მე გეკითხები, გემძიმება თუ არა ქუჩაში გასვლაო. დავფიქრდი; მეგონა, მეზარებოდა, თურმე მემძიმება ქუჩაში გასვლა, ვეუბნები, — ნაწილობრივ ჰო, მაგრამ გამოიზაფხულებს თუ არა, ალექსანდრეს ბაღში გადავწყვიტე-მეთქი სეირნობა. კარგიაო, — მითხრა, — სეირნობას არაფერი სჯობს ნერვების დასამშვიდებლადო, — მომაცქერდა, — შინაგანი შფოთის შეგრძნება თუ გაქვსო? — მკითხა. — ადამიანი შფოთის გარეშე არ არსებობს, მეც მაქვს შფოთი, მაგრამ ასატანად, მეტისმეტად არა-მეთქი. — ჰოდა, ძალიან კარგი, თუ მეტისმეტად არ შფოთავო, — თქვა და უეცრად, მოულოდნელად, გათვლილი, გაწაფული მოძრაობით დამკრა ჩაქუჩი მარცხენა მუხლზე. დამკრა და ავარდა ფეხი სადღაც, ავარდა არ ჰქვია, აიჭრა ჩემი

→

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრული

მარცხენა ფეხი, მომწყდა თითქოს და შემრცხვა ასეთი ნერვიული რომ გამოვდექი და წამოვწითლდი აშკარად. ეგ არაფერი, დამშვიდდიო, — თქვა, ხელი ჩამომადო ხელზე, მომითათუნასავით, მიცქერს, — შრომის უნარის დაქვეითებას გრძნობო? — მეკითხება. — დიდი ხანია, სცენაზე არ მითამაშია, რადიოპიესებში მიმიწვიეს, მგონი, გავართვი თავი-მეთქი, — ვპასუხობ. — დეპრესიაში ვარდებიო? — არ ვიცი, ამას რა დავარქვა, მაგრამ სცენა მომენატრა და ეს მემძიმება-მეთქი, — ვეუბნები, თვალებში აღარ ვუცქერ, ჩემს ხელზე შემოდებულ მის ხელს დავყურებ. აიღო ხელი, ფეხი ფეხზე გადაიდო, გადაწვა სკამის საზურგეზე, — მე მაგდებს დეპრესიაში ბევრი რამ, თუნდაც ის, ჯიპის საჭესთან რომ დავინახავ მამაოს, ანდა, არჩევნების დროს რომ მოიგიჟიანებენ თავს პოლიტიკოსები, ან კიდე ტელეწამყვანები რომ ამკვიდრებენ უცნაურ, გაუგებარ სიტყვებს, სიტყვა — „აქტივობები“ ხომ ჭკუიდან მშლის საერთოდ, არ მეთანხმებიო? — ჰო-მეთქი, — თავი დავუქნიე, მართლაც საშინელი სიტყვაა, ძირითადად არასამთავრობო მასტები ხმარობენ-მეთქი სიტყვა „აქტივობებს“. შევყევით ტელევიზიაზე საუბარს, ვატყობ, შეგნებულად მესაუბრება საყველპურო თემაზე, ჩემს რეაქციას აკვირდება, შეცვალა თემა, დედაჩემი მოიგონა, კარგი მსახიობი იყო, რატომ მიატოვა თეატრიო, — მკითხა. ამეტირა, დედა რომ მიხსენა, მაგრამ არ მიტირია, შევიკავე თავი, — 9 აპრილის შემდეგ ბევრი მსახიობი შეუდგა ეკლესიურ ცხოვრებას, დედამაც მაშინ მიატოვა-მეთქი სცენა. შენ რამდენის იყავი მაშინო? — მკითხა. 15-ის-მეთქი, — და ამეტირა ისევ. მომერია ცრემლი, ავარიდე მზერა, ცრემლის ლიბრიდან შევნიშნე ჩაქუჩები, ჩამიცხრა ცრემლი, ვუცქერ იმას, იმ პატარას, იმ საყვარელს, მიჩურთულად რომაა, ქვემოთ, კუთხეში. მესმის მისი ხმა: — 9 აპრილს დაღვრილი სისხლი ზუსტად გათვლილი, უსასტიკესი აქცია იყო, რაც, შესაძლოა, გასაიდუმლოებულ ინსტიტუტებში დაგეგმეს ფსიქოლოგებმა. იცოდნენ ჩვენი ხასიათი, ამიტომაც წამოგვიკიდეს, ამიტომაც გვატუცინეს ფეხი ხაფანგში, არ მეთანხმებიო? — ალბათ ასეც იყო-მეთქი, ჰო, ოღონდ არ მიფიქრია ამაზე ღრმად. მიცქერს, მიცქერს, მერე მეუბნება: — კორიდის პრინციპია, სხვა არაფერი, ხარი წითელ ნაჭერზე იწევს, ტორეადორი ხარს კლავს ამასობაშიო. შევწუხდი, ტორეადორი რომ მიხსენა, რაღაცამ შემაშფოთა, თითქოს გამჭვირვალე ვარო, თითქოსდა მისგან ჩასახლებული მოწყენილი გუგები შიგნიდან მხედავენო, თითქოს იციან, კარმენს რომ ვუსმენდი დილიდან — რაზე ფიქრობო? — შემეკითხა. — არაფერზე-მეთქი, — ავიჩეჩე მხრები. — ევროპაზე რა აზრის ხარო, — მკითხა. — რა აზრის უნდა ვიყო, კარგია-მეთქი, — ვუპასუხე. — კიო, — თავს მიქნევს, — კარგია, იცოცხლე, ოღონდ ჩვენ როგორ გვესმის ევროპა, ეგაა დასადგენიო. — როგორ-მეთქი, როგორ გვესმის? — ვკითხე. — ეჰო, — ჩაიქნია ხელი, წამოდგა, მაგიდის უჯრა გამოაღო, წამლების ორი კოლოფი წამოიყოლა, მომიახლოვდა, გამომიწოდა, — ორმილიგრამიანი კლონაზეპამი ძლიერი წამალია, მეოთხედი აბი მიიღე ძილის წინ, ვენლაგამა დღეში ერთხელ ორი კვირის განმავლობაშიო. შევწუხდი, — რას ამბობ, თვითონ ვიყიდიმეთქი. გამომართვიო, — ჩამიდო ხელში. მართლა შევწუხდი ასეთი კეთილი კაცი რომ აღმოჩნდა, მადლობა გადავუხადე, კოლოფები ჩანთაში ჩავაწყვე. მეტირებასავით რაღაცნაირად, კეთილი რომაა, იმაზე მეტირებასავით. ჩამომადო თავზე ხელი. დამამშვიდა მისმა ხელმა. შინაურულად დამადო, მშვიდი ხელი იყო და დამამშვიდა, ჰო, დავწყნარდი, გავყუჩდი, ველი — რა იქნება. — ყველაფერს თავისი დრო აქვსო, — თქვა. ვერ მივხვდი რატომ თქვა, ყველაფერს თავის დრო აქვსო, იქნებ ჩემი და თავისი ურთიერთობა იგულისხმა-მეთქი, — ვიფიქრე, მაგრამ ძალიან ისე თქვა, — გაფანტულად, უმისამართოდ, ყოველგვარი ქვეტექსტისა და მინიშნების გარეშე, წამოდგა მერე, ჩამომხედა, ავხედე. — პირველად ხარ ოჯახში, სირჩა კონიაკის გარეშე აქედან ვერ გაგიშვებ, დროებით დაგტოვებო, — მითხრა, გავიდა კაბინეტიდან, კარი გამოიკეტა. დაიწყო-მეთქი, — ვიფიქრე, — კარგად ვიცი, სირჩა კონიაკს რაც მოყვება-მეთქი, — ვიფიქრე, თან მაღალ, თეთრ კარს ვუცქერ, ახლახანს რომ გამოიხურა. სიმშვიდეა. ჩამიჩუმი არ ისმის, არ გავიხედავ ჩაქუჩებისკენ, ასე ვიქნები, ამ მაღალ კარს მიცქერილი-მეთქი, — ვიფიქრე და როგორც კი ეს ვიფიქრე, სწორედ მაშინ გავიხედე კედელზე გამოფენილი ჩაქუჩებისკენ. მეძახის ის, ის პატარა, საყვარელი ჩაქუჩი. მაგიდაზე ჩემი ჩანთაა, იქით ის ჩაქუჩი, რომელიც მეძახის. ჩამიჩუმი არსაიდან, სრული სიჩუმე. ხელს მაინც შევავლებ-მეთქი და წამოვდექი, მხარზე გადავიკიდე ჩანთა, მივუახლოვდი, დავიხარე, დავწვდი, დავცქერი, ხელით ვგრძნობ, ძალიან საყვარელია. არა-მეთქი, არა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, — დავიხარე, შემოვდე თავის ადგილას, გავიმართე, ფარდა გადავწიე, ფარავს ფარდა ჩაქუჩს. ასე რომ დავტოვო, ორი-სამი დღე იქნებ ვერც შენიშნოს და მერე ხომ ვერაფერს დამაბრალებს-მეთქი, — მეფიქრება, გავდევნე ფიქრი, შევეცადე, ჩვენი უბნის მოჟამული სახურავებით შემექცია თავი. ვიცქირები ფანჯრიდან, გამოვხედე მაღალ კარს, ჩამიჩუმი არ ისმის. ძალიან ხომ არ იგვიანებს-მეთქი, — ვიფიქრე, — მოვიდეს-მეთქი, მოვიდეს დროზე, — და ხელი შემოვიდე ჩანთის სახელურზე, ვგრძნობ ჩანთას ჩემს მხარზე, — ეს ჩანთა რატომ გადავიკიდე, ხომ იყო მაგიდაზე შემოდებული, რატომ-მეთქი, რატომ? — ვიცი რატომაც, მაგრამ ვერეკები ცდუნებას. ერთხელაც დავიჭერ ხელში და სამუდამოდ დავემშვიდობები-მეთქი იმ საყვარელს, პატარას იმას, ფარდის იქით მიჩურთულს. დავიხარე, ფარდა გადავწიე, დავწვდი, ისევ გადავწიე ფარდა, ფარავს ფარდა იმ დაფას, რომელზეც ჩაქუჩი იყო შემოდებული. გავიმართე, დავცქერი, ძალიან ჩემია, ჩემს ხელშია და ჩემია ძალიან, ჩემს მხარზე კი ჩანთაა და გული ჩემი ფეთქავს, ფეთქავს და გამისკდება გული, ეს თუ არ გადავმალე-მეთქი სადმე, ეს თუ არ მოვიშორე თვალთახედვიდან და მზერა მაღალ კარს, — ჩამი-ჩუმი არ ისმის, ჩემი გულისფეთქვა მესმის მხოლოდ, ხელი ჩანთის საკეტს, ჩაქუჩი ჩანთაში, ღრმად, იქით, წამლების კოლოფების ქვეშ, ხელი ჩანთის საკეტს, — ჩაიკეტა, მზერა კარს — სრული სიჩუმე. გავემართე სკამისკენ, როგორც დამტოვა, ისე უნდა მნახოს, არაფერი იეჭვოს-მეთქი. ჩამოვჯექი; გამახსენდა, ჩანთა მაგიდაზე რომ იყო შემოდებული. მოვიხსენი მხრიდან, მაგიდაზე შემოვდე, გავხედე ჩაქუჩებს, ფარავს ფარდა იმ დაფას, რომელზეც ჩაქუჩი იყო შემოდებული, — ყველაფერი რიგზეა, ყველაფერი რიგზეა-მეთქი, — შევუძახე თავს, — ახლა ერთ სირჩა კონიაკს მოვწრუპავ, მადლობას გადავუხდი და გავეცლები-მეთქი, ყოველგვარი ჭიპხახუნას გარეშე. ვიცი, უკვე წარმომიდგენია, რას და როგორ ვითამაშებ, იმედი უნდა დავუტოვო, რომ სამომავლოდ იქნებ მოხდეს კიდეც ჩვენს შორის რამე, მაგრამ დღეს ვერა, დღეს მხოლოდ იყრება ჩვენი სამომავლო ურთიერთობის საძირკველი, დღეს ვერა, მაგრამ სამომავლოდ ვნახოთ, ბატონო, არაფერია გამორიცხული. ჰო, ასე, ამ როლში, რადგან სანამ სცენაზე ვარ, როლი უნდა გავასრულო და მერე მექნება იმასთან განმარტოების უფლება, იმასთან, იქ როა, ჩემს ჩანთაში. გულისფეთქვაში კარმენის არია მემღერება, რადგან მიხარია, იქ როა და ის როლიც მიხარია, რომელსაც ვითამაშებ. კარმენი ბოშა იყო, ცოტათი მეც ვარ ბოშა, ან იქნებ ბოშაზე მეტად ბოშაც ვარ, რადგან ყველა არტისტში ზის ბოშა და ჰო, მემღერება — ტო-რე-ა-დორ, ტო-რე-ა-დორ, ტა-რა-რა-რირო, რიიი-რო-რა და ნაბიჯები; მოდის! დეიკო, მშვიდად, ახლა შენ იცი! კარი შემოაღო. დაბალი, გორგოლაჭიანი მაგიდა შემოაგორა. მაგიდაზე ორი თეფში, კონიაკის ბოთლი, სირჩები, გახსნილი ბომბონიერკა, — რატომ წუხდები, მალე უნდა წავიდე, სტუმარს ველოდები-მეთქი, — დავიწყე იმის თამაში, რაც მოხაზული მაქვს გონებაში. — ჯერჯერობით შენ ბრძანდები ჩემი სტუმარი, ერთი სირჩა აუცილებლად უნდა მირთვა, შენგან მორთმეულ ბომბონიერკას ერთად გავუსინჯოთ გემო, მარტო არ დავაგემოვნებ, იქნებ სულაც მოწამლულიაო, — გაიღიმასავით. გაიღიმასავით და ზუსტად იმავე ხარისხში გავუღიმესავით: — რას ამბობ, მადლობის მეტი რა მეთქმის, მოსაწამლად როგორ გაგიმეტებ-მეთქი. კარგიო, — გაზიდა ისევ, — კაარგიო, კაარგიო, — მომიჯდა გვერდით, მისწვდა ბოთლს, შეავსო სირჩები, მომიჭახუნა, — დაილოცეო, — მითხრა, გადაკრა. დავილოცე, მადლობა გადავუხადე, მოვწრუპე ცოტა, დავდგი სირჩა. — ბომბონიერკას მივხედოთო, — გადაიღო ერთი შოკოლადი, მეც ავიღე. კარგი შოკოლადიო, — ლოღნაში თქვა, თვალი ჩამიკრა თანაც, — რატომ არ სვამო? — მიმითითა სირჩისკენ. ვსვამ-მეთქი, ცოტას ვსვამ, — მოვწრუპე ოდნავ, ისევ დავდგი სირჩა. შეავსო, მომიჭახუნა, — მაინც რა მჭირს, რას ფიქრობ-მეთქი? — შევეკითხე. — განსაკუთრებული არაფერი, თუ მაინცდამაინც გაინტერესებს, ნევროლოგიური პირველი სტატუსი გაქვს, პათოლოგიის გარეშე, რაც შენს მდგომარეობაში არაა გასაკვირი. ის წამლები მიიღე და ხშირად ისეირნე, ყველაფერი კარგად იქნება, შენ გაგიმარჯოსო! — გადაკრა, მერე მომაცქერდა. მომაცქერდა და გამიახლდა იმის შეგრძნება, რომ შიგნიდანაც მიცქერს თავისი მოწყენილი გუგებით. ავფორიაქდი, წასვლის დროა-მეთქი, — ვიფიქრე. რაზე ფიქრობო? — მკითხა. — მეშინია, სტუმარი არ გავაწბილო, შინ უნდა დავხვდე-მეთქი აუცილებლად. — რა გაეწყობა, ნება შენია, კიდევ შევხვდებითო, — წამოდგა. გამიხარდა ასე მარტივად გასრულებული ჩემი როლი, შინ მინდა, იმასთან განმარტოება მინდა, იქ როა, ჩანთაში. — კიდევ ერთხელ გიხდი მადლობას, რა თქმა უნდა, შევხვდებით-მეთქი, — მივუგე იმედისმომცემად, ქვეტექსტითაც, რომ არა ვარ უმადური, ვხედავ სიკეთეს და საერთოდ, ვიმეგობროთ, შევეჩვიოთ ერთმანეთს, მერე ვნახოთ, რა და როგორ. წამოვდექი, ჩანთას მივწვდი, მხარზე მინდა გადავიკიდო და იქ მეუბნება! — დეიკო, გენაცვალე, ვენლაგამის კოლოფი მათხოვე ერთი წუთით, დოზა მაინტერესებს, 37,5-მილიგრამიანია თუ არა, ხომ არ შემეშალა რამეო. მეცხელა ეს რომ მითხრა, ახლოს დგას ჩემთან, ჩანთას რომ გავხსნი, ჩაქუჩს არ მოკრას-მეთქი თვალი. დავაცერე ჩანთა, ჩემკენ ვუქციე პირი, რომ ვერაფერი შენიშნოს. გავხსენი საკეტი, ვღელავ, რადგან აღარ ვარ როლში, სხვა სიტუაციაა, გეგონება, სცენაზე გასვლის წინ შემიცვალესო ტექსტი. ჰო, ვღელავ, მიცქერს — ვგრძნობ, ხელზე მომეჭიდა, თავის ხელთან ერთად ჩააცურა ჩემი ხელი ჩანთაში, ჩაქუჩის ტარზე ჩამავლებინა და ვემორჩილები მის ხელს, ვემორჩილები და რაღაც კივის ჩემში — დავიწვი, სამარცხვინოდ დავიწვი და ჰა, ჩემს ხელში ჩაქუჩი ჩანთიდან და მიცქერს — ვგრძნობ, მე არ ვუცქერ, ის მიცქერს — ვგრძნობ. ჩანთა ჩამომართვა, სკამზე მიაგდო, ჩაქუჩიანი ჩემი ხელი მსუბუქად, უმტკივნეულოდ ამომიტრიალა, ვემორჩილები, ვემორჩილები, მინდა, რაღაც ვთქვა, მოვიფიქრო, მოვიმოქმედო რაღაც, მაგრამ არა, ვერა, მრცხვენია და ვემორჩილები, მის ნებას მივყვები, პირით ვარ მისი სამუშაო მაგიდისკენ, ზურგსუკანაა, ჩემს კეფასთანაა მისი სუნთქვა, მისი ცხვირი, მისი ტუჩები — ჩიბის სუნმა მოაღწია საიდანღაც, ძალიან ახლოს ჩამიხურდა ჩიბის სუნი, მაგრამ მრცხვენია და ვემორჩილები და ხმა, ხმა, ჩემს ხელს ჩაქუჩი აღარ უჭირავს, იატაკზეა ახლა ჩაქუჩი, მისი ხელი კი ჩემს კეფაზე, მზნიქავს მაგიდისკენ, ვემორჩილები, არ ვიცი, რა ვთქვა, როგორ მოვიქცე, მრცხვენია ამის და ვემორჩილები, როცა კაბას მოაცოცებს მაღლა, ტრუსს-ქვემოთ, ზურგსუკანაა და არცთუ მაგარით ჩირთიფირთობს, ჩირთიფირთობს ჩემს ზურგსუკან და მერე ბიძგი ჩემში და ბიძგი ჩემში და ბიძგი ჩემში და ჩაიღვარა. გადმომაწვა, გადმომემძორა ეს მძორი და მეჩურჩულება ყურთან მძორი, — ეტყობა, ძალიან მინდოდი, სხვა დროს სხვანაირად იქნებაო, და შემაწუხა იმან, რომ სხვა დროშიც მხედავს მძორი და, — გამიშვი-მეთქი, გამიშვი! გაიმართა. ხვანჯარს იკრავს, ტრუსს ვიწევ, მიცქერს, კაბას ვისწორებ — მიცქერს, მეუბნება: — არ წახვიდე, ცოტა მოვეშვათ, დავლიოთო, მაჯაზე მკიდებს ხელს, — ხელი-მეთქი, ხელი გამიშვი! — გამიშვა ხელი, ის მემორჩილება ახლა, მისგან ვგრძნობ სიბეჩავეს, რითიც მამაკაცები ბეჩავდებიან, როცა სრულყოფილ აქტს ვერ ახერხებენ და ეს სიბეჩავე უფრო მაგიჟებს, ანდა არა, მაცეცხლებს უფრო, თვითონაც ვგრძნობ ჩემს თვალებში დანთებულ კოცონს. ჩანთა მხარზე, უეცრად მესმის ხმა — სლუკუნივით, ჰო, სლუკუნივით, თუ რაღაც მსგავსი, შევაცეცხლე მზერა, თვალებში ცრემლი უდგას აშკარად და თუ არ ტირის, უეჭველად იტირებს, რადგან განიცდის თავის სიბეჩავეს, საცოდავდება და თავისი გასაცოდავებიდან ამბობს: იცი, რა მარტო ვარ, გეხვეწები, ახლა არ დამტოვოო, — მაგრამ არა, არა, არ შემიძლია მასთან, რა მინდა მასთან, ვინც მოწყენილი გუგები შემომისახლა სხეულში, ვინც ჩემს შიგნიდან იცოდა ჩემი ფიქრები, ვინც აშკარად, ჰო, აშკარად გამაქეზა წყეული ჩაქუჩის მოსაპარად და ისარგებლა, ჰო, ისარგებლა ჩემი სირცხვილით და მერე, როცა სირცხვილმა ნება წამართვა, ჩემი სხეულით ისარგებლა სამი ბიძგის განმავლობაში და ეს გულს მირევს, როგორც გულს მირევს მისი მოცრემლილი თვალები, რადგან ამ ბეჩავთან ქალად ვერ ვიგრძენი თავი და ამ ბეჩავმა არ გამასრულებინა ჩემი როლი და ჰო, შორს მისგან, ამ ჩახუთული, წყეული ბინიდან, სადაც ჩიბის სუნი ტრიალებს, შორს, შორს, შორს და რაც შეიძლება ისე, იმგვარად, რომ მეტად იგრძნოს თავისი მარცხი, მეტად ემწაროს, მეტად შერცხვეს, რადგან მე მემწარა ჩემი შერცხვენა. მისაღებიდან შემოსასვლელისკენ, ხმა მესმის მისი: — ჩაქუჩი წაიღეო, ჩაქუჩი ხომ გინდოდაო! გაითხარე-მეთქი შენი ჩაქუჩი! — მივაძახე, ჩანთიდან წამლის კოლოფები ამოვკრიფე, შემოსასვლელში მივუყარე, მოსასხამს მივწვდი და ჰო, ასე იყო, ახლა რა? რა და არც არაფერი, — ცივი, თავდაჭერილი სალმის თქმა მომიწევს, ერთი ბეწო ქუჩაა, უსალმობა ჭორის საბაბად იქცევა, არ მაწყობს. იმას აწყობს, რო? იმას ჩემზე მეტად არ აწყობს, — ასე რომ, წავიდეს, გამშორდეს, გაცუილდეს ჩემგან. ანდა, რისი იმედი ჰქონდა, რომ აქვე, შორიახლოს გაიჩენდა ქალს, ვინც თავის მარტოობაში შეეხიდებოდა? ფუჰ, შენი! კარგი, დეა, დაიკიდე, ერთჯერადი ცხვირსახოცივით მიივიწყე, იყო — აღარ არის, ესეც ცხოვრების ნაწილია. რამდენი ასეთი ერთჯერადი ცხვირსახოცი იყო შენს ცხოვრებაში, დეა? რამდენიმე. ჰო, ერთხელ მატარებლის კუპეში, ორჯერ ზღვაზე, ერთხელაც გასტროლის დროს, ეს შემთხვევაც მათ რიგში ჩაეწერება — ერთჯერადი ცხვირსახოცების მოკლე რიგში, ჰო, დავიკიდეთ ნიკო, ჩემი ბინის ატმოსფერულ წნევაში ნიკოს ადგილი არაა, წავიდა ნიკო, აბაზანის მილს გაყვა რომელიღაც მდინარემდე, რომელიღაც მდინარეს რომელიღაც ზღვამდე, ჰოდა, დავიკიდეთ, მორჩა!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ALLITEZAZIO

და აღარ წერ და... გუბდება ლექსი...
მდორდება სიტყვა და სისხლს აგუბებს...

გულშიც გუბეა
და ფურცელზეც შხეფი კანკალებს...
სიტყვის შხეფი, დაუოკელი...
ამ გუბემ ლამის გული წალეკოს...

ზოგი სიტყვა
დიდ-არწივის ნაბჯღლევივით
აჩნია ფურცელს...

ერთი ნაბჯღლევი:
ცაცხვის ცრემლი
ცის ცვარივით მოციმციმე,
ლოცვად ნამცვრევი...

და შუაღამურ სიზმრების კვნესას
კითხულობ ფურცლის სისხლისდენაში...
და გადმოიწერ...

და არ დარჩა აღარაფერი,
რაც არა ჩანს,
რაც არწივის ფრთას ეფარება...
რამეა, თუ რამერუმეა:
ცაცხვის ცრემლი
ცის ცვარივით მოციმციმე,
ლოცვად ნამცვრევი...

* * *

ზარივით გასკდა ამდენი რეკვით,
ზედ რომ მამხია ეს თავისქალა...
ნიკო სამადაშვილი

მტკივანი სიტყვა შემეხვეწება,
რომ სტრიქონში დავასახლო, სადაც უდაოდ
ამნაირები უკვე მარხია...

იქ ჩახლეჩილ ხმებს აღარ იღებენ...
უკუნეთში მოხვედრილები
სხვაგან ალაგს აღარ ეძებენ...
და, კაცმა რომ თქვას, ლექსზე უკეთეს
ადგილს, მართლაც, სად იპოვიან...

ტყუილების და ამაო დაპირებების
სისხლით გაჟღენთილ ამქვეყანაზე,
ამ მიწისპირზე,

სადაც თვითონ პოეტებიც შიმშილობენ და,
სადაც გულებზე ვერ ითვლიან
გველის ნაკბენებს...

სადაც ლექსისთვის მრავალწერტილებს
მთვარის ციდან იღებენ და,
საიდანაც თვითონ მთვარე, ოხერმოხეტე,
ყოვლისდამთმენი დოლარივით დაგვჩერებია...

ძველლიბრი რევაზ კვერენჩხილაძეს

და ისევ გული ისმენს ცით ხავილს...
დღეა ნაკერი და განბანილი...
და ლექსი, ძნელად წასაკითხავი,
ვარსკვლავიანი ცის ანბანივით...
და ყოფნის ყეფა, აქ რომ ვიგრძენით:
აუხსნელობა მწარე მომავლის...
და გაზომილი სიცოცხლის სიგრძე
და მწუხარება გაუზომავი...

და ეს ქვეყანა დაცლილ ყანწივით,
ისევ აავსებ და კვლავ დაცლი და
მწარდება თითქოს დროის ნაწილი:
სიტყვა-პასუხი გიწევს მაცილთან...

მისი სიტყვები გულს გიშხამავენ
და ვარსკვლავების ისმენ ცით ხავილს...
და რჩება ოხრად ისევ ამავე
ანბანით ლექსი წასაკითხავი!..

სესხი

იმ წარსულიდან
სხვას არაფერს არ გასესხებენ,
ამ სიტყვებზეც მადლობა გეთქმის:
უკვდავ სიტყვებზე, იმ შორეთიდან
თან რომ მოსდევს დაუყვედრები
თავისუფლების სამოსელი და...

სესხი: მრავალგულგამოვლილი...
სესხი: უდაბნოგამოვლილი და...
სესხი: ეკრანებგამოვლილი და...
სესხი: არწივისგულგამოვლილი...
ლექსიკონებგამოვლილი და...
ბიბლიოთეკებგამოვლილი და...
სესხი: უფლისხელდანაკარები...

ძველლიბრი ჩემი ძმის ირაკლი ციგროშვილის ხსოვნას

შენც, დილის ცაო, ვარამს ასხივებ,
ვიხსენებ სიტყვებს, შენთვის აღვლენილს:
ასი ხმა მომდევს, მაგრამ ასივეს
ეს ფერი ადევს... და შავნაღველი.

მომყვება კვალზე: ჯანღი მეხვევა
თავზე, უმზეო ცის დანაბადი...
ჩემი გზა მისდევს მთების ხერხემალს:
მიდის არსაით და ჯანდაბამდის...

დამცქერენ კლდენი, უალერსონი
და წარსულის ხმა ჩემს გულს ასიებს:
რომ გაჩენის დღე უარესია
სიკვდილის დღეზე... მართლაც, ასეა!

გადააგორე ჯავრის ლოდები,
აჩაღე ცეცხლი: სიტყვა უკეთე...
სხვა რაღა დაგრჩა, უნდა ელოდო
სიკვდილს, გაჩენის დღეზე უკეთესს!

არწივ-ლექსი

აბსოლუტურად თავისუფალი სიტყვა.
შოთა ჩანტლაძე

ეს მთები ჩემს წინ გაიზარდნენ:
კარგად მახსოვს მათი ბავშვობა...

აქ გაიზარდნენ არწივ-სიტყვები:
კარგად მახსოვს მათი ბავშვობა...

და უდაბნოში
წყალი მთხოვეს და:
კვნესა ვასვი
და ფუტკრების შხამი ვასვი და...

აქ გაიზარდნენ ვარსკვლავებიც:
კარგად მახსოვს მათი ბავშვობა...
გამინათეს პოეზიის უმთვარო ღამე...

აქ გაიზარდა გულის უდაბნო:
კარგად მახსოვს მისი ბავშვობა...
ის არწივ-სიტყვებს მეუბნება და:
მკარნახობს სიტყვებს
და მივყევარ ხელისკიდებით...

ეს მიწა ჩემს წინ გაიზარდა:
კარგად მახსოვს მისი ბავშვობა...
მისი უდაბნო, ვარსკვლავების დანაბიჯები
და სასაფლაო, მიწის ფესვივით...

აქ ამოვიდა არწივ-მთვარე და:
გაანათა ღამის ტექსტი, დაუსრულები...

გაანათა შუაღამის არწივ-ლექსები
და იმათ კვალზე
შ. ჩანტლაძის არწივ-ლექსი, ღვთითკურთხეული!
აბსოლუტურად თავისუფალი!..

აჰა: არწივ-ცა, სადაც გაისმის
მათი არწივ-სიმღერები,
ცას რომ ეკუთვნის...
მთვარის ნალევო,
ერთ არწივს ხომ ცას უნათებდი,
გველისმჭამელის უკვდავ სიზმრებს როცა ხატავდა...

გატეხილი ღამეების თანამდევნელო,
შენი ორკეცი სიყვარული ამეტოტება!
არ მიმატოვებს ჩემი უდაბნო,
რომ მივყევარ ხელისკიდებით...

და ჩემს გზაზე არწივ-სიტყვები,
გულს რომ ეცემა
შუაღამის შხამის შხეფივით...

შედევრი

ტყე მაინც მღერის:
ის უმღერის ტყისმჭრელის ხელებს...

ტყე მაინც მღერის:
ის უმღერის პოეტის სულ-გულს,
როცა მე ვრგავ ამ საღვთო ტყეს
პოეზიის ველ-მინდვრებზე და...

ის უმღერის პოეტის შავდარდს,
როცა ეს ტყე ვერ გავახარე...
ვერ გავახარე მე შედევრი ამ მიწაზე და...
ვერ დავიცავი მე შედევრი ამ მიწაზე და...

სიბერის ლექსი

კიდევ ერთი სიცარიელე:
უსიტყვებოდ დარჩენილი პოეტის გული...

ვერც სიტყვას და გულის კლინიკის
მისამართსაც რო ვერ იხსენებს!..

და უდაბნოს ცარიელ ფურცელს
დაჰყურებს და... ბილწი სიტყვების
კარადის კარს ეჯავჯგურება!

ლიბრის ძველლიბრი

ასი ხმით გეტყვის საღვთო სურვილებს
ასი ვარსკვლავი: ზეცის ასი ტყვე...
წამი წამისმწედ გადაწურვილი
ეს შუაღამე შეკრებს შავ-სიტყვებს:
დროის ჩრდილებს და დროის ოცნებებს,
ავხმებს, ავდარდებს, გულზე ნაცხებებს,
რაც ხსოვნას შერჩა, წარუხოცელი,
მწარე სიზმრების სისხლით რაც ღებე...

და ცისპირს გატეხს ჭურჭლის ტარივით
დუმილის დურდო, გულს რო ასიებს...
და ზეცის ასი ჭუჭრუტანიდან
შენ გადმოიწერ ვარსკვლავს ასივეს...
ეს ასი ხმაა, აქ რო ილევა
და დღეც თენდება დღეზე მალევე...
და მთები, ხელში აყვანილები,
რაც შენ გაგექცა, იმას დალევენ...

იმ სიტყვებს, მაშინ პირველნათქვამებს,
იმეორებენ ხმები, ლიბრები...
აჰა, შენი დღეც თითქოს ამთქნარებს
და ვერ იხსენებ, ვის ეჯიბრები...

ისიც არ გახსოვს, ვისი წყურვილიც
ახრჩობს ამ ლექსის უცხო ბინადრებს,
ცა, ვარსკვლავების გადაცურვილი,
ჩაძირავს იმ ხმებს, შენ რომ ინატრე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი ლომოური

ფსიქოტროპული ვიქსები, ანცობები და მინიმები

საქართველო პოეტების ქვეყანაა. ასეთ ქვეყანაში თქვა, რომ პოეტი ხარ და ლექსებს წერ, ნიშნავს: ან მართლა პოეტი ხარ, ან — ამბიციური იდიოტი.

რადგან არც პოეტი ვარ და არც იდიოტი, ვაცხადებ: ვარ „ვიეტი“ („ვითომ პოეტი“) და ვწერ „ვიქსებს“ („ვითომ ლექსებს“). ვანცობ. რიტმულ პროზას ვწერ.

ასე რომ, ვერავინ — ვერც მკითხველი და ვერ კრიტიკოსი — ვეღარ მომედავება, ვერ მეტყვის: რატომ არაა შენი ლექსები მაღალმხატვრული?..

იმიტომ, რომ ვიქსებია და არა ლექსები! — ვუპასუხებ ღიმილით.

თქვენც გაიღიმეთ!

ანცობები

ბლა-ბლა-ბლა
(ანცობა №51)

ამ საუკუნის შუქი, უკუნი, ამ საუკუნის ენის ბლუკუნი, ამ საუკუნის ცრემლი, სლუკუნი, გადამდებია ვირტუალურად... და მისხალ-მისხალ და პიქსელ-პიქსელ თუკი აანყობ ფრენდების იმ ქსელს, სადაც უყვარხარ, სად გაფასებენ, ამ საუკუნის შუქი, უკუნი გახდება შენთვის ერთი ფხუკუნი ირონიული, თუ ჩაცინება, როდესაც უკვე
არ გეძინება, არადა, ხედავ სიზმარს ალალად, და შენი ლექსიც არის ბლა-ბლა-ბლა...

პოეზია, როგორც მდოგვის საფენი
(ანცობა №39)

სიზმარში შევთხზი უსიტყვო ვიქსი, უფორმო ვიქსი, უჩინმაჩინური, არც სუნი ჰქონდა, არც გემო-ფერი, არც ხმას უშვებდა, სულაც არ ჩანდა, თუმცა კი იყო, და იგრძნობოდა, ხელისგულს ფურცელს თუ შეახებდი, შეგახურებდა, სულაც, დაგწვავდა, თუკი ზედ დიდხანს გააჩერებდი... და როგორ ვთხზავდი? ძალზე მარტივად — ვიღებდი ფურცელს, თაბახის ფურცელს, წამით ვიდებდი მუცელზე, გულზე, მერე კი შუბლზე, ბოლოს ვკოცნიდი, დიახ, ვკოცნიდი, ჰოდა, მზად იყო! ასე სჩვევიათ აღმოსავლეთში, როდესაც გულით გესალმებიან, ხელს რომ იდებენ სამჯერ სხეულზე, და მერე შლიან მარჯვენას ლაღად, მხარზეც გკოცნიან, თუმცა ეს, ჩვენთან... სიზმარში ვიქსი, უჩინმაჩინის, აფთიაქებში ჩამოვარიგე, სიმბოლურ ფასად, სულ რაღაც ლარად, მდოგვის საფენად გამოყენება ხალხს შევთავაზე, ანდა სათბურად, მუდმივად მოქმედ, ეკონომიურ საფენ-სათბურად... მას არ სჭირდება არც ცხელი წყალი, არც დენის წყარო და მითუმეტეს, მდოგვის გადასმა! როგორ მლოცავდნენ ღარიბ-ღატაკნი, პენსიონერნი და უპოვარნი! ზამთრის ცივ ღამეს ჩემი ვიქსები უთბობდნენ ძვლებსაც, უთბობდნენ გულსაც, თან გრძნობდნენ კიდევ უხმო მუსიკას! ძლიერ უკვირდათ, მერე ხვდებოდნენ და უხაროდათ, ასე ამბობდნენ — ო, რა კარგია, რომ პოეზიამ ბოლოს იპოვა თავის ადგილი! პოეზიაა მდოგვის საფენი! პოეზიაა ჩვენი სათბური! რაც მთავარია, უხილავია, მაგრამ მხურვალე, ანუ — ნამდვილი!.. გამომეღვიძა და გამეცინა, ეს რა ბრიყვული რამ დამესიზმრა, ვიფიქრე გულში... უცებ ვიგრძენი ცხელი მტვრის სუნი... და რასა ვხედავ, ფურცელი გდია ჩემი ნაჯღაბნით, ალმური ასდის, თვითონ არ იწვის, მაგრამ საბანი გახურებულა...

უხერხული კითხვა ვოლტერს
(ანცობა №23)

ბატონო ვოლტერ, დიდო ბრძენკაცო! როდესაც გვიწერთ: „ამ სამყაროში ყველაფერი ან გამოცდაა, ანდა სასჯელი, ან თუნდაც, ჯილდო, ან — გაფრთხილება“, ერთი გვიბრძანეთ, ჩამოთვლილთაგან რას მივაკუთვნოთ სიტყვათქმნადობა, თუნდაც, ასეთი: „თოვლი ჭრაჭუნობს, არ ჩანს არავინ... იქნებ ზამთარი იშმუშნება ძილში ზმორებით? იქნებ ექოა შარშანდელი შენი ფეხის ხმის?“ და რადგან ვიცი, ვერ მიპასუხებთ, თავადვე გეტყვით: ამ სამყაროში ყველაფერი პოეზიაა!

კაცის ძიება
(ანცობა №20)

ხელოვანის ამოცანა
მთელი კაცობრიობის სუნთქვის ძიებაა.
ტონინო გუერა

იმ ერთი კაცის სუნთქვას დავეძებ, ვინც ჩემთან სახლში, პირველ სართულზე, ლიფტის კარებთან, კედლის ბათქაშზე მიამარკერა წარწერა ესე: „პიანი... აწ... 8951...“ ჟამთა ვაების გამოისობით ჩამოცვენილა ბათქაში თურმე, არ იკითხება სრულად წარწერა, მაგრამ მე ვხვდები: „კაცია მთვრალი, აწ და მარადის“! იქვე — ნომერი მობილურისა, ნაწილობრივად... კაცი გვეძახის თავისთან სახლში, რომ გვაქეიფოს! სურს მოვულხინოთ, ვისაც რომ გვიყვარს ჩუმი სიმთვრალე, სევდით აღსავსე და ნოსტალგიით... დედით რუსია ამის დამწერი, მამით — ქართველი, ჯიგარი ტიპი, ვინაც გვეძახის, რომელიც გვიხმობს, და ვენატრებით, და ვისაც უნდა მოგვიჭახუნოს ჩვენ სავსე მთვარე, ან დილის სიო, ან ათინათი ზღვის ლურჯ ტალღებზე, ან — ცის კამარა... ამას რომ დაწერს კაცი კედელზე, ცხადზე ცხადია — პოეტი გახლავს! რომანტიკოსი და მგრძნობიარე სულის პატრონი! მე მას შევნატრი! გთხოვთ, დამეხმარეთ, მომაძებნინეთ! მაგრამ, ვაითუ, რაღაცა უჭირს?! იქნება ითხოვს, შეწევნას, შველას?! ხალხო, მიპოვეთ კაცი სასწრაფოდ! მაქვს პიანინო მე ასაწყობი!

ტოტი
(ანცობა №1)

ვიცვამდი შარვალს, მეცვალა ტოტი, და გამეცინა, ჩიტი ხომ არ ვარ, ტოტი მეცვალოს, ბუდე დავკარგო? ანდა ვინ იცის, იქნებ ესაა სიკვდილის ღმერთი, მდუმარე ტოტი, ფარაოს დოსტი, უერთგულესი? რა უნდა ჩემგან, სად მექაჩება?.. რა მეჩქარება? ანდა ტოტია იმ მდინარისა, მარადისობის ოკეანეს რომ ესწრაფოდა, მიწის გულში კი ჩაიღვარა და ჩასრიალდა, როგორც რომ ფეხი გზაბნეული, ტოტში შარვლისა? და უცებ მივხვდი, ის ოკეანე ხეზე ლივლივებს, ბუდეში, ტოტზე, თუკი შენია ხეც, ბუდეც, ტოტიც...

ჩონჩხი კარადაში
(ანცობა №49)

Skeleton in the cupboard

ვარ უხერხემლო, ამორფული, ცომივით ლბილი, ვიღვიძებ დილით, მივლივლივებ კარადისაკენ, შიგ შევცოცდები, ჩონჩხს ტანზე ვიცვამ, ვით ლოკოკინა თავის ნიჟარას და ვიმართები, ვხდები კაცი, ადამიანი და მოქალაქე, რომელსაც მიცნობთ და პატივსა მცემთ. გარეთ გავდივარ, ჩონჩხს ვამზეურებ, გამვლელები მესალმებიან, მხოლოდ ბავშვები გამირბიან ტირილ-ღნავილით — ჩონჩხს თუ ხედავენ და ეშინიათ, ჯერ არ იციან ციცქნა შტერებმა, ალალმართალი და წესიერი ამ დღევანდელ დღეს სწორედ ისაა, ვინც კარადაში კი არ მალავს საკუთარ სახეს, არამედ აჩონჩხლილი დაიარება ღიად, უშიშრად, გაღიმებული...

გათვლა
(ანცობა №21)

მე ვარ ზეზვა, შენ კი, მზია, ცხოვრებაა ილუზია, ჩქარა მოდი, თუ ხარ God-ი, გაგვიშიფრე გენთა კოდი, დააგორე მთიდან ლოდი, მიაყოლე ზედ სიზიფე, ცხოვრებაა ერთობ მყიფე, ცხოვრებაა — ვარამი, დღის სინათლე — წკვარამი, ლუკმა პური — არამი, მითხარ ჩქარი სალამი, გადააგდე კალამი, ზეაღმართე ალამი, შეაგროვე წალამი, შევწვათ მწვადი! ძუ და ხვადი, სწრაფად ცვლადი, თანაც, კვლადი, მთაზე ადი, წრიდან გადი!

საშლელიანი მწვანე ფანქარი
(ანცობა №50)

საშლელიანი მწვანე ფანქარი ვიყიდე გუშინ, შავ კვალს რომ ტოვებს, ზომიერად რბილ-ფერხორციანს, ასე ვიფიქრე, რასაც დავწერ, ეგრევე წავშლი, სამარცხვინოა, თუკი სხვები წაიკითხავენ. მერე დავფიქრდი, თუკი უმალ უნდა წავშალო, მაშ, რისთვისა ვწერ?

მრცხვენია რისი? ნუთუ იმ სიზმრის, შენზე რომ მსურდა დამსიზმრებოდა, ოღონდ ვერაფრით ვერ მოვილანდე? ნუთუ იმ ლექსის, შენ რომ გიძღვნიდი, ოღონდ ვერაფრით ვერ ამოვღერღე? თუ იმ ანდერძის, ბექა ქურხულს რომ დავუბარე? როცა მოვკვდები, ჩემი სახლის ზომიერად სუფთა კედელზე, საკმაოდ მაღლა, ონავრებმა რომ ვერ მოგლიჯონ, ვიცი, მიაკრავთ დაფას სახსოვრად, ჰოდა, ნუ დაწერთ: „აქ ცხოვრობდა ღვაწლმოსილი პროზაიკოსი“. არა, დაწერეთ: „აქ ოხრავდა შეუმდგარი მთხზველი ლექსების“. „მაგნუმ ოპუსი“ მისი იყო გამონათქვამი: „მე ვოხრავ, ესე იგი, მართლაც ვარსებობ“... დავხედე ნაწერს, გამეცინა, მწვანე ფანქარი გადავტეხე და მოვისროლე... საშლელი ფანქარს არა სჭირდება. ჩემს კვალს შენ წაშლი, უჩუმრად როცა დაგავიწყდები...

კიბეზე
(ანცობა №26)

კიბეზე
მდუმარე
ხარხარით
ჩავრბივარ
კარდაკარ
კაკუნით
ვაღვიძებ
მეზობლებს
ვაგიჟებ
მეგობრებს
ჩავრბივარ
კიბეზე
ცხოვრების
კიბეზე
მდუმარე
სიცილით
არ ველი
გაღებას
არც მიღებს
არავინ
ჩავრბივარ
კისკისით
ჩავრბივარ
ხალისით
ღია მაქვს
საფლავის
კ
ა
რ
ი

ვიქსები

მოგზაურობა

როგორ დავბრუნდე საკუთარ თავში, თუ არ გავედი ჩემი თავიდან, როგორც სახლიდან? თუ არა ვნახე ეს გამოფენა გასაოცარი? ატრაქციონი თუ კუნსტკამერა? ჩვენი სამყარო, გალა-კონცერტი? არ დამაბნია კაკაფონიამ? არ გამაოგნა ფერთა ზრიალმა?.. ამ სამყაროში მე ვარ მსმენელი, ამ სამყაროში მე ვარ მნახველი, ფარული არსის ვერაღმომჩენი, ფარული ხიბლის ვერამსახველი... დავეხეტები, ჩემს თავს დავეძებ, ამ ჩემს თავს მიზნად მე მოვინიშნავ, რადგან ვარ გარეთ და დაბრუნება ისევ იქა მსურს — საკუთარ თავში... წრეს თუ დავარტყამ ამ სამყაროში, ასე მგონია, ბოლოს და ბოლოს, ჩემს სახლში მივალ, რადგან დრო-სივრცე ბურთივითაა... ამ სამყაროში, ასე მგონია, ყველა ჰანგს შორის ყველაზე ნაღდი არის სიჩუმე, ყველაზე ნაღდი ნახატებს შორის კი არის — ნისლი... რატომ მგონია? ალბათ, იმიტომ, სიჩუმეს ვერ ვქმნი, მე ჩემს თავს ვაჩენ მხოლოდ ხმაურით: სიტყვით, ტირილით, ანდა ღრიალით, ზოგჯერ ჩურჩულით, ან გულის ფეთქვით... ვეძებ სიცხადეს, ბუნდოვანებას მე ვერა ვგუობ, ნისლში ვიბნევი, ვცდილობ დავშალო მთელი სამყარო მის შემადგენელ ნაწილაკებად და ასე მივხვდე, რა ამოძრავებს? რა არის თავად? რა ქმნის სიჩუმეს? ნისლს რა ადედებს? მერე რა ფანტავს?... და ვერც კი ვხვდები, სამყაროს რაც კრავს — მუხის კასრივით, სად ყურძნის სული წლობით იწრთობა, რომ იქცეს რჩეულ, ნატიფ სასმელად, — სალტეა ერთი, სახელად „სიტყვა“... ოღონდ სიტყვაა ისეთი ძალის, რომ ყურთასმენას ჩვენსას ვერ სწვდება, ასიათასჯერ აღემატება და ჩვენ სიჩუმედ წარმოგვიდგება... დაყრუებულებს... როგორ დავბრუნდე საკუთარ თავში, თუ არ მივედი პირველ სიტყვასთან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილი კოლინზი მეტროში

ერთხელ ვაგონში შემომხვდა კაცი, (დუგ-დუგ) მოვიდა ჩემთან და მეუბნება: (დუგ-დუგ) „მე თქვენ გიცნობთ, სერ, ათი წლის წინათ, (დუგ-დუგ) ჩემი ლექტორი იყავით სულაც, ამერიკული ლიტერატურის.“ (ამ დროს გაჩერდა მატარებელი). „კეთილი. და პროფესიით ვინ გამოხვედით?“ „ვარ ონკოლოგი,“ — მოკლედ მომიგო. (ამ დროს დაიძრა მატარებელი). „დაზეპირებას გვთხოვდით ლექსების!“ (დუგ-დუგ) — უცებ მაჯახა. „რა, ცუდი იყო?“ (დუგ-დუგ) — ფრთხილად მივუგე. „დიკინსონის ლექსს (დუგ-დუგ) გეტყვით ახლავე!“ — ისევ მაჯახა. (დუგ-დუგ) უმალ დაიწყო, თითქმის ყვირილით: (დუგ-დუგ) „არის აქ სადღაც ზეცა, (დუგ-დუგ) უფრო ნათელი და სუფთა, (დუგ-დუგ) აქ მზეც სხვაგვარად ანათებს, (დუგ-დუგ) სიბნელის კვალი აქვს თუნდაც. (დუგ-დუგ) ნუ ჩივი გადამხმარ ტყეებს, (დუგ-დუგ) ნურც დამუნჯებულ მინდვრებს, (დუგ-დუგ) ოსტინ, აქ პატარა ტყეა, (დუგ-დუგ) სიმწვანით გონებას გიბნევს. (დუგ-დუგ) აქ გახარებულ წალკოტს (დუგ-დუგ) ყინვის არ ეტყობა კვალი (დუგ-დუგ) და ყვავილების ბაღი (დუგ-დუგ) ფუტკრის ბზუილზეც ჰყვავის. (დუგ-დუგ) იქნებ მოხვიდე, კარგო, (დუგ-დუგ) ჩემს ბაღს შეავლო თვალი!..“* (დუგ-დუგ) მორჩა თუ არა, მატარებელი უმალ გაჩერდა. დავემშვიდობე. გაველ ბაქანზე და უცებ ვხედავ, მეორე ხაზზე ქარავანია აქლემების და ბედუინების. (ეს ყველამ ვიცით, დაბორიალობს უკვე მრავალი წელიწადია ეგ ქარავანი მეტროს ხაზებზე, არავინ უწყის — რისთვის და რატომ)... მაგრამ უეცრად ბოლო აქლემზე მჯდარმა მხედარმა რაღაცა მტყორცნა! ქაღალდის „მტრედმა“ ირაო შეკრა და ჩემს ფეხებთან დაეშვა ზუსტად. დავწვდი, ავიღე, „მტრედი“ გავშალე და წავიკითხე: „ოაზისი მირაჟია მაგრამ, არის აქ ზეცა, ემილი ჰქვია...“

არ წამოხვიდე

ჰორიზონტს იქით წამო...
გაგა ნახუცრიშვილი

არ წამოხვიდე ჰორიზონტს მიღმა, ჰორიზონტს იქით ქრის ფერფლის ქარი, თოვლია შავი, ცრის მურის წვიმა, ჰორიზონტს იქით მზე არის მკვდარი. ჰორიზონტს მიღმა დრო შეიკვეცა, გამრუდდა სივრცე, არ ჟამობს ჟამი, ჰორიზონტს იქით დაბნელდა ზეცა, არ ისმის ბგერა, არ ისმის ჩქამი... არ წამოხვიდე ჰორიზონტს მიღმა... აღარ მაღელვებს ცრუ იმედები... აღარ სჭირდება ლექსს ზუსტი რითმა... ვნებებს იჭერენ რკინის ღვედები.

როდესაც ხელებზე დაიხედავ

როდესაც ხელებზე დაიხედავ და ტოტებს დალანდავ, როდესაც ფეხებზე დაიხედავ და ფესვებს აღმოაჩენ, როდესაც დაიყვირებ გაოგნებული და შრიალი გადაუვლის შენს მწვანე ფოთლებს, მაშინ იფიქრე, რა ბედნიერი ხარ, რომ ხედ იქეცი, რომელიც არ კლავს, არ ცრუობს, და არ თვალთმაქცობს, არავინ არ სძულს, არ შურს და ცილსაც არ სწამებს, და არაფერი არ აწუხებს ამქვეყნად, გარდა ერთისა — უნდა რომ იქცეს... ადამიანად.

გამოვიზამთრებთ

გამოვიზამთრებთ, ადრე თუ გვიან, გავა ზამთარი, ჩადგება ქარი, და მერე ვიტყვით, რა კარგი იყო, როცა გვციოდა, და ვსაუბრობდით ქარის ზუზუნში... და ჩაგვეძინა, როდესაც ქარმა ყური მოგვიგდო...

როდესაც მცივა...

ზაზა თვარაძეს

როდესაც მცივა... ლოგინში ვწვები, რად მინდა ვინმე, რად მინდა ხმები, თან მიმაქვს წიგნი, ვკითხულობ ზაზას, იმდენად ცოცხალს, რომ მიბნევს თავგზას, იმდენად ძალუმს, გულს ჩამირაზავს, დამღლის, გამტანჯავს, გამომაფხიზლებს... გადავდებ გვერდზე... სხვა წიგნს ავიღებ, ვკითხულობ გაგას, ვკითხულობ თემოს, ნათელი სევდა აქრობს უგემურ განცდას სიცივის, ზაზას ლექსი კი მაინც გულშია, გულში ჩამძახის: „ჩხრრაამმმძძუნგ, ო, ჩხრრაამმმძძუნგ“!.. რა დამრჩენია? ძალუმი სევდა, დამიწებული, მხოლოდ ფიქრი და კარის ჩარაზვა, არ შემოვიდნენ შენი REX-ები, რომ დაგეძებენ მღვრიე თვალებით, გადამთვრალები... ვინმეს გინახავთ, როგორ ტირიან ციცქნა REX-ები? შენი ზავრები? ჩემი ცხოვრების თანამგზავრები? შენი ლექსები?

ვერ-ლიბრი

ლიბრი — თეთრი გაუმჭვირვალე ლაქა რქოვანაზე.

თვალზე გადამეკრა ლიბრი, ყურზე გადამეკრა ლიბრი, გულზე გადამეკრა ლიბრი, პირზე გადამეკრა ლიბრი, ვერ ავიტანე ლიბრი, ვერ მოვიშორე ლიბრი, მე თავად გავხდი ლიბრი.

ლიბრი, რომელიც მიცავს შენგან — არ შემოგხედო. ლიბრი, რომელიც მიცავს შენგან — არ მოგისმინო. ლიბრი, რომელიც მიცავს შენგან — არ განგიცადო. ლიბრი, რომელიც მიცავს შენგან — არ გითხრა სიტყვა, ერთადერთი: ვერ... შემიყვარდი!

ბაბუაწვერა გზის პირას

ოდესღაც ვიყავი ბაბუაწვერა. გზის პირას გავჩნდი. თხრილს და გზატკეცილს შუა, მიწის ზოლი იყო ვიწრო, ბეწვის ხიდივით, გაწყვეტილი ბეწვის ხიდივით, ორ უფსკრულს შორის რომ აერთებს წარსულს წარსულთან... გზაზე დაქროდნენ მანქანები, ხოლო თხრილში ყიყინებდნენ ბაყაყები და ლპებოდა ტყავის პორტფელი. ვიდექი, ღრუბლიან მზეს ავყურებდი და მიკვირდა, მანქანამ რომ გადამსრისოს ყიყინ-პიპინით, მაგისთვის გავჩნდი?

ველოდებოდი, ვცახცახებდი და... მიხაროდა! მანქანის ყოველ ჩაქროლებაზე ხელმეორედ ვიბადებოდი და ბაყაყების ყიყინი საგალობლად მეჩვენებოდა. მაგრამ ო, არა! უნდა გავიქცე, უნდა გავიქცე, ბორბალს ავეკრა, საბურავის ღრიჭოში შევძვრე, და ასე მივიდე აღთქმულ მინდვრამდე — ბაბუაწვერთა, სად ბაყაყები, ღრუბლები, და მანქანები ღამის კოშმარად გამახსენდება. ველოდებოდი. მაგრამ ამაოდ. არ ჩერდებოდა გვერდით მანქანა. შიშს შევეჩვიე, სუნთქვასავით ჩვეული გახდა. ოღონდ ყოველ ჩაქროლებაზე მეკვროდა სული. აი, ერთხელაც ჩემს წინ მანქანამ დაამუხრუჭა, ღრჭიალით შედგა. ორნი გადმოვიდნენ. მაშინვე მივხვდი, ერთი შენა ხარ, ციცქნა გოგონა, მეორე კი — ღიპიანია. ბორბალს დახედა თავის კანტურით, საბარგულიდან გრძელი რკინა ამოაძვრინა, ლაჯებში მოსდო თავის მანქანას, არღანივით დაატრიალა, ყიყინის ხმაზე. შენ კი მოხვედი, დამწვდი, მომწყვიტე, „გაფრინდი, ბაბუ!“

ჩამჩურჩულე და შემიბერე. მყის დავიშალე ათას ნაწილად: მზის ბუმბულებად... გულში ჩამიკრა ნიავმა უმალ და გამაფრინა, აღთქმულ მინდორზე... სულის შებერვით შთამბერე სული...

ჭრიჭინობელა

თემურ ჩხეტიანს

ყელში მეჩხირება ბურთი... ჩემი ბურთი, არაა ბურთი, უფრო კვერთხია საბრძოლო, ეკლიანი, სახელად — ჩუგლუგი.

ყელში მეჩხირება ცრემლი... ჩემი ცრემლი, არაა ცრემლი, უფრო გაყინული წვეთია წარღვნისა, სახელად — ცხოვრება.

ყელში მეჩხირება საღამო... ჩემი საღამო, არაა საღამო, უფრო მეგობრის სტუმრობაა, გუშინ რომ მითხრა, რა ლამაზად გალობს ჭრიჭინობელა...

მინიმები

* * *

შენზე ფიქრია
ქაღალდის ფრანი,
გადაკარგული
მეშვიდე ცაზე.
ბავშვებს გაექცა,
ვერც შენ გიპოვა.

* * *

კოცონი ჩაქრა.
არადა ფერფლი ჯერაც თბილია.
დაჰბერა სიომ.
გაკრთა წყვდიადში ალის აჩრდილი.
ნაპერწკალია?
იქნებ მოფრინდა ციცინათელა —
ჩუმი სიბერე?

* * *

კალია მზეზე
გარინდებულა.
თუ დაგინახავს,
შენსკენ ისკუპებს.
მზეზე ახლოს ხარ.

* * *

დედის საფლავზე
დამჭკნარ კალათში ვნახე —
ფოთოლი მწვანე.
ნოემბერია უკვე.
ზამთარი აღარ მაკრთობს.

* * *

ჭიანჭველას ზურგი
ისეთი მყიფეა,
ჩრდილს ვერ იკიდებს.
სხივს მის ზურგზე
გარდატყდომა ეთაკილება...

* * *

ბლანტი სიჩუმე.
გეგონება, მოვიდა თოვლი.
აღარ ისმის სამყაროს სუნთქვა —
მოხუცი დედის ფეხის ფრატუნი.

* * *

ვერამოთქმული ლექსი
არშობილი ჩვილის ტირილია
ვერშემდგარი დედის სიზმარში.

* * *

ვით თივის ზვინზე ბასრი ნამგალი,
ოქროსფერ თმაზე ელვარებს სარჭი...

თავთავს რომ ცელავს ბასრი ნამგალი,
რად მეცოდება? ამ ჩემს გულს რა სჭირს?

* ემილი დიკინსონის ლექსის თარგმანი ეკუთვნის ხათუნა ბოლქვაძეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციკლიდან „ხევსურეთს ამბად ნათქვამი“

ცად წასვლა...

...მუცოს მხრიდან მასულან მტრები...
ბევრან ყოფილან
და ღვარცოფად
ჩამოჰყოლიან არღუნის ჭალას...
შავიწროებულ შატილივნებს
ძლივ შაუსწვრავ თავის კოშკებში.
ხირჩლუა კი
წვრილ ცოლ-შვილით
ქაჩუს მაღალზე შახფარებივ ციხესიმაგრეს
და გმირობაიც დიდი უქნავ:
ბევრ მამხდურისად
სამზეოს მზე დაუბნელებავ,
ბევრ მამ-პაპათად შაუწირავ,
ზოგიც თავისად ჩაუთქვამის:
— საიქიოში წყალთ მამტანად,
ჯღანთ ამამსხმელად დამჭირდებითავ...

ერთ კვირას დუშმან უხოცავის მარტუა ხირჩლას,
ერთ კვირას ციხის კედლის ძირში
სისხლის ტბა მდგარას,
ერთ კვირას მის ხმალს არ სძინებავის,
ერთ კვირას ხირჩლას თოფის წვერზე
ალ ჰკიდებავის...
ბოლოს მტერს მაინც უმძლაბრებავ, —
ციხის კარებ ჩამაუნგრევავ,
ბეჩავ ხირჩლასაც ტყვია-წამალ გასთავებივას,
მშველელ კი სოფლად აღარვინ ყოფილ...
მაშინ ხირჩლუა თავის ცოლ-შვილს მიჰბრუნებივას:
— მოდივ, დიაცო,
ეგ ბალღებიც აქ მამიყვანევ,
რა ვქნათავ? რაივ?
ღმერთ-სალოცავმ ესრე ინებავ,
რა ჩვენ ბრალიავ!..
მეაც აღარა შამიძლავავ,
მეტ ძალ არ მაქვავ,
თქვენს თავს მტრის ხელში
ცოცხალ თავით ვერ ჩავაგდებავ,
მე თქვენს ცოდვას ვერ დავიდებავ...
რა ვი, ეგენივ, ურჯულონივ,
რას-რა გიზმენავ?
იქნებ, ნამუსიც აგხადანავ,
თავ მაგვჭრანავ, გაგვამასხრანავ,
რა პასუხ გავსცავ თემ-სოფელსავ —
თავის ცოლ-შვილს ვერ მაუარავ!..
ან შენს მამისახლს როგორ ვეჩვენავ?
— ქალ მაგეცითავ,
შენ კი ნამუს ვერ შაუნახევ,
საქვეყნოდ ყველა შაგვარცხვინევ,
ვერ ივაჟკაცევ!..
ამ ბალღებსაც, არვინ იცისავ,
რას უქმენავ?
იქნება, რჯულიც შაუცვალანავ,
ხევსურთა მტრებად გაზარდანავ,
წინაპრების საფლავებიც ათხრევინანავ.
არავ, მაგასავ ვერ ვიზამავ,
სხვა გზას მავსძებნივ...
სჯობავ, აქითავ, ყველანივ... ცაში წავიდათავ,
ჩვენ მამ-პაპათ
სახელიანებ მიუვიდათავ, —
უთქვამ ხირჩლუას დიაცისად
და უფსკრულში
ცოლ-შვილთან ერთად გადაფრენილას...

თავის დარდისთვის მოუცლელი...

...უფროსი ვაჟის საქორწილოდ
ლუდი ადუღა გამახელამ,
არაყიც ბევრი გამახადა
და ქვაბ-ჭურჭელი ამოავსო წინწარაქლებით...

სამ დღეს ფქვავდა გამახელა
სალუდე ხორბალს,
სამ დღეს ცხენ-ჯორით
ჭალაშიით ზიდავდა ნაფქვავს
და მზის სხივი დასთამაშებდა ბოროლას მწვერვალს...

შვიდი დღის თავზე
საქორწილოდ უხმო თემ-სოფლელთ:
გაღმელთ-გამოღმელთ,
პირიქითელთ და პირაქეთელთ,
სისხლ-ხორცით თავის ბიძაშვილებს
და ნათესავ-მოკეთეებს
მთაში თუ ბარში...

მაგრამ, თურმე, ეშმას
არ სძინავ,
სუ იმას ფიქრობს:
ვის რა ავნას, რა უხიმანას,
ვის დღე უქციას უკუნ ღამედ,
ვის ლხინ — სიმწარედ...

გამახელასაც ეეგრ მაექც,
შავ დღე დაუყენ —



ბაღათერ არაბული

ლექს-ანდრეზები

უფროსი ვაჟის მექორწილეთ როცა მაელოდ,
უმცროსა ვაჟი, დილისპირზე,
ქისტებისგან მაკლულ მაჰგვარეს...

ძალიან შაწუხდ გამახელა,
ბევრი იშქუნა,
ჭერხოში ჩუმად ივიშვიშა,
თავ კედელს ურტყა —
ყველა სიმწარეს იფიქრებდა,
ამას კი ვერა,
მაგრამ ახლა რაღას იზამდა,
სტუმრები უკვე, საცა იყო, მაადგებოდეს —
ლხინ-ქორწილში დაპატიჟებულთ
მოთქმა-ტირილს ვერ დაახვედრებდ,
იმათ სიხარულს ვერ გაუმწარებდ
და მოქვითინე თავის დიაცს
შაუძახა გასამაგრებლად:
— გეყოფის, ქალო, ეგ გოდება,
მაგის დრო არ გვაქვ,
ეს ამბავ ახლა სოფელშიაც არვინ გაიგას,
ლხინზე მამავალ სტუმარ-მამსვლელ
ჩვენი დარდით არ შავაწუხათ,
ქორწილ მიღებულ წეს-ადათით
უნდა ჩატარდას,
მემრე კი, მემრე, ჩემო დიაცო,
დავჯდათ და ერთად დავიტირათ
ჩვენი ვაჟი,
მტრების ტყვიისგან გულგანგმირული...
შენც დადეგ, მზეო, და დაგვიანდი,
შვილი ეყრება დედ-მამათა...

ორ დღეს ისმოდა საქორწილო
ტაშ-ფანდურის ხმა,
ორ დღეს მღეროდა გამახელა
თავის მძახლებთან,
ორ დღეს ილხენდნენ მექორწილენიც...

მესამე დღეს კი,
როს სტუმრები მიეფარნენ ხეობის ბოლოს,
გამახელაის მოთქმა-გოდებამ შასძრა სოფელი...

მხოლოდ მერეღა მოიცალა
გამახელამ თავის დარდისთვის...

დასაკუთრებული მზე...

...მამესწვერას მაწმაში,
საბარუათ თავს, მიუვალ კლდეში
ჰქონივას ბინა...
ის ყოფილას სოფლის დამცველი,
ადგილ-მამულის შემნახველი, გამმტკიცებელი,
მტერ-დუშმანისად მედგრად დამხვედრი,
ხმალ-თოფ-ისრის მარჯვედ მხმარები,
მოკეთისად სიკეთის მქნელი,
მასპინძლობით სახელგანთქმული,
ლუდ-არაყით თავმომწონები...

რავი, რაისად,
მეზობელ სოფლელნი — დათვისელებ შამასწყრომიან:
— ჩვენს მდინარეზე
წისქვილის დადგმას გიკრძალავთავ, —
უთქვამ დათვისელთ,
ეს მდინარეივ დათვისშიით მაედინებავ,
წყალიც, ჭალაიც, ორივ ჩვენიავ,
ჩვენს მდინარეზე მაწმაველებს
რა წილ გიდევსთავ?!

გაბრაზებულას მამესწვერა,
ცოფებ უყრავის:
— ეგ სულძაღლნივ რამ გადარივნავ,
წყალს მიჭერენავ,
მდინარეზე არ მიშვებენავ!..

და გამწარებულს დათვისელთად დაუბარებავ:
— მზეზე გასულნ არსად გნახნათავ,
საფქვავ-სარეცხ არ გაჰფინათავ,
თორემავ ყველას დაგთოფავთავ,
ყველას დაგხოცთავ;
თუ წყალ თქვენიავ,
მაშინავ მზეივ ჩვენ ყოფილავ —
ჩვენი სოფლიდან ამოსულივ ჩვენ გვეკუთვნისავ!..

და მამესწვერას თავის ნათქვამ შაუსრულებავ,
დათვისელთად მზის მიცემა აუკრძალავის,
მზე მაწმაველთად მიუკუთვნებავ...

თაოდ კი... არა უნაღვლებავ
და ახალ წისქვილი
მაწმაოს ძირს,
საარაგვოზე აუშენებავ...

გუდანის ჯვრის დროშა და მესამასე არაგველი

...კრწანისის ომში
ფშავ-ხევსურებ ბოლოს ჩასულან...

მტრის შამასევა
არაგველებს გვიან გაუგავ
და სოფელ გუდან,
ჯვარის კარზე
სამას მებრძოლ შაგროვებულ, —
ერთმანეთზე მჯობნი ვაჟები...
სამას ხმლის პირზე
სამას მზის სხივ აცეკვებულას,
სამასი ფარი
სამას მთვარედ ამონთებულ იმათ მხარ-ბეჭზე...

არაგვის ხაფით
ჩაჰყოლიან ჩაღმისკე ჩაღმართს
და კრწანისში ჯვარის დროშით ბოლოს ჩასულან...

ბევრა უხოცავ,
ბევრაისად აუგავ წირვა,
მაგრამ ურიცხვ მტერს უძალავ მაინც —
ორას ოთხმოცდაცხრამეტ მებრძოლ ველზე დარჩენილ,
ყველან გმირულად დაცემულან,
მხოლოდ მედროშე გადარჩენილ —
გულ-მკერდში დაჭრილი;

— დროშა ჯვართ უნდა დავუბრუნავ,
აქ, ამ ველზე ვერ გავსწირავავ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუშმანის ხელში ვერ ჩავაგდებავ, —
უთქვამ გულსშამდგარს
და ხევსურეთის გზას დასდგომივ ხმალს დაყრდნობილი...

მეოთხე დილას ამოსულ მთაში
და სალოცავში დროშა კრძალვით დაუბრძანებავ:
— ჩაიბარეთავ, დალოცვილნო,
თქვენის ძალითავ
უსახელოდ არ გვიომავავ,
მტერივ სიმრავლით მაგვერიავ,
თორემავ ისე ვერას გვიზამდავ, —
უთქვამ ჯვართად მუხლზე დაჩოქილს
და სისხლდაცლილ გათავებულას...
...
დღესაც გუდანში
მის საკარგყმოდ საწდით ლუდს დგამენ
და ხატის დროშის გადამრჩენელს
შასანდობარს ეუბნებიან...

ხვთისავარა

...ჯიხვთ გადევნებულ ხვთისავარა
კლდეებიდან გადაჩეხილას
და მთელ ცხოვრება
თავის ლოგინს მიჯაჭვულ ყოფილ...

სიკვდილის წინ კი
თხოვნა-ანდერძ დაუბარებავ:
— ამ წუთისოფლად
მწოლიარედ გდება მამწყინდავ,
ჩემ ყოფით ყველა შაგაწუხეთავ,
ვერცავ ვერავის გამოვადექივ,
გვერდშიაც ვერვის დავუდექივ,
მტერ-მოკეთესაც საკადრისად ვეღარ დავუხვდივ,
სოფლის ჭირ-ლხინშიც ვერ გავერიევ;
აქავ ცოცხლებში არ ვეწერევ,
იქავ — მკვდრებშიავ...
ამიტომ ყველას გევედრებითავ,
ეს ერთ თხოვნა შამისრულეთავ:
მწოლიარეს ნუ დამმარხავთავ,
ფეხზე მდგომელა დამმარხეთავ,
იქნებ, იმ ქვეყნად მაინც ვიარავ,
წინაპრებს იქნებ გამავადგავ,
იმათ ლაშქარში ჩავეწერავ,
იმათ ჭირ-ლხინ გავიზიარავ...
...
ძმა-ბიძაშვილებს
ხვთისავარას ბოლო სურვილ შაუსრულებავ...

შაბრალება მგელმაც იცისავ...

...სამძიმარაის ქმარ მაუკლავ
ზამთრისპირზე გადმოსულ ქისტებს
და სამ ბალღით —
დაცლილ სოფელში —
ბეჩავ დიაც მარტუა დამრჩალ...

ახლომახლოსაც არვინ ცხოვრებულ
საწყალ ქალის შამბრალებელი,
იმის ტკივილის გამზიარები,
ხმის გამცემი და ჭირის მწყენელი,
შეშათ დამჭრელი,
საწისქვილოდ ხორბლის წამღები...

უქვითინებავ დაქვრივებულ სამძიმარას:
— რა ცოდვა გვქონდავ ეგეთაივ?
ვინ დაგვწყევლავ? ვინ დაგვაქციავ?..
მტრებმავ ბალღებიც არ მამიკლანავ
ან შიმშილით არ დამეხოცანავ... —
და იმ ზამთარს მამისსახლში
დაბრუნება გადაუწყვეტავ...

გზაზე მიმავალს ანატორთან
მგლების ხროვა ასდევნებივას;
იმათ ყმუილს ხევხუვ შაუძრავ...

შაშინებულას სამძიმარა:
— რაღა ვქნაევ?
რა გზას დავადგავ?
შვილებ მგლებს როგორ შავაჭმევიავ?.. —
თან კიდევ იმათ დასაფრთხობად უკივილებავ,
მშველელისად უძახინებავ,
ჯვარ-ხატთადაც ბევრა უხვეწნავ:
— ღმერთო, გვიშველევ,
ხახაბოს გორის სალოცავო,
შენ შეგვეწიევ, გადაგვარჩინევ,
ბალღებს შენ კალთა გადააფარევ... —
და ნაძვის ძირში უჩუმრად მიმჯდარს
შვილებ კაბის ქვეშ შაუფარებავ...

მგლების ხროვას ერთ დედა მგელ გამოჰყოფივას
და ჩაცუცქულ ქალთან ახლოს
ლეკვებით მისულ...

იმათად ირგვლივ შამაუვლავ,
კაბის ქვეშ მტირალ ყმაწვილებიც დაუყნოსავის...
მემრე კი... უკან მიბრუნებულს
თავის ენაზე
მოძმეთად რაღაც შაუყმუვლებავ;
როგორც ჩანს, ის უთხრ:
— ეგიც ჩემსავით წვრილშვილიან
დედა ყოფილავ,
ვერ შავშჭამთავ,
მაგათ ცოდვას ვერ დავიდებთავ...

და ყველან ერთად თავდახრილებ
წასულან ტყისკე...

ძველებ ამბობდეს:
— შაბრალება მგელმაც იცისავ...

ციკლიდან „ელეგიები“

ტკივილი

... აღარც მაწმაო,
აღარც დათვისი,
აღარც ბისო და აღარც ხახმატი,
მე კი მეგონა, ახალუხლებით გახალისებულ
ფეხონს ვნახავდი...

აღარც აჭეხა,
აღარც ქობულო,
აღარც ჭიე და აღარც მაღრანი,
მაღრანში აღარც ციხის პატრონი
და აღარც მისი ციხე მაღალი...

აღარც არჭილო,
აღარც ანდაქი,
აღარც გურო და აღარც კისტანი,
სტუმრისთვის აღარც სუფრის გამშლელი
და არც საფლავზე ტაბლის მიმტანი...

აღარც თორღვა და
აღარც მამუკა
და აღარც ხირჩლა ბაბურაული
აღარ მხვდებიან საარაგვოზე,
როცა გორშეღმის ჭალებს ავუვლი...

დადუმებულან სალოცავები,
წაშლილა თემის საზღვარ-სამანი
და შამბით მოცულ ნასახლარებში
გამეფებულა სევდა სამარის...

აღარც ის გმირი სამასი მოყმე,
მტერს შელეწილი თავის ფარ-შუბით,
აღარსად მათი ხაფი — ყიჟინა,
არც მათი ხმლების გამონაშუქი...

მხოლოდ ჩაშლილი ნაფუძნარები,
მარტო ჭინჭარი, მარტო შალანი,
არც ქალ-დიაცნი, აღარც ყმაწვილნი,
აღარც მოხუცნი — მათუსალანი...

კვლავ დუმან მთები გულჯავრიანნი,
კვლავ მიმოდიან ცაზე ღრუბლებიც,
თქვენც კვლავ ჩემთან ხართ,
თქვენ ჩემში ცხოვრობთ,
საფლავებიდან მესაუბრებით...

ისევ ის ნისლი, ისევ ის წვიმა
და მწვერვალებზე — ქარი — ლემადე —
ჩემამდე გრძელი გზაა სავალი,
მოკლე გზა დარჩა უკვე თქვენამდე...

ცა მოქუფრული, ღამის წყვდიადში
შიგდაშიგ ელვის ღიმილს გაურევს
და საბრძოლველად კვლავ გზას უნათებს
ძაღლიკას ჯიშის ხიმიკაურებს...

თქვენი ფიქრით და თქვენი წუხილით
ჩემში არსებობთ სამარადჟამოდ,
დრო კი მედინი მიედინება
და ყველაფერი წაშალოს, ლამობს...
...
აღარც მაწმაო, აღარც დათვისი,
აღარც ბისო და აღარც ხახმატი,
მე კი მეგონა, ახალუხლებით
გახალისებულ ფეხონს ვნახავდი...

ჩვენც დავბრუნდებით მაწმაოში ადრე თუ გვიან...

ბათირა არაბულის ხსოვნას

...სევდით ვიგონებ მაწმაოს გორს, კლდისთავს, ნახიზნარს
და ცრემლი მახრჩობს უკვე დაცლილ სოფლის ნახვისას...

დიდი სითბოთი, ვინც სიყრმიდან გულს გვიხუხავდა,
მანდა წევს ყველა, მაგ დაკოჟრილ, ბებერ მუხათთან...
დადუმებულა ნასახლარი, სათიბ-სახნავი —
ჩვენგან დიდი ხნის მოუვლელი და უნახავი...

გადაცრეცილან ველ-მინდვრები, მოსილან სევდით,
ნისლის ბურუსით იბურება ბოროლას ქედიც...

აღარ მოისმის ჟრიამული ახალუხლების,
ყვავის ფოთლებით გაფოთლილან ახლა მუხებიც...

მაღლა, მუხათთან, სად საფლავებს დუმილი ფარავს,
მივებარებით ერთხელ მიწას, თუ მიგვიბარა...

და, რადგან ყველას წუთისოფლის მგზავრები გვქვია,
ჩვენც დავბრუნდებით მაწმაოში ადრე თუ გვიან...

მანდ მოვალთ ბოლოს, სად დაიწყო ბავშვობა ჩვენი,
კვლავ ბავშვობაში ჩავსახლდებით და იქ დავრჩებით...

ჩვენ იქ ვიცხოვრებთ, უდარდელნი და უზრუნველნი,
ფოთოლ-ყვავილთა დაგვებნევა თავზე სურნელი...

ისევ მოვისმენთ ქართა მოთქმას და ქართა ხვივილს,
სულს გაგვინათებს ვარსკვლავების ციური სხივი...

თავს შევაფარებთ ზეცის დარბაზს დღითა და ღამით,
რომ მზის და მთვარის ნაბიჯების ჩაგვესმას ჩქამი...

ისევ შევიგრძნობთ ხეთა შრიალს, სუნთქვას მოლისას,
ოდეს ბალახი სოფლის მინდვრებს მწვანედ მონისლავს...

ამ ტკივილების გასაკურნად, მოსაოხებლად
ისევ შევხვდებით კალოთგორზე ანდა ქოხებთან...

დაუოკებელ უცხო ჟინის იმ მათრახებით
კვლავაც ვაქროლებთ ბედაურებს, კვიცებს გავხედნით...
...
...სევდით ვიგონებ მაწმაოს გორს, კლდისთავს, ნახიზნარს
და ცრემლი მახრჩობს უკვე დაცლილ სოფლის ნახვისას...

გახსენება

...სად არის ახლა ის მამუკა ქალუნდაური,
რომელმაც მარტომ სანეს წვერზე
მტრის ლაშქარი განახევრა?
და მერე თოფი მიწაში ჩაფლო,
რომ მეტი აღარ შემოჰკვდომოდა?!.
ანდა კიდევ თორღვა ძაგანი? —
ჯაჭვის პერანგი მდინარეში ტანიდან რომ გაუცურდა და
მოსისხლის ისარმაც არ დაინდო?
სად არის ხირჩლა ბაბურაული?
ანდა იმ ვეფხვის მომკვლელი მოყმე?
ან მოყმის დედა? —
ვეფხვის დედა რომ შეიბრალა!..
რა იქნენ:
ლიბოდამსკდარი ციხის პატრონი თინიბექი?
აკათ სუხა და მელექსე ხინკალაური?
სად არიან ის ვაჟები სვილისფერანი? —
არხოტიონნი, შატილელნი,
პირაქათელ-პირიქითელნი? —
მტრის ჯარს რომ რისხვად თავს ესხმოდნენ,
შიშის ზარს სცემდნენ...
სად არის ახლა ის ძაღლიკა ხიმიკაური? —
ხის ხანჯლიანი ერეკლეს რომ ეახლა ომში?
სად არის დიდი გულთმისანი ხოგაის მინდი?
...
ყველას,
ყველას სძინავს ხევსურეთის ნაღვლიან მთებში...
...
სად არიან გულზვიადი აბაისძენი?
ან
თირუზანი, ბეწინწურა და ბათარეკა ჭინჭარაული?
მამესწვერა, მაწმაოს კლდეს შეფარებული? —
მაწმავლების ადგილ-მამულის შემნახველი,
გამმტკიცებელი?
ან სანათა — სანთელივით ყელანთებული?
სად არიან,
სად არიან ის სიყვარულისთვის დაბადებული ქალ-ვაჟები?
...
ყველას, ყველას სძინავს ხევსურეთის ნაღვლიან მთებში!
...
რომელ მზეს გაჰყვნენ ჩემი ტკბილი მეზღაპრეები:
ბიძა ველგუჯა, აბიკა და ბრძენი სუმბატა?
ჯამრულთ ბაბუა, ჩარუხელა, სუხა, ბაჭყია?
ან ის ზღაპრები სად ჩაიფერფლნენ?
სად ჩამოღამდნენ ის კაფიები და სიმღერები, —
რომელთა ხმაზე ზამთარიც კი გაზაფხულივით
ლამაზი და ყვავილოვანი მეგონა ხოლმე
და მე, მათ ჩრდილში შეფარებულს,
ზეცისკენ ფრენა მეწადა ხშირად...
...
ყველას,
ყველაფერს დიდი ხანია უკვე სძინავს
ხევსურეთის ნაღვლიან მთებში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბექა ბერულავა

სასურველი სიკვდილის ძიებაში

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ სახლისკენ მივდიოდი, ღამეც იყო და ყინავდა კიდეც იმდენად, რომ შემაწუხებელი სიხშირით მიწევდა საკუთარი თავისთვის გამეორება — საკმარისად თბილად, ყინვაგამძლედაც კი გაცვია-მეთქი. დაჯერება მაინც მიჭირდა, რა თბილადაც უნდა მცმოდა, აშკარად არ იყო საკმარისი, სხეული მეტს ითხოვდა და დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებებით ალაგ-ალაგ ნემსებივით და მტკივნეულად მჩხვლეტდა. მე კიდევ ბავშვობიდან ვერ ვიტან ნემსებს და გავბრაზდი კიდეც, თითქოს ყინვა საკმარისი არ ყოფილიყო, ჩხვლეტა რაღას დაემატა-მეთქი (მინავლებული ბრაზი იყო, გარემო პირობების წყალობით ჩაქრობისთვის განწირული).

ადრე თუ გვიან, ასე რამდენიმე წუთში (ანუ უფრო ადრე, ვიდრე გვიან) მივაღწევდი კიდეც სახლს და ჩავთბუნდებოდი, მეტ-ნაკლები კომფორტით მოყოჩაღებულს, ვინ იცის, მალევე ფშვინვაც ამომეშვა, რამდენიმე სასიამოვნო სიზმარი დამსიზმრებოდა და მეორე დღეს, სადღაც შუადღისკენ, სინდისის ქენჯნას გავეღვიძებინე უკვე მობეზრებული სიტყვებით — „რატომ ფლანგავ ამდენ დროს ძილში?!“ (თითქოს სხვა, უფრო მნიშვნელოვან საქმეებს ჰქონდეთ პრეტენზია ჩემს დღის განრიგზე).

მაგრამ სწორედ ამ გარდამავალ მომენტში, როცა ბოლომდე ვერც სხვაგან ვიყავი და ვერც შინ, შემაწუხებლად მექანიკური ფიქრების ძაფი გამიწყდა და ჩემ გვერდით პოლიციის მოციმციმე მანქანა გაჩერდა, საჭესთან მჯდომმა სარკე ნელნელა ჩაწია და უცნაური, ირონიანარევი ღიმილით მკითხა, საით მიდიხარო.

— სახლში, — არ ვიცი, რამდენად გაიგო, პირი თითქმის აკრული მქონდა ყელსახვევით, რომელიც თავის ფუნქციას გაჭირვებით ასრულებდა.

— სად ცხოვრობ?

რა პლებისციტის ჩატარება მოუნდათ ამ შუაღამეს-მეთქი, კვლავ შეძლებისდაგვარად გავბრაზდი და წარბებშეჭმუხნულმა მისამართი რომ ვუთხარი (უფრო სწორად, ხელით ვანიშნე), ერთ-ერთი პოლიციელი მანქანიდან გადმოვიდა. დრამატულად და იარაღზე ხელის შევლებით კი არა, უბრალოდ გადმოვიდა, მომიახლოვდა და მხარზე მეგობრულად ჩამომასვენა ხელი. უნდოდ რომ გავხედე, სანდომიანად გამიღიმა და რაღაც შემოთავაზება გვაქვსო, დამამშვიდებელი ტონით მითხრა. რა საინტერესო შემოთავაზებებს უნდა ელოდე პოლიციელისგან? ყოველ შემთხვევაში, იმ მომენტისთვის პოზიტიური ასოციაციები ნამდვილად არ გამჩენია, ინტუიცია იმასაც მკარნახობდა, რომ პოლიციელებთან უხეშობა, ზურგის შექცევა, შეკურთხება, გზის გაგრძელება (რისი სურვილიც ნამდვილად მქონდა) არც თუ სასურველი შედეგის მომტანი იქნებოდა (რაღა თქმა უნდა, ჩემთვის), ამიტომ სახის იმ მცირე ნაწილზე, რომელიც მიჩანდა, ცნობისმოყვარეობის ნიღაბი მოვირგე და, აბა, რაშია საქმე-მეთქი, ჩავეძიე.

იმანაც ზურგს უკან (სავარაუდოდ ჯიბისკენ) წაიღო ხელი და ფიქრებში კი გამკენწლა, ხელბორკილები ხომ არ უნდა დააძროს და „კაპოტზე“ ამაყუდოს-მეთქი, მაგრამ საბედნიეროდ შევცდი და ამ პორნო სცენარის ნაცვლად, მადლობა ღმერთს, ბუკლეტიანი ხელი შემრჩა... ხელთ.

— აი, გადახედე ამას. შესანიშნავი პროექტია და ეჭვი გვაქვს, დაგაინტერესებს. დაგაინტერესებს კი არა, მგონი, ზედგამოჭრილიც იქნება შენთვის.

ლამპიონის შუქზე რომ დავხედე ბუკლეტს, დიდი ასოებით ეწერა: „აირჩიე სასურველი სიკვდილი! ჩვენთან შენი უკანასკნელი დღე ღირსეულად ჩაივლის!“ რა გასაკვირია, დავიბენი, მაგრამ, საბედნიეროდ, წინდახედულმა სამართალდამცავმა ახსნა-განმარტებაც მალევე მომაშველა:

— ეს არის დაწესებულება, რომელშიც ყველას შეუძლია, სასურველი სიკვდილით მოკვდეს.

— სასურველი?..

— სიკვდილით, — მშვიდი ხმით ჩაგვერთო საჭესთან მჯდომი და მეორემაც რომ გამიღიმა და თავის დაქნევით დასტური მომცა, ისევ ბუკლეტს დავხედე, ამჯერად ილუსტრაციებზე გავამახვილე ყურადღება: სიკვდილები იყო ფერადად და მხიარულად, ნათელ ფერებში გადმოცემული — ზოგან მომღიმარი ადამიანები შოკოლადის აბაზანებში იხრჩობოდნენ, ზოგან ზღვის ლამაზ სანაპიროზე უსულოდ ეყარნენ, ზოგანაც მდიდრული ნომრის საწოლზე შიშველი და დანამომარჯვებული მოდელების მიერ დაჭრილები ღაფავდნენ სულს და ყველა მათგანს სახეზე აღბეჭდილი კმაყოფილების ღიმილი აერთიანებდა.— და თქვენ რა, სიკვდილის პიარ-მენეჯერები ხართ?

— პოლიციელები, რომლებიც მოქალაქეებზე ზრუნავენ. არაფერი განსაკუთრებული, — ამ სიტყვებს მეტი სიმტკიცისთვის მთქმელის მიერ ქუსლის ქუსლზე შემოკვრაღა დააკლდა.

ვერაფერი მოვიფიქრე, ამომწურავი პასუხი იყო. განა მხოლოდ სიცოცხლეს, სიკვდილსაც დაგეგმვა სჭირდებაო, დიდაქტიკურად ჩაილაპარაკა საჭესთან მჯდომმა, რომელსაც ეტყობოდა, უკვე შეერჩია საკუთარი სიკვდილის სასურველი სცენარი და ალბათ ახლა გონებაში დეტალებსღა აზუსტებდა. — მოკლედ, გამომართვი ეს ბროშურა, ყველას არ ვაძლევთ, მხოლოდ იმათ, ვინც შენსავით ღამ-ღამობით უმიზნოდ და დეპრესიულად დაყიალობენ არასასურველი სიკვდილის აჩრდილით ზურგს უკან. ცხადია, თვითმკვლელობაზე გიფიქრია, ჰოდა, სანამ ხიდიდან გადაეშვები ან კუჭს „სნატვორნების“ მომაკვდინებელი დოზით ამოივსებ, გახსოვდეს, რომ აქედან წასვლის გაცილებით სასიამოვნო და სასურველი გზებიც არსებობს.

ბროშურა გამოვართვი. სევდიანი იყო ეს ყველაფერი. ყოველთვის სევდიანია, როცა სრულიად უცნობი ადამიანი ერთი შეხედვით გიშიფრავს თითქოსდა ინტიმურ და წესით სხვებისათვის მიუწვდომელ, სიღრმისეულ ფიქრებს. ნომერი, მეილი, მისამართი, პრეზენტაციის თარიღიც, ყველაფერი მზრუნველად დაეტანებინათ ამ ინფორმაციულ ფურცელზე და, ერთი პირობა, მექანიკურად, სანაგვეში ჩაგდება კი დავუპირე, თუმცა მალევე მოვეგე გონს და გადავიფიქრე. პოლიციელები ციმ-ციმ გაუჩინარდნენ, მე კი მეორე დღეს როგორღაც მოვახერხე საკუთარ გადატვირთულ გრაფიკში დროის გამონახვა და ამ უცნაური პროექტის პრეზენტაციისკენ გავეშურე.

პრეზენტაციას ენერგიული ორატორი უძღვებოდა, რომელმაც შემოსვლისას ყველა მონაწილეს (ბევრნი არ ვიყავით) სათითაოდ ჩამოგვართვა ხელი და შესავალზე დიდი დრო აღარც დაუკარგავს, პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

— თანამოკვდავებო. თუკი აზროვნების უნარი საწყის საფეხურებზე მაინც წარმატებით განავითარეთ, უნდა იცოდეთ, რომ უკანასკნელი მომენტი ყოველთვის და ყველაფერში ყველაზე მნიშვნელოვანია. აზროვნებას რომ თავი გავანებოთ, ეს გამოცდილებამაც მშვენივრად გვასწავლა. ამიტომ სისულელეა გულხელდაკრეფილნი ველოდოთ იმას, რაც გარდაუვალია. სისულელესთან ერთად დამამცირებელიცაა, რადგან ჩვენს უსუსურობას და უმაქნისობას ყველაზე ხასხასა ხაზი სწორედ ამ დროს ესმება. გარდაუვალისთვის თვალის არიდება მუდამ დროებითია და მიუხედავად იმისა, რომ საერთოდაც ყველაფერი დროებითია, დროებითობის მიზანმიმართულად გამოყენება მაინც შესაძლებელია და სწორედ ამის საუკეთესო მაგალითია ჩვენი პროექტი: „სასურველი სიკვდილი ყველას!“ სასურველი სიცოცხლე ერთეულებს თუ აქვთ, მაგრამ ჩვენი დამსახურებით ნებისმიერს შეუძლია, სასურველი სიკვდილით აღესრულოს. ბევრ თქვენგანს სიცოცხლის სურვილი დიდი ხნის წინათ დაეკარგა, ჩვენ ეს ძალიან კარგად ვიცით. ელოდებით და რას, თავადაც არ უწყით. იმედი გაქვთ, მაგრამ იმდენად ბუნდოვანი, რომ ნათელი წერტილი არც ეთქმის. ფაქტი ერთია: საბოლოო ნაბიჯის გადადგმა გიჭირთ და გიჭირთ იმიტომ, რომ თვითმკვლელობის ის გზები, რომლებსაც დღეს ადამიანები მიმართავენ, მოძველებული, უხეში, ღირსების შემლახავი, შეურაცხმყოფელი და არამიზიდველია. ჩვენი წყალობით შეძლებთ, საკუთარ ცხოვრებაში უკანასკნელი სიტყვა თქვენ თქვათ და არა შემთხვევითობამ. თან თქვათ ისე, როგორც გსურთ და არა იმპულსურად — თქვენ კი არ მოერგებით გარემოებებს, გარემოებები მოგერგებათ თქვენ. რა თქმა უნდა, სიკვდილს არავის ვაძალებთ — ამ გადაწყვეტილებამდე თავად უნდა მიხვიდეთ და როცა მიხვალთ, ჩამოყალიბდებით დროსთან დაკავშირებით, დაიწყებთ ფიქრს იმაზეც, როგორ გსურთ მოკვდეთ, შეგიძლიათ, ჩვენ მოგვმართოთ. სანაცვლოდ რას ვითხოვთ? ყველაფერს, რაც თქვენს საკუთრებაშია. არ აქვს მნიშვნელობა თქვენი ქონების მოცულობას, საფულის სისქეს. მთავარი და პრინციპული ჩვენთვის ის არის, რომ ყველაფერი რაც გაბადიათ (იქნება ეს დახეული მაისური თუ შვიდციფრიანი ანგარიში შვეიცარიის ბანკში), სწორედ ჩვენ დაგვიტოვოთ. თუ ამ პირობას დასთანხმდებით, ჩათვალეთ, რომ შესაძლებელია თქვენი უკანასკნელი ფანტაზიის რეალობად ქცევა და ყველაზე პრიორიტეტული იმ ფანტაზიებს შორის, რომლებიც ჩვენს გონებაში გაჩენის დღიდან სიკვდილამდე დაფარფატებენ, სწორედ უკანასკნელია. ჩვენი საქმიანობა ლეგალურ ჩარჩოებს არ ცდება, სამართალდამცავებთანაც ვთანამშრომლობთ, რადგან მათ ინტერესებშიც შედის ქაოტური თვითმკვლელობების აღკვეთა, რაც საზოგადოებრივ წესრიგს მნიშვნელოვნად დაასტაბილურებს. საღად მოაზროვნე ადამიანებისთვის ნათელია, რომ ადამიანს სიცოცხლის უფლებასთან ერთად სიკვდილის უფლებაც უნდა ჰქონდეს და ჩვენ სწორედ ამ უფლებას ვიცავთ.

ერთხანს კიდევ ილაპარაკა, თუმცა ახალს აღარაფერს გვეუბნებოდა; რამდენიმე „წარმატებული“ მაგალითიც აღგვიწერა, ერთი-ორი ხუმრობაც ჩაურთო, რომელზეც არავის გასცინებია გარშემო გამეფებული სამგლოვიარო განწყობის გამო და ბოლოს საუბარი ასე დაასრულა:

— ახლა კი შეგვიძლია, მთავარ დარბაზში გადავინაცვლოთ, სადაც საილუსტრაციოდ გამოფენილია „სიკვდილების კოლექცია“ — ფოტოებზე აღბეჭდილი ჩვენი „შედევრები“, ფირმის დაარსებიდან დღემდე. იქვე შეგიძლიათ მიირთვათ ღვინო და მსუბუქადაც წაიხემსოთ, გთხოვთ!

ღვინო შავი იყო და მძიმე, იმ განწყობასავით, რომელიც ფოტოების თვალიერებისას დამეუფლა.

მაგალითისთვის, ერთ-ერთ ფოტოზე მთის ბუნება იყო აღბეჭდილი: მზიანი დღე, ხეებით მომწვანებული ფერდობი შუაში წვრილი ნაკადულით და სწორედ ამ ნაკადულში იწვა მაჯებგადასერილი უსულო გვამი (მხედველობის დაძაბვისას მისი სისხლის მინი ნაკადებიც კარგად ჩნდებოდა).

შემდეგ ფოტოზე უზარმაზარი კლდიდან თავით გადმოშვებული ადამიანი ჩანდა, რომელიც წინ გაშვერილი ხელებით სუპერგმირივით მიაპობდა ჰაერს მოშიშვლებული მიწისკენ.

კიდევ სხვაგან — თვითმფრინავიდან უპარაშუტოდ გადმომხტარი რამდენიმე განწირული ადამიანის მიერ შეკრული წრე.

ხანმოკლე თვალიერების შემდეგ ერთ-ერთ ფოტოსთან შევჩერდი: მოხუცი კაცის გაშიშვლებული სხეული დიდ საწოლზე თვალებგაშტერებული ეგდო, გვერდით კი ყალბად დამწუხრებული ორი მიმზიდველი, შიშველი გოგონა ეჯდა.

— ამ კაცის სურვილი სექსის დროს გულის შეტევით სიკვდილი იყო და დიდი შრომა ნამდვილად არ დაგვჭირვებია მიზნის მისაღწევად, — მითხრა ორატორმა და ღიმილით მხარზე ჩამომადო ხელი, — შენ თუ გიფიქრია საკუთარ სიკვდილზე?

— სიცოცხლეზე მეტადაც, — ვუპასუხე და მხარი მსუბუქად ავუქნიე, — შეიძლება ითქვას, ჩვენ ორს პლატონური სიყვარულიც კი გვაკავშირებს.

— და შენი უკანასკნელი დღე როგორ წარმოგიდგენია?

ჩემი სიკვდილის სუნი იმ ოთახში ტრიალებს, რომლის ყოველი დეტალიც მხოლოდ მე მეკუთვნის — გვერდულად ვწევარ ტრადიციულად ერთფეროვანი თეთრეულით (რომელსაც თითქმის არასოდეს ვცვლი და ჩემი სუნითაა გაჟღენთილი) გაწყობილ კომფორტულ საწოლში, უცვლელი ბალიშით თავქვეშ (უცვლელივეა ბალიშისპირი). იქვე, ხელის განვდენაზე, მიწყვია ყველა საჭირო ნივთი, მათ შორის ხის სკამიც, რომელზეც ლეპტოპი დევს და ვუყურებ კარგ კომედიურ ფილმს. განათება დაბალია, მაგრამ საკმარისი იმისთვის, რომ არ ბნელოდეს, კარები ჩაკეტილი არა, უბრალოდ მიხურულია, როგორც ყოველთვის, მაგრამ ვიცი, არასოდეს არავინ შემოაღებს და მშვიდად ვარ. საწოლთან ახლოს, პატარა მაგიდაზე, წინა დღეს ნაყიდი საჭმლის ნარჩენები, წყლით ნახევრამდე სავსე (ან სანახევროდ დაცლილი) ბოთლი, რამდენიმე წაკითხული და წაუკითხავი წიგნი, ტორშერი, მობილური, დამტენი, აიპოდი, ჩემს ყურებთან ხშირი კონტაქტისგან გაყვითლებული ყურსაცობები და სხვა, ჩემთვის ეგზისტენციალური მნიშვნელობის მქონე საგნებია მიმოფანტული. მარცხენა ყურში ლეპტოპს მიერთებული ყურსასმენი მიკეთია (მხოლოდ მარცხენაში, იმიტომ, რომ გვერდულად ვწევარ). გარეთ ცივა, წვიმს და ქარიცაა — ერთი სიტყვით ზამთარია, მე კი თბილად ვარ, ფეხებიც ცოტა ხნის წინ გამითბა, საბანი კი კისრამდე მაქვს აწეული. სითბო მთენთავს, თვალები თანდათან მეხუჭება და ცოტა ხანში ვიძინებ ან, უფრო ზუსტად, ვკვდები. აი, ასე წარმომიდგენია ჩემი უკანასკნელი დღე და იმდენად მიმზიდველი სურათია, სიმართლე გითხრათ, სულაც არ მაშინებს, პირიქით, გულიც კი მიმიწევს მისკენ.

— ეს ვარიანტი მომწონს, — ერთ-ერთი ფოტოსკენ ვიშვერ ხელს, რომელშიც კაცი გულხელდაკრეფილი წევს თოვლში, თვალები ფიფქებად ქცეული ცისთვის გაუშტერებია და იყინება (ან უკვე გაყინულა).

ორატორი ღიმილით მიწონებს არჩევანს და სხვა სტუმრისკენ მიემართება, მეც ჩემი მარშრუტი მაქვს:

შინ ვბრუნდები, შევდივარ ჩემს ოთახში, გზაში დღის მარაგად ნაყიდ საჭმელს მაგიდაზე ვაწყობ, ტორშერს ვრთავ, ბოთლს წყლით ვავსებ, ვიხდი, საწოლში ვწვები, რომელიც თავიდან ძალიან ცივად მიღებს, მაგრამ თანდათან თბება და მეც მათბობს, ლეპტოპს ვხსნი, ხანმოკლე ძიების შემდეგ სასურველ ფილმს ვპოულობ (ჟანრი უცვლელია), ცალ ყურსასმენს ვიკეთებ, საბანს კისრამდე ვიწევ და ჩაძინებამდე კმაყოფილი ვასკვნი, რომ სიკვდილის საუკეთესო ვარიანტი სიცოცხლისგან დიდად არ უნდა განსხვავდებოდეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო ნასყიდაშვილი

ჯუჯა ბროწეული

გარეთ თოვს და
ჩემს რაფაზე ღელავს
ბროწეული ღიმილივით ნათელი.
არ ღირს მოცდა,
თუკი ისევ გტკივა,
თუკი გმინავს ღამე ფიქრანათალი...

არ ღირს ცოდნა,
არ აკეთებ თუკი!
რით უწამლებ გრძნობებს ფეხვეშ გათელილ?!.
სულშიც თოვს და
უდარდელად ელავს
ბროწეული ელვასავით ნათელი.

არ გჯერა

შენ არ გჯერა, მაგრამ
დაიჯერო უნდა,
მეშინია!.. ვარამს
გული უფრთხის მუდამ...
მეშინია! ვარ ამ
მზენაციებ დღეში.
მეშინია — თითქოს
შავი შიშის თქეში
ჩემში ხელებს ითბობს...
გალუმპულა შეშა,
ცეცხლი მინავლულა.
შიში მომეყინა,
როგორც მინას ლოლო...
და ვარვარებს რკინა —
ბედისწერის ლულა,
როგორც გახლეჩილი
ბროწეული სეტყვით...
უსიამო შიშის
ჩრჩილი მხრავს და გეტყვი:
შიში არ ღირს ჩირად,
მაგრამ... შენ არ გჯერა!..

* * *

ისე ცრის, აღარ ჩანს სივრცე,
მსურს თავი ოცნებებს მივცე...
აღარც ოცნებაა სანდო —
აპრილის თოვლივით მადნობს...
ცრის... შუქი იღვრება ციდან.
რაღაც უცნაურად მინდა,
ავუყვე ელვარე ძაფებს,
ზამთრის ობობა რომ აფენს;
ჩავუყვე აზრების წიაღს,
ცოდვის საგზალი რომ მიაქვს...
მიაქვს და ანარცხებს მიწას...
მეც გული აღარსით მიწევს.
ფიქრია ფიფქებისფერი,
ფიფქია არაფრისმთქმელი...
არაფერს არა აქვს ძალა,
უძალო ძვლებს ვეღარ ვმალავ...
ვეღარ ვაგვირისტებ სიტყვებს
და სევდაც ათასწილ მიტევს...
სიტყვებს გაუხედნავს ვტოვებ —
შიგ გულში მიბასრავს ტორებს...
სადღაა ოცნების ტევრი?!.
იყო და... მიწაა!.. მტვერი!..
მოქრიან თავპირისმტვრევით
ეჭვები — ოცნების მტრები...
ფიფქია ფიქრებისდარი,
ფიქრია ნაცრადნაქმნარი...
დაფრინავს ფიფქების ფქვილში
ღამე და ოცნებებს მიშლის...
ისე ცრის, ჰაერსაც ტბორავს
და არვინ მიგზავნის ბორანს,
პირიქით, მიგებენ მახეს...
დავწერ და... ამ ლექსსაც დავხევ...

* * *

ცა თეთრია და
თითქოს ცრის თოვლი, თითქოს ყინვაა...
ზამთრის ტრიადა
დარღვეულა
სითბოთი,
წვიმით,
რბილი ნესტით
და ზღვის სურნელით გაჯერებულ პირსახოცებით...

ცა თეთრია და
არც მზე, არც მთვარე ხელ-პირს არ იბანს,
მაგრამ თბილა და
ღამის ჟინჟღლი თრთოლავს ცხელ ბათუმს...
ცა თეთრია და
რია-რია
გააქვთ წვრილ წინწკლებს,
მანქანებს,
შუქებს,
მაღალ ქუსლებს
და ფერად ქოლგებს.

ცა თეთრია და
თეთრი სუნთქვა გადაჰკრავს კენჭებს,
შავ ასფალტს,
ტალღებს,
სანაპიროს
და მწვანე შუქში მოხასხასე მოთენთილ პალმებს.

ცა თეთრია და
მონატრების ღრუბლებში ვცურავ....
თეთრია ფიქრი,
ფიქრი ზღვაა,
ზღვასავით ვღელავ...
და ზღვაც თეთრია,
ეს შავი ზღვა უთეთრესია,
უახლესია,
უმრწმესია,
უძველესია,
როგორც ეს ფიქრი,
როგორც ეს გრძნობა,
როგორც ეს წვიმა,
ეს ბათუმის თბილი სითეთრე....

ცა თეთრია და
აივნიდან გადავცქერი თეთრღრუბლა ბათუმს,
რომელსაც დიდი მონატრების ლეშტერი ათოვს...

ერთჯერადი

ერთჯერადი თეფშები,
ერთჯერადი ჭიქები,
ერთჯერადი ჩანგლები, დანები, კოვზები,
რომლებსაც დაუნანებლად ყრიან...
ერთჯერადი ჩაი, რომელსაც რამდენჯერმე იყენებენ...
ერთჯერადი ხელთათმანები...
ერთჯერადი ხელსახოცები,
ერთჯერადი ცხვირსახოცები...
ერთჯერადი შპრიცები,
რომლებსაც,
ვინ იცის, რამდენჯერ ხმარობენ...
მარტივი ცხოვრება — ყველაფერი ერთჯერადი...
ერთჯერადი „სიყვარული“ —
მარტივი და დასავიწყებელი,
მაგრამ თურმე საჭირო და აუცილებელი...
ადამიანებიც, სამწუხაროდ,
ერთჯერადად ადამიანობენ —
შეხედავ — ადამიანია, მაგრამ ეს ერთხელ,
მერე?
მერე — მხეცები, მონსტრები, ტიკინები, მარიონეტები...
მარტივი ცხოვრება —
ყველაფერი ერთჯერადი...
სიცოცხლეც ერთჯერადი არ არის განა?
და მერე?..
?..

ძაღლის ნაკბენი

დაგმანულია სულის სარკმელი,
ყველა კარი და ყველა დარაბა...
თითქოს იესო უარჰყვეს ისევ,
და აარჩიეს ვიღაც ბარაბა...

დაგმანულია სულის სარკმელი,
ზაფხულის მზეც კი ვერ ათბობს ფიქრებს...
მაგრამ იმედი დნება თოვლივით,
უსასოობა კი ძალას იკრებს...

მაინც ვერ დასვა გულმა წერტილი,
მაგრამ ვერც დასვა ტკივილმა მძიმე...
და დარჩა ისევ მრავალწერტილი
უსასრულობის არსში მომზირე...

დაგმანულია სულის სარკმელი,
ყველა ნაპრალი და ჭუჭრუტანა.
მტკივა იმედი — ძაღლის ნაკბენი
და უსაშველოდ მიჭირს ატანა...

გაუცხოება

უსეტყვესი სიტყვები,
უსეტყვესი მზერები...
უსეტყვესი — „გიტყდება?“
სასტიკად მეზარება...

ბრმა და უტყვი გულები,
უტყვზე უტყვი სულები...
უსიტყვობა სრულდება
დარდით დაორსულებით...

მოარიდეთ მზერები!
მოარიდეთ გულები!
არ ღირს გაზიარება,
დარჩით დაგმანულები!

ეჭვიანი ექსპრომტი საქმროს

ხილი უკვე დამწიფდა, მაგრამ რა მეხილება?!
ეჭვიანი ფიქრი მჭამს თუ უბრალო მხილება.
იარები დამატყვეს უკვე დარდის კბილებმა:
ჩემი ოქროს ბეჭედი ხომ არ გებორკილება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტომ ჩხეიძე

გარდუვალი ხვედრი აკაკი ბელიაშვილისა

შეხმიანება სამოგზაურო თხზულებასთან „ამერიკაში პარიზზე გავლით“

— აკაკი ბელიაშვილისა და მისი ცოლის დაღუპვის ამბავმა ძალიან შემაწუხა — ძალიან. ცოლი იყო დაი გიორგი გამყრელიძისა. არ გადმოსცეს მიზეზი მათი დაღუპვისა? — მისწერდა გრიგოლ რობაქიძე სანდრო ფანჩულიძეს 1961 წლის 21 დეკემბრით დათარიღებულ ბარათში.

იმას რომ უკვე მოეწერა: აუცილებლად წინასწარი ჩაწყობილი იქნებაო?

ოოო, ეს ვერ გაეზიარებინა მწერალს და მტკიცედ მოუჭრიდა:

— არ მჯერა!

თვითონ ხომ სულ სხვა მიზეზს ეძიებს ამ ტრაგედიისა, მაგრამ არ კმარობს, სურს, რომ სანდრომაც უარყოს თავისი მანამდელი შეხედულება და გრიგოლის მოსაზრებას დაეთანხმოს, წინასწარგანზრახულ მკვლელობას რომ გამორიცხავს.

კი მაგრამ... განა ასეთი დაუჯერებელიც რა უნდა იყოს?

საბჭოთა საიდუმლო სამსახურისათვის ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა ადამიანთა უღმერთოდ გამეტება, და ავტოავარიის მოწყობა მათთვის განა რა სირთულე შეიძლება ყოფილიყო?

გრიგოლ რობაქიძეს ასერიგად რატომ გამოუდევს თავი, მათ — ანუ ყველაფრის ჩამდენ ადამიანთა — კიდევ ერთ შესაძლო დანაშაულს არაფრისდიდებით რომ არ იჯერებს?

ხომ აცნობეს: აუცილებლად წინასწარ ჩაწყობილი იქნებოდაო.

ერწმუნა და თვითონაც გაემეორებინა, რა ენაღვლებოდა?!.

მაგრამ... სწორედაც რომ ენაღვლებოდა.

ისედაც შიშით ცხოვრობს შვეიცარიას თავშეფარებული და ახლა სულაც თავზარს დასცემდა, თუ აკაკი ბელიაშვილი მეუღლესთან ერთად განზრახ მოეყოლებინათ ავტოავარიაში. ეს ხომ გულისხმობს, რომ მათგან დამნაშავედ შერაცხილი ყველა ადამიანი ყოველ წუთს უნდა დალოდებოდა საფრთხეს და არ დამშვიდებულიყო, ის დრო აღარ არის, ყოველგვარი საშიშროება უკვე გადავლილიაო.

ურჩევნია, თავი მოიტყუოს, გულმშვიდად შემიძლია გავატარო დარჩენილი წუთისოფელიო.

თუ მიწვდებიან და მასაც ტრაგიკული შემთხვევისათვის გაიმეტებენ, რაღას გაიგებს, მანამდე კი არა სურს პანიკურ შიშში ცხოვრება. ამიტომაც უბეჯითებს სანდრო ფანჩულიძეს, რომ მანაც გადათქვას თავისივე ნათქვამი, რათა გრიგოლს გაუნელდეს შიში, ცოტაოდნავ, მაგრამ მაინც...

ეს „არ მჯერა“ მხოლოდ ასე უნდა წავიკითხოთ: არ მინდა დავიჯერო, თორემ დაუჯერებელიც რა არისო!..

მის ამ განწყობილებას საგანგებოდ ჩაუკვირდებოდა რუსუდან ნიშნიანიძე აკაკი ბელიაშვილის სამოგზაურო ნარკვევისათვის „ამერიკაში პარიზზე გავლით“ (ლიტერატურის მუზეუმის გამომცემლობა, 2015) წამძღვარებულ ესეიში და მოინდომებდა სულიერი მზერა მიედევნებინა იმ სურათისათვის, თუ როგორ იმეორებს დაფიქრებით გრიგოლ რობაქიძე სანდრო ფანჩულიძის ვარაუდს — მწერლისა და მისი მეუღლის ტრაგიკულად აღსრულების მიზეზს.

— ეგებ თავისთვის იმეორებს, ხელახლა რომ გაიაზროს, ხელმეორედ დაფიქრდეს; იქნებ სანდრო მართალია; ან კიდევ თვითონ სჭირდება, თავი გადაარწმუნოს, რადგანაც სხვაგვარად ფიქრობს, ვერ უშვებს, აკი დაწერს: „არ მჯერა“?

და დასძენდა რუსუდან ნიშნიანიძე: ამას ისტორია გაარკვევსო.

მანამდე კი აღნიშნავდა: აკაკი ბელიაშვილის გარდაცვალების დღეებში ერთი არასასიამოვნო „ვარაუდიც“ გაჩენილა და ამის გამოძახილია ემიგრაციაში დაწერილი ეს წერილიცო.

„ვარაუდს“ წინწკლებში რომ სვამს, ამით გამჭვირვალედ მიგვანიშნებს მკვლევარი, რომ თვითონ ეეჭვება და ძალიანაც ეეჭვება, ეს მართლაც ვარაუდი რომ იყოს და არა დაფარული სიმართლის გამომზევება. ეგაა, რაკიღა უფრო სარწმუნო საბუთები არ მოეპოვება, ჯერჯერობით თავშეკავებას ამჯობინებს, თუმც: ისტორია გაარკვევსო, — ამ სიტყვებით კიდევ უფრო აძლიერებს თავის დაეჭვებას და მკითხველს აგრძნობინებს, ისტორია სწორედაც ისე გაარკვევს, „არა მჯერას“ უკვე ვეღარავინ იტყვისო.

თუმც ხომ ისედაც აშკარაა, გრიგოლ რობაქიძის ბარათის იმ პასაჟის იდუმალი ფსიქოლოგიური მოტივი, იქნებ თვითონ მისთვისაც გაუცნობიერებელი, და ამრიგად, ფიქრი ძალაუნებურად გვეწევა ვითომდა ბრმა შემთხვევითობის მიღმა ჩამალული წინასწარგანზრახული მკვლელობისაკენ.

ჩვენს ლიტერატურულ წრეებში ეს არც არავის ეეჭვებოდა და ქართულ ემიგრაციასაც აქედან მიწვდებოდა ხმა — წუხილისაც და დრტვინვისაც.

ლადო ავალიანს, ბევრის მომსწრესა და ბევრის მცოდნეს, ძალიან რომ უყვარდა ძველი ამბების გახსენება და რედაქციების დერეფნებსა თუ ქუჩა-ქუჩაც ხალისით ყვებოდა ხოლმე, ერთხელ რაღაცასთან დაკავშირებით აკაკი ბელიაშვილისა და მისი მეუღლის ტრაგიკული დაღუპვის ამბავიც უნდა ეხსენებინა ჩემთან საუბრისას და... დაერთო:

— ეს ხომ უშიშროებამ მოაწყო.

— უშიშროება რა შუაშია? — გავიკვირვებდი.

— რა შუაშია და... საფრანგეთსა და ამერიკაში გააგზავნეს საგანგებო დავალებით, აკაკიმ კი ეს დავალება არ შეასრულა.

— რა დავალება?

ამასობაში ვიღაცები წამოგვეწეოდნენ და საუბარიც სხვა თემებზე გადავიდოდა.

შინ დაბრუნებული მამასთან მოვინდომებდი ამ ტრაგიკული ეპიზოდის გარემოებათა დაზუსტებას.

— ძია ლადომ მითხრა, აკაკი ბელიაშვილი ბრმა შემთხვევით კი არ დაღუპულა მეუღლესთან ერთად, უშიშროებამ მოუწყოო.

— დაბეჯითებით თქმა ჯერჯერობით ძნელია, მაგრამ ასე კი გავრცელდა მაშინ ხმა მწერლებში. ყველა ამას ეჭვობდა, ყველა ამას ვარაუდობდა. თანაც, დროში ისე დაემთხვა მისი დაბრუნება საფრანგეთსა და ამერიკაში მოგზაურობიდან ამ უბედურებას, ძალაუნებურად ჩნდებოდა ამგვარი ეჭვიც და ვარაუდიც.

— ძია ლადომ: რაღაც საგანგებო დავალება არ შეუსრულათ და იმიტომო. რა დაავალეს მაინც ამისთანა?

— ემიგრანტების გადმოსაბირებლად გზავნიდნენ ხოლმე მწერლებსაც, ემიგრანტულ წრეებში გარკვეული განწყობილების შესაქმნელად. მითუმეტეს, აკაკის ძმაც ჰყავდა ემიგრანტი და მოყვარეც, ედგარ პოს „ყორანის“ თარგმანი რომ მოგწონს, ის გიორგი გამყრელიძე იყო აკაკის ცოლისძმა. როგორც ჩანს, ისინი რომ გადმოებირებინა. აკაკი ის კაცი არ იყო, ეს დავალება შეესრულებინა და ახლობლები განსაცდელში ჩაეგდო. ეგ კია, ისარგებლა შემთხვევით და ერთიც მოინახულა და მეორეც.

— აღარ გაითვალისწინა, შინ დაბრუნებულს რომ არ აპატიებდნენ და რაღაცას დამართებდნენ?

— გათვალისწინებით გაითვალისწინებდა, მაგრამ, ეტყობა, უკან არ დაიხია — ძმისა და მოყვრის ნახვა მაინც შემრჩებაო, იფიქრა, პარიზისა და ნიუ იორკის მონახულებაო, და არად ჩააგდო მოსალოდნელი საშიშროება. დაბრუნდა და...

— იქ ვერ დარჩებოდა? პოლიტიკური თავშესაფარი რომ ეთხოვა...

— მთლად ის დროც აღარ იყო, უეჭველი სიკვდილის მოლოდინი ჰქონოდა, რასაც ვერ აცდებოდა თუნდ გრიგოლ რობაქიძე, 31-ში რომ არ გაესწრო აქედან... ისე, უშიშროების დავალებას არაფრისდიდებით არ შეასრულებდა საფრთხის წინაშე მდგარიც, მაგრამ ასეთ სასტიკ განაჩენს მაინც არავინ ველოდით. ძალიან გააგულისა, ეტყობა, ისინი.

— არაფრისდიდებით არ შეასრულებდა?

— არა, გამორიცხულია, ღირსეული და გაბედული კაცი იყო.

საგულისხმოა, აკაკი ბელიაშვილი ოთარ ჩხეიძის ერთი ნოველის (შესანდობართა რკალის ნიმუშში „კუმურდოში“) პერსონაჟი რომ არის სიმონ ჩიქოვანსა და სერგო ზაქარიაძესთან ერთად, ნოველისა, რომელშიც კუმურდოს მონახულების ეპიზოდია მხატვრულად გააზრებულ-განზოგადებული, მანამდე ეს სამეული სოფლად რომ უნდა ეწვიოს მომავალი ნოველის ავტორს, ყელქცეულში, და ღამე იქ გაათენონ.

სიცილით გამოჩნდება აკაკი ბელიაშვილი თხრობის დასაწყისშივე, მანქანიდან

გადმოსვლისას რომ მორთავს სიცილს; რა გვეჩქარება კუმურდოს ნახვა, რამდენიმე დღეს აქაც სიამოვნებით დავრჩებოდიო.

და შეშფოთდებოდა სერგო ზაქარიაძე, სულაც აქ არ ჩამტოვონ სამგზავროდ აღერღილი, თორემ აკაკიმ თუ აიხირა, გაიტანს თავისას და ეგაააო.

ბევრს იხუმრებდნენ იმ ღამეს, ბევრს იცინებდნენ.

„შორს გადიოდა აკაკის სიცილი, გულიანი სიცილი იცოდა აკაკიმა.

მუხის ქვეშ ვისხედით და მუხაც იცინოდა თითქოსაო, ხანთუ შეთახთახდებოდა თითქოსა, ნიავს შეეტოტინებოდა თითქოსაო“.

ამ ერთი შტრიხით — გულიანი სიცილის უნარით — რაოდენ თვალნათლივ, რაოდენ ხელშესახებად წარმოისახება აკაკი ბელიაშვილის პიროვნული ხასიათი, აგერ მუხაც რომ აუყოლიებია მის გულგადახსნილობასა და ლაღ ხუმრობებს, სხვებიც ხალისით რომ ასდევენ, მაგრამ მისი სიცილი სხვაგვარი ძალით გაისმის, და შორს ამიტომაც ატანს.

თაკარა ზაფხულის დღეა და ისე ანთია მზე, ვერას შველის ღია სარკმლები მანქანისა, არსად კრთის ქარი და ნატრობს აკაკი: ისევ იქ გვერჩივნა მუხის ქვეშაო, — და ჰყვება ანეკდოტებსა თუ ამბებს თავისი გადამდები სიცილით.

ვერა და ვერ მოუთქვამთ სული... მაგრამ ამასობაში ვერც უნდა შეამჩნიონ, თუ როგორ მოიკლებს მზე — მტვერი აეფარება თუ ღრუბელი შემოეხვევა, ან სულაც ორივე ერთად... და უეცრად ტაძარი უნდა წამომართულიყო და ავარდნილიყო ცაში, ვარდისფრად ალივლივებულიყო ლურჯ კამარაში.

— დაიცა, — შეუძახებდა სიმონ ჩიქოვანი მძღოლს.

აკაკი ბელიაშვილი მანამდე მიყუჩდებოდა.

სერგო ზაქარიაძეც მირინდდებოდა მანამდე.

ჩაქრებოდა ძრავი და... წამი რა არის, წამიც არ დასცალდებოდათ ტკბობისა მშვენიერებითა, იქუხებდა ზეცა, დაიგრაგნებოდა ტაძრის თავზე, მთლად ზეგანზეც და... წვიმაც წამოუშენდა.

შორით ხილვა არ დასცალდებოდათ?

შორით ალერსი არ დასცალდებოდათ?

შიგნით შეღწევას ხომ მაინც მოახერხებდნენ, სასწრაფოდ შეჭრას, რათა იქ განეცადათ იმ უაღრესი განცდით, წინასწარვე რომ შეჰხაროდნენ.

მერეა, შიგნითაც რომ ისევე უბედურად ასხამს, როგორც გარეთ, ცა ისე რომ მორღვეულა, გგონია, აღარასოდეს გამრთელდებაო, და რაც მთავარია, გუმბათი მორღვევია კუმურდოს ტაძარს, ერთპირიანად ჩაქცეულა, და ასხამს ტლაპო, ქვეყნის მტვერი რომ აუხვეტავს, გაუთქვიფავს და კოკისპირულად მოთქრიალებს.

მერეა, აწურულნი და გაწუწულნი რომ დგანან მწერლებიც, მსახიობიც, მძღოლიც, და აღარ იციან, რა იღონონ.

უფრო ტრაგიკული სიმბოლო რაღა გინდა სახელმწიფოებრიობადაკარგული ქვეყნისა, უფრო შემზარავი და თავზარდამცემი?!.

ამ ყოფითი ქარგის მონაწილე აღმოჩნდებოდა აკაკი ბელიაშვილიც, მხატვრულ განზოგადების შუაგულში ძალდაუტანებლად რომ მოექცეოდა — ერთი სიუჟეტიდან მეორეში.

ფიქრით ოთხივე ერთს იფიქრებდა, განცდით ოთხივე ერთს განიცდიდა, ნოველად ოთარ ჩხეიძეს რომ უნდა გარდაესახა, იმთავითვე რომ განეზრახა ამ გუმბათმორღვეული და ტალახიან წვიმაში ამოვლებული ქვეყნის შეუფერადებელი პანორამის წარმოჩენა, ჩეკისტური კრიტიკა რომ მიჰყვებოდა ფეხდაფეხ და ძეძვივით ედებოდა, რათა როგორმე აეღებინებინათ ხელი თავის მოვალეობასა და მოწოდებაზე, ჩასაქოლადაც რომ არაერთხელ მიეტანებოდნენ და აგერ „მეჩეჩს“ რომ ამოიღებდნენ მიზანში და აუტოდაფესაც გაუმართავდნენ, რამდენიმე მწერალი თუ გაბედავდა ამ რომანის დაცვას, და მათ შორის — სიმონ ჩიქოვანი და აკაკი ბელიაშვილი, რომლის გამოსვლაც ტენდენციურად შეკვეცილ-შესხვაფერებული გამოქვეყნდებოდა „ლიტერატურული გაზეთის“ 1958 წლის 28 ნოემბრის ნომერში, მაგრამ აქედანაც კი იგრძნობოდა, თანამოკალმისათვის თავი რომ გამოედო „ოქროს ჩარდახის“ შემოქმედს, ხოლო იქ, დარბაზში, გაცილებით უფრო მხურვალედ დაუდგებოდა გვერდით და დიდადაც გაანაწყენებდა ზემდგომთ...

არ ინაღვლებდა იმათ განაწყენებას აკაკი ბელიაშვილი, რაკიღა თავისი კაცური და მწერლური ვალი ჰქონდა მოსახდელი და მოიხდიდა კიდეც.

საგულისხმოა, რომ მისი ბიოგრაფიის ეს ეპიზოდი მოხვდებოდა ლაშა იმედაშვილის მოთხრობაში „გასროლის ხმა“, რომლის დოკუმენტური ფონიც ძალდაუტანებლად შემოაყვანინებდა მწერალს სიუჟეტში რეალურ ადამიანებს, 30-იან წლებში მოღვაწე მწერლებს, თავთავიანთი გვარსახელით.

და აი:

— აკაკი ბელიაშვილი მოგვიანებით, წლების შემდეგ, მორიგი გაწირვების ჟამს, დაიცავს ოთარ ჩხეიძეს, ახლა კი ჩუმად იჯდება და ხმას არ გაიღებს.

პაოლო იაშვილის თვითმკვლელობით გამოწვეული მღელვარებაა აღწერილი მოთხრობაში, ჩეკაც ენერგიულად რომ ჩარეულა და ეძიებს მიზეზებს პოეტის ამ საპროტესტო აქციისა, ეგებ რაღაც დიდი შეთქმულების კვალსაც მიაგნონ!..

აკაკი ბელიაშვილმა დაკითხვაზე გაციება და სიცხე უნდა მოიმიზეზოს და განაცხადოს: ამის გამო (იგულისხმება ავადმყოფობა) ყველაფერი ბუნდოვნად მახსოვსო.

თავისი კაცური და მწერლური ვალი ჰქონდა მოსახდელი და მოიხდიდა კიდეცო...

ამ პიროვნული ბუნებისა და ბიოგრაფიის ადამიანს ვინ გააკარებდა საზღვარგარეთს და, თვითონ ძალიანაც რომ მოენდომებინა, მწერალთა დელეგაციებში მოხვედრას ვინ აღირსებდა, მაგრამ თვითონვე დასჭირებოდათ, თუკი გამოიყენებდნენ, უკეთესი ვინღა უნდა ყოფილიყო — პატიოსნებით ცნობილი შემოქმედი, ემიგრაციაში უახლოესი ნათესავები რომ ჰყავდა და მათი დარწმუნება და თან წამოყვანა ნიშნავდა კიდევ არაერთი გადახვეწილის აყოლიებასაც აქეთ გამოსამგზავრებლად...

თუ შიშით ვერ დააშინებდნენ, მოსყიდვის ხერხსაც მოიმარჯვებდნენ, ეგებ იმას უფრო გაეჭრა...

არ გაჭრიდა არც ერთი, არც მეორე და... ავტოავარიის მოწყობა ხომ მათ ხელთ იყო, უბედურ შემთხვევად გასაღებული.

დასასრული მე-15 გვერდზე

თენგიზ სვანიძე

ძახილი

თვალი რაც უფრო შორს მიგიწვდება,
სანუკვარ ხილვებს უფრო შორდები...
ქარით ნაწეწი სული გეძახის:
შემოდი ჩემში
ფოთოლცვენის შემკრთალ საღამოდ,
რომ აყვავებულ რტოს დაგამსგავსო.
ვით გარდასახვა — არსებობ ჩემში...
არ ყოფილიყავ,
მაინც უნდა გამომეგონე, —
მარადიული
სინათლე რომ ჰქონოდა ლოდინს...

გაზაფხულმა ამამყვირალა

ვით მერცხლის ბუდე,
შენს თბილ მკერდზე მე ვარ მიწნული!
ხარირემივით
გაზაფხულმა ამამყვირალა.
ჩემი ვნებებიც
ვერ იქნება თავდადრეკილი.
ჩიტივით დაფრენს ჩემი სული
შენი ფანჯრის წინ.
შენ გადამტყდარი სხივი ხარ ჩემში
და რომ დამტოვო, სად წავიდე,
ვისთან წავიდე?..

ვით მერცხლის ბუდე,
შენს თბილ მკერდზე მე ვარ მიწნული!

ცრემლიანი დუმილი

გზაზე შენი აჩრდილი შემომხვდა.
ერთმანეთისთვის
სიტყვაც არ გვითქვამს...
უკანასკნელად
ჩაგხედე დაბინდულ თვალებში.
სიმარტოვის და სინანულის
ცრემლები გდიოდა.
ერთმანეთისთვის
სიტყვაც არ გვითქვამს...
ჩამავალ მზის ნაკვალევს დაედევნე.
წამით ჩემი ფიქრის სკამზე
ჩამოვჯექი.
ცრემლებმა მოგონებები დანამეს...
ერთმანეთისთვის
სიტყვაც არ გვითქვამს...
ცრემლი არ დაგანახე! —
ნატკენი გული
მეტად რომ არ გტკენოდა.
მზე მიიცვალა, — აღარსად ჩანდი.
ერთმანეთისთვის
სიტყვაც არ გვითქვამს...
. . . . . .
ჩვენი მზე
დიდი ხნის წინათ ჩავიდა!

სოფლის მთვარე

სამი დღე-ღამე მეძებდა მთვარე,
სოფლის მთვარე,
სამი დღე-ღამე!..
და ბოლოს მაინც მომაკვლია
და გაიბადრა...
მთვარემ სარკმელში
ჩემი სოფელი შემოიტანა!
. . . . . .
ახლა ნებივრობს ჩემს საწოლში,
ვით ანგელოზი
და იმ დღეების მონატრება
ცრემლად ჩამომდის.

მთვარემ სარკმელში
ჩემი სოფელი შემოიტანა!
. . . . . .
თითქოსდა ვწევარ აივანზე
წაბლისფერ ოდის
და მესიზმრება:
მოხუცი დედა სანთელივით ხელს
ფრთხილად მადებს სიცხიან შუბლზე
და სითბო, დედის ხელების სითბო
გრძნეულის ძალით ჩემში გადმოდის.
დაღარულია დედის გული
მთვარის შუბლივით...
შვილის სიცოცხლეს ავედრებს უფალს.

დედის გულს თურმე
არასოდეს არ ეძინება!..
. . . . . .
მიიპარება მთვარე მკრთალი
და ფეხშიშველი
ნელთბილ ასფალტზე ჩემი სოფლის გზით,
გამთენიისას სოფელში მივა,
მიუტანს დედას შვილის ამბავს,
ერთადერთ შვილის,
მთვარე — ფრთოსანი მგალობელი,
ოქროსნისკარტა!..
. . . . . .
ჩამოვარდნილი
მთვარე დედის კალთაში თბება
და ყვინთავს დედა ძილ-ღვიძილში
მუხის ჯორკოზე...

დედის გულს თურმე
არასოდეს არ ეძინება!
. . . . . .
გამეღვიძება,
სიზმრებიდან გამეღვიძება,
ოთახში მთვარე არ იქნება
და მეტკინება!..

და ჩემი გული
მთვარესავით ჰკიდია ცაზე!..
. . . . . .
ნაჯაფი დედა მამლის პირველ ყივილზე დგება,
ჯერ სოფელს სძინავს...
მამას ჰგონია,
დედას ტკბილად ეძინა წუხელ...
დიდი ხანია, წლებმა გაჰყვეს
მათი საწოლი!..
. . . . . .
გამთენიისას ფუნჩულა ფეხს
აიდგამს მთვარე
და ვარდისფერი დღის სინათლით
იძინებს მშვიდად
ბავშვობის მთვარე —
ჩემი სოფლის კაშკაშა მთვარე.
. . . . . .
ღამემ სარკმელში
ჩემი სოფელი შემოიტანა!

* * *

რამდენის იყო საწყალი ნეტავ, —
იკითხავ ზოგჯერ შენს უნებურად...
თუ წლოვანება გარდაცვლილის
დაემთხვა შენსას, —
აიტანს სხეულს წარმავლობის
შიში და ძრწოლა, —
თითქოს დღეს გასჭრეს ნაწვიმარზე
შენი სამარეც...

დღეები, ტკივილი, სიყვარული

დღეები ლამაზი ფრინველებია,
უჩინმაჩინის ქვეყნებიდან მოფრენილი.
ყველა დღე გაივლის ჩვენში
და მიაქვს
ჩვენი სულის რაღაც ნაწილი.
დღეები ადამიანებივითაა,
დღეებმაც იციან:
ცრემლი, ტკივილი, სიყვარული,
სიხარულიცა და გლოვაც.
ადამიანის სიცოცხლეში ერთადერთი დღე
გლოვის დღეა, მაგრამ არავინ იცის,
როდის მოდის ის საცოდავი — გლოვის დღე!

ცრემლი მალამოა.
გული პატარა ეკლესიაა!..
ცრემლი გულიდან მოდის.
რა ბედნიერია ის,
ვისაც ცრემლი საძებარი არა აქვს!

ტკივილი — ცრემლის დედაა!
და ტკივილის ფასი არავინ იცის!
იქნებ ტკივილს სულ სხვა სახელი ჰქვია,
ვინ იცის...

სიყვარული — სიცოცხლის ფრთებია!..
სიყვარული არც მე ვარ და არც სხვაა!
სიყვარული უხილავად ხილულია!
სიყვარულს ენა არა აქვს,
მაგრამ ყველა ენაზე ლაპარაკობს!!!
სიყვარულს ანგელოზის ფრთები აქვს
და გულიდან გულზე დაფრინავს ისე,
როგორც პეპელა — ყვავილიდან ყვავილზე.

გული, გული მტკივა გაფრენილ დღეებზე.
არა! ის დღეები არ მომკვდარა ჩემთვის!
მე, მე მოვუკვდი მათ!..
და მე ვუგზავნი იმ დღეებს
მხურვალე და ცრემლიან კოცნას,
რომელიც არასდროს არ მივა მათთან
და მე გული მწყდება იმ დღეებზე,
ასე მოუფერებლად რომ დამეკარგნენ,
ასე რომ მიყვარდნენ და მიმატოვეს!..

თქვენში ატირებულა ჩავლილი დღის
ჩაწყვეტილი გული?!

სულში მაცვივა

თითქოს ფიქრებში გათეთრდა მთვარე
და ვეღარ ათბობს გალიგვულ ღამეს...
ზამთრის დღესავით მეღლება თვალი
და მიაქვს ჩემი სიცოცხლე წამებს.
წუთისოფელი ძუნწია რადგან, —
ცარიელდება სულის სალაროც,
და თავზე სიმწრის დღეები მადგას
და დარდი დროზე უნდა გავლალო
გულიდან... მერე სილურჯე ცათა,
რაც მიწილადეს, უნდა ვიკმარო...
ბევრჯერ, ო, ბევრჯერ გაფრენა ვცადე
და შემეტრუსა, როგორც იკაროსს
ფრთები, რომელიც მამა უფალმა
მარგუნა ბედის მწარე დაცინვად
და ვარსკვლავები, ასე უბრალოდ,
ქრება და მოღლილ სულში მაცვივა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტი

გიორგი ლობჟანიძე

ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის პრემიის კონკურსზე, რომელსაც საქართველოს მწერალთა სახლი გამომცემლობა „დიოგენესთან“ ერთად მართავს, ნომინაციაში — „წიგნად გამოცემული ნათარგმნი პოეზია“ — პრემია გადაეცა გიორგი ლობჟანიძეს კრებულისთვის „თანამედროვე სპარსული პოეზია“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, „კავკასიური სახლის“ აღმოსავლური განყოფილების გამგე, „ისლამური კულტურის ცენტრის“ ხელმძღვანელი, პოეტი და მთარგმნელი წლებია, მშობლიურ კულტურას ემსახურება. ქართულად ამეტყველებული „ყურანი“, იბნ ალ-მუკაფას „წიგნი ქილილასა და დამანასი“, ჯალალ ედ-დინ რუმის „ყაზალები“, სოჰრაბ სეფეჰრის „წყლის ფეხის ჩქამი“, ჯიბრან ხალილ ჯიბრანის „იესო, ძე კაცისა“, ფორუყ ფაროხზადის „მეორედ დაბადება“, „სპარსული ზღაპრები“, „თანამედროვე სპარსული დრამატურგია“, „თანამედროვე სპარსული პოეზია“ და აღმოსავლური ლიტერატურის მრავალი სხვა უმნიშვნელოვანესი ძეგლი თავად ჰყვება მთარგმნელის ამბავს. პოეტური კრებულები კი — „ობლის კვერი“, „დუღილის ტემპერატურა“, „ბაბუაწვერების თაიგული“ და „არაბულის მასწავლებელი“ — სამყაროს მისეულ აღქმაზე, შინაგან გამოცდილებაზე, სიტყვის გრძნობაზე გვიამბობს.

გიორგი ლობჟანიძე ჩვენი სტუმარია და გვესაუბრება თარგმანებზე, აღმოსავლურ ლიტერატურაზე, ქართველ პოეტებსა და პოეზიაზე.

— ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის პრემიის კონკურსს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან თარგმნილ პოეზიას, ისევე, როგორც ორიგინალურს, დიდად არ „სწყალობს“ გამომცემელი. მიუხედავად იმისა, რომ, ზოგადად, პოეტური კრებულების მიმართ ბაზრის ინტერესი მაღალი არ არის, ლექსები იწერება და ლექსები ითარგმნება.

— მართალი გითხრათ, გამომცემლებთან სასაყვედურო არაფერი მაქვს, მათი დაინტერესება და ძალისხმევა რომ არა, ბევრი ჩემი პროექტი წიგნად არ გამოიცემოდა. განსაკუთრებით მადლიერი ვარ „დიოგენესი“. წლების წინათ სწორედ ამ გამომცემლობის დირექტორმა, თამარ ლებანიძემ, დააარსა ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის პრემია, თუმცა ახლანდელზე ოდნავ განსხვავებული ფორმატით — კონკურსში ახალგაზრდა მთარგმნელები მონაწილეობდნენ. თამარს სურდა, ახალი თაობა პოეზიის თარგმნით დაინტერესებულიყო. სამწუხაროდ, გამომცემლობის ფინანსური პრობლემების გამო, კონკურსი სულ ორჯერ ჩატარდა. ამიტომ მწერალთა სახლისა და ნატა ლომოურის ინიციატივა, ვფიქრობ, ძალიან დროული იყო, და ისევ გაისმა ბატონი ვახუშტის სახელი. ზოგადად, პოეტის შრომა დაუფასებელია, მით უმეტეს — პოეზიის მთარგმნელის ღვაწლი, სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი აკადემიურ სივრცეში, თუნდაც მცირე მასშტაბის ყოველწლიური კონკურსის გამართვა. რაც შეეხება ლაურეატობას — მართალია, კონკურსები ხელს უწყობს ლიტერატურის განვითარებას, მაგრამ მათ მაინც სკეპტიკურად ვუყურებ, რადგან ცოცხალი მწერლების ერთგვარ მარათონად, შეჯიბრებად მიმაჩნია. თუმცა, ვახუშტის კონკურსში მე თვითონ მინდოდა მონაწილეობა და ამიტომაც წარვადგინე „თანამედროვე სპარსული პოეზიის“ მოზრდილი ტომი. მიხარია, რომ ჟიურიმ ჩემი შრომა დაინახა — ეს არ ნიშნავს, რომ სხვა კონკურსანტებმა ძალისხმევა დააკლეს. პრემია ორმაგად სასიხარულოა იმიტომ, რომ ვახუშტი კოტეტიშვილის სახელს ატარებს, რადგან მე-20 საუკუნეში მისი დონის პოეზიის მთარგმნელებით განებივრებული არ ვყოფილვართ, იმ პერიოდის ბევრ კარგ მთარგმნელს შორის, ის უდავოდ გამორჩეულია.

— ორიოდე სიტყვით მიამბეთ „თანამედროვე სპარსულ პოეზიაზე“.

— არსებობს წიგნები, რომლებზეც თანამიმდევრულად ვმუშაობ. მაგალითად, ჯალალ ედ-დინ რუმის „არსთა მესნევი“ უზარმაზარი პოემაა და, შესაბამისად, მუდმივი სამუშაოა. და არის კრებულები, რომლებიც სპონტანურად იქმნება. „თანამედროვე სპარსული პოეზიაც“ ასე თანდათანობით, ნელ-ნელა აიკინძა, ჯერ სოჰრაბ სეფეჰრის შედარებით მომცრო კრებული შევადგინე და „მერანმა“ გამოსცა, მომდევნო ოცი წლის განმავლობაში კი ოთხი იმდენი კიდევ ვთარგმნე. ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა სპარსელი პოეტი მაინტერესებდა, მიყვარდებოდა, რაღაც ახალს ვიღებდი მათგან, ახალს ვგრძნობდი, უკეთ ვუგებდი და ვიწყებდი თარგმნას, რომ სხვასაც წაეკითხა და გაეცნო. ასე შეიქმნა ეს წიგნი, რომელიც აერთიანებს ოც პოეტს — ვისი ლექსიც მნიშვნელოვანია თანამედროვე სპარსული პოეზიის განვითარებისთვის. ეს ჩემებურად წაკითხული სპარსული პოეზიაა. ცხადია, ახლაც ვაგრძელებ სპარსელი პოეტების კითხვას და თარგმნას, ზოგიერთი ახალია ჩემთვის, ზოგსაც დიდი ხანია ვიცნობ, ვკითხულობ, მაგრამ ესეც შეხვედრასავითაა, ხანდახან გეხსნება ლექსი, ხანაც — არა. ასე რომ, მუშაობას ვაგრძელებ და შეიძლება, მოვასწრო კიდეც ახალი კრებულის შედგენა, რომელშიც ის ლიტერატურული პროცესები აისახება, ახლა რომ მიდის სპარსეთში.

„ეპოქას ვერავინ გაექცევა“

— საუკეთესოდ იცნობთ აღმოსავლურ პოეზიას, როგორც შუა საუკუნეების უდიდეს პოემებს, ისე თანამედროვე ლექსს. რამდენად ღირსეული მემკვიდრეები არიან თანამედროვენი წინაპრებისა?

— ამ თემაზე შეიძლება დისერტაცია დაიწეროს, მაგრამ შევეცდები, მოკლედ მოგახსენოთ: რასაკვირველია, უმდიდრეს ტრადიციასთან გვაქვს საქმე, ვახუშტი კოტეტიშვილს უთქვამს ჩემთვის — თანამედროვე სპარსული პოეზია არ მიყვარსო. რასაკვირველია, ის იცნობდა თანამედროვე ავტორებს. ერთხელ, ჯერ კიდევ სტუდენტი რომ ვიყავი, ვკითხე კიდეც, თანამედროვე სპარსელ პოეტებს რატომ არ თაგმნით-მეთქი? გამეხუმრასავით — ეგენი ახალგაზრდებს დაგიტოვეთო. იმდენად იყო შეთვისებული ძველ პოეტებს და აფასებდა ტრადიციას, რომ ნებისმიერი გადახვევა აღიზიანებდა, პრინციპულად არ იღებდა ახლებს. იგივე აზრი მომისმენია მაგალი თოდუასგანაც. ალბათ, აკვიატებული გემოვნების ამბავიც იყო, თორემ ისინი უტყუარად გრძნობდნენ სიტყვას. და რახან ამ ორ ადამიანზე უკეთესი არც არავინ მეგულებოდა, მათზე უფრო დიდი მცოდნე და მგრძნობელი მწერლობისა, მეც სტუდენტობიდანვე განვეწყვე, რომ სპარსულ ლიტერატურაში რაც კი ღირებული და საინტერესოა, წარსულს ჩაბარდა, უკვე დაიწერა. შემდეგ ჩავედი ირანში და სრულიად საპირისპირო რამ აღმოვაჩინე. იქ ისეთი რთული ლიტერატურული პროცესები მიდის, რომ კარგი მეგზურის, გემოვნებიანი ადამიანის გარეშე, ვერ გაერკვევი. და მეც გამომიჩნდა ირანელი მუჰამად მაშჰადი, ჩემი თანაკურსელი, დღეს უკვე ცნობილი მეცნიერი, რომლის წყალობით „შევხვდი“ სოჰრაბ სეფეჰრის, ფორუყ ფაროხზადს, აჰმად შამლუს, რომელიც მოგვიანებით პირადადაც გავიცანი, და ბევრ სხვას. მივხვდი იმ პოეზიის მნიშვნელობას და ახალი პოეტების არჩევანსაც. დავინახე, საიდან რა განვითარდა, საით წავიდნენ, რატომ თქვეს უარი კლასიკურ ტრადიციაზე და რას დააფუძნეს თანამედროვე სპარსული ლექსი. ბევრს ვკითხულობდი და უკვე თვითონაც ვარჩევდი ავტორებს.

— ალბათ, ადარებდით იმავე პერიოდის ქართულ ლექსს, ჩვენთან მიმდინარე პროცესებს.

— რა თქმა უნდა, ვადარებდი და მაინტერესებდა, რა მოხდა ქართულ პოეზიაში, რატომ გამოგვრჩა თუ გამოვტოვეთ ის ეტაპები, რაც ირანელებმა შემოქმედებითად გაიარეს. მოდი, ასე ვთქვათ, მე-20 და 21-ე საუკუნეების ახალ ქართულ ლექსს, ობიექტურად თუ შეაფასებ, ვერ შეედრება ბევრი სხვა ქვეყნის პოეზია. უზარმაზარი განძის მფლობელები ვართ. სამწუხაროდ, დღეს ნაკლებად კითხულობენ და იშვიათად გამოსცემენ უდიდეს ქართველ ავტორებს. ჩვენთან ხომ ბევრი რამ იმაზეა დამოკიდებული, ავტორს მემკვიდრე დარჩება თუ არა. ახლახან მეგობართან ვსაუბრობდი თამაზ ბიბილურზე. ვის ახსოვს იგი? ალბათ ძალიან ცოტას. მას არ დარჩენია მემკვიდრე, რომელიც მწერლის ლიტერატურულ დანატოვარს უპატრონებდა. იყვირებდა: „წაიკითხეთ თამაზ ბიბილური, თამაზ ბიბილური, თამაზ ბიბილური“... იმავეს ვიტყვი პოეტებზეც. მაგალითად, გივი გეგეჭკორზე, რომელიც დღეს მხოლოდ იმ ხალხს ახსოვს, ვინც ძალიან კარგად იცნობს პოეზიას. აღარაფერს ვამბობ გიორგი შატბერაშვილზე, მედეა კახიძეზე, ნაზი კილასონიაზე. იმის თქმა მინდა, რომ ძალიან სიღრმისეული პროცესებია, ჩვენ კი, ძირითადად, ზედაპირზე ვტივტივებთ. თითქმის აღარ გვახსოვს ისინი, ვინც ლიტერატურულ პროცესს ქმნიდა, ვინც შესანიშნავი წიგნები დატოვა. შესაძლოა, დღეს განვითარების სხვა ეტაპია და დღევანდელი ეს ვითარება ამანაც განაპირობა, მაგრამ პრობლემა სხვა რამეა — საქართველოში არ არის შემოქმედებითად ათვისებული, გააზრებული ის მემკვიდრეობა, რაც შექმნეს წინა თაობებმა. თანამედროვე ლიტერატურული პროცესი, ხშირ შემთხვევაში, ინერციით მიდის. არადა, ნებისმიერი ქვეყანა იამაყებდა ისეთი პოეტი ქალით, როგორიც იზა ორჯონიკიძეა. აღარას ვამბობ ანა კალანდაძეზე. მაგრამ მათ ლექსებთან რომ მიხვიდე, როგორც მკითხველს, სულ სხვა სიმაღლე, სხვა მომზადება უნდა გქონდეს, მშობლიურ ენას უნდა გრძნობდე, მთელ პოეტურ ტრადიციას საკუთარ თავში უნდა ატარებდე.

— ადვილი არ არის სხვის ლექსში შეღწევა, როგორც ზემოთ თქვით, ან გაგებინება კარი, ან — არა.

— დიახ, თითქმის ყველა პოეზია ჰერმეტულობამდე დაგმანულია, მასში შეღწევას დიდი სულიერი გამოცდილება სჭირდება. იყო პროცესები, რაც ობიექტურად ვერ გავიარეთ. მაგალითად, ცენზურა მიიჩნევდა, რომ იზა ორჯონიკიძის ლექსები თითქმის პორნოგრაფიულია. იზას ლექსში არის ვნების დიდი გრადაციები, რაც აბსოლუტურად სწორად მოეჩვენა მაშინდელ ცენზორს პორნოგრაფიად. ალბათ გახსოვთ სტრიქონები მისი ერთ-ერთი გვიანდელი ლექსიდან: „ისევ ვდგავარ სანაპიროს, სადაც ერთხელ ვიდექ ოცის, ავი რომ არ დავაპირო, ქარი მცემს და წვიმა მკოცნის“. გესმით, რასაც ამბობს, ანდა როგორ ამბობს, არა? ასეთი დონის ლექსებში პოეტური ენა ძალიან დამუშავებული, ძალიან რაფინირებულია. მკითხველის ნერვულ დაბოლოებებში რომ გრძელდება ლექსი — აი, ისაა პოეზია. და როცა ახალი თაობის პოეტს ეს ყოველივე გადახარშული, განცდილი არ აქვს — მას ეჩვენება, რომ რასაც წერს, ყველაფერი ახალია და ამით სასაცილო მდგომარეობაში იგდებს თავს.

— ვიცი, რომ ინტენსიურად ეცნობით ახალ ლექსებს და ინტერესდებით ლიტერატურული სიახლეებით. ზოგადად, როგორ დაახასიათებდით პროცესებს?

— ერთი მხრივ, იწერება ისეთი ლექსები, რაც არ ვარგა, რასაც პოეზიას ვერ დაარქმევ და ამას წაკითხვისთანავე ხვდები. მეორე მხრივ, არსებობს გაცილებით საშიში მოვლენა, რომელსაც „ლიტერატურულ სექენდჰენდს“ ვეძახი. ესაა — ერთი შეხედვით — მოწესრიგებული, გამართული ლექსები, რომლებშიც ჩვეულებრივი მკითხველი ძნელად ამოიცნობს აპლიკაციას, თუმცა პროფესიონალი უმალ იგრძნობს ლიტერატურულ ძარცვას, მის ყურს ვერ გამოაპარებ ლია სტურუას, ვახტანგ ჯავახაძის, ტარიელ ჭანტურიას, გივი გეგეჭკორის ხმას — მძარცველის ლექსში ყველას შეხვდებით, თავად ავტორის გარდა. ასეთები განსაკუთრებით ძარცვავენ ბესიკ ხარანაულს, დავით წერედიანს. ამიტომ, როცა წიგნებს ვახარისხებ, „სექენდჰენდებს“ გულუბრყვილო პოეტების „ქვეშ“ ამოვდებ ხოლმე.

ქართულ პოეზიაში ღრმად რომ გავრკვეულიყავი, ჩემთვის დამელაგებინა რაღაც-რაღაცები, ამაში ძალიან დამეხმარა არაბულ და სპარსულ პოეზიაში ჩაღრმავება, „ყურჭაობა“, დამეხმარა იქაური ლიტერატურისმცოდნეობა და კრიტიკა. იქ სამეცნიერო დონეზე, ზედმიწევნითაა შესწავლილი, რომელი ტენდენცია საიდან მოდის და ვისგან რა ვრცელდება. ჩვენთან ასეთი სამუშაო არ გაწეულა, ასე არ უკვლევიათ ლიტერატურა, მასშტაბს ვგულისხმობ. თუმცა, სწორედ კრიტიკოსის მასშტაბური აზროვნების, სიღრმისეული ხედვის მაგალითია როსტომ ჩხეიძე, ამიტომაც მას ხშირად მტრობენ, არ მოსწონთ სიმართლის მოსმენა.

— თქვენი ლექსიც ალბათ საზრდოობს იმ ცოდნით, რაც წლების განმავლობაში არაბულ, სპარსულ და მშობლიურ ლიტერატურაში ჩაყურყუმელავებით შეიძინეთ, არა? სიტყვა „გავლენა“ ბევრს აღიზიანებს, თუმცა ვფიქრობ, სხვისი შემოქმედების განცდა აუცილებელია



ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტისთვის, მწერლისთვის.

— რა თქმა უნდა, მწერალს, პოეტს წინა თაობებისა და თანამედროვეთა შემოქმედება, ნააზრევი აყალიბებს, მაგრამ გააჩნია ლიტერატურის გადამუშავების ხარისხს. კარგად გადამუშავებული გავლენები სხვაა, აპლიკაცია — სხვა. შეუძლებელია, ჩემზე გავლენა არ მოეხდინოს ნებისმიერ კარგ პოეტს, რომელიც სამყაროს ეხმიანება და იმ ხმიანობაში მეც, როგორც პოეტი, ჩართული ვარ. დამეთანხმებით, არსებობს ეპოქისათვის დამახასიათებელი საერთო თემები და საერთო პოეტური კოინე, რომელსაც ყველა პოეტი ემორჩილება, ეპოქას ვერავინ გაექცევა. მართალია, ავტორი დროის მიღმიერ ღირებულებას ქმნის, მაგრამ სათქმელს თანამედროვეობის შესაბამისად ამბობს. გალაკტიონმა შემთხვევით არ დაწერა, რომ არ არსებობს პოეზია დროის გარეშე, „დრო, დრო აღნიშნე, მოაწერე ლექსს“. თუმცა, „ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ“ რეჟიმისთვის ხარკის გადახდად ჩაუთვალეს პოეტს.

ლექსს წარმართავს დიდი შინაგანი კანონზომიერებები, თუ იმ კანონზომიერებებს ვერ ფლობ, თუ შენი ოჯახის ისტორიის დაწერა არ შეგიძლია, განვითარების საფეხურებს ვგულისხმობ — არ გამოგივა არაფერი. რაც შეეხება ჩემს ლექსებს — რატომ ვწერ? ხომ შემიძლია, ამოვეფარო მთარგმნელის სახელს და კომფორტულად ვიგრძნო თავი, რადგან საქართველოში მთარგმნელები არ ახსოვთ და ისე დაიმოწმებენ უცხოელ ავტორს, — როგორც ის იტყვისო, — თითქოს ქართულად დაეწეროს თავისი თხზულებები. ხომ არ არის ეს ჩემი ამბიცია — ამხელა პოეტებს ვთარგმნი და მაინც ლექსებს ვწერ? სინამდვილეში, პოეზია თვითგამოხატვის, თვითგადმოცემის ყველაზე მოხერხებული ფორმა, ყველაზე მარჯვე საშუალებაა ჩემთვის — არა თარგმნა, არა ლიტერატურის კვლევა, არა უცხო ენების შესწავლა და კიდევ ბევრი რამ, არამედ სწორედ პოეზია. აქ ვარ ყველაზე უფრო თავისუფალი, ხელგახსნილი და გულგახსნილი. არ ვიცი, რა ღირებულება ექნება ჩემს ლექსებს, შემფასებლად ვერ გამოვდგები, თუმცა მგონია, რაც დაიწერა, ხუთი მაინც რომ დარჩეს ქართულ პოეზიას, უდიდესი რამ იქნება.

— სპარსული თანამედროვე პროზის თარგმნა არ გიცდიათ?

— თეირანში სწავლისას მქონდა მცდელობა. პროზაც პოეზიასავითაა — რაღაცას კითხულობ და გიჩნდება სურვილი, ქართულად სხვასაც წააკითხო. ბაჰრამ სადაყის რამდენიმე მოთხრობა ვთარგმნე, ასევე ჰოსეინ ნუშაზარის — საკმაოდ სერიოზული სპარსული პროზა. მერე აღმოჩნდა, რომ ამ საქმეს შესანიშნავად უძღვება, სულ ცოტა, ორი მთარგმნელი, მზია ბურჯანაძე და თეა შურღაია — მათ გამო შემიძლია, მშვიდად ვიყო. იმავეს ვიტყვი არაბულ პროზაზეც — მთარგმნელების მხრივ ყველაფერი რიგზეა. ახლახან მე და გამომცემლობამ — „წიგნები ბათუმში“ — დავიწყეთ სერია „აღმოსავლური ლიტერატურა“. პროექტის მიზანია მკითხველისთვის სპარსული და არაბული



პროზის გაცნობა. ჯერჯერობით არაბულ ლიტერატურას გამოვცემთ. რამდენიმე ავტორი მეც ვთარგმნე. პროექტს ვხელმძღვანელობ და ვინაიდან გამოსაცემი ტექსტები ჩემს ხელში გადის, ბევრი არაჩვეულებრივი მთარგმნელი აღმოვაჩინე, რაც ძალიან მახარებს. მე კი, შინაგანი სიყვარულიდან გამომდინარე, არაბულ პოეზიაში მირჩევნია, ვიმუშაო.

— არაბულ პოეზიასთან დაკავშირებული საგამომცემლო პროექტიც ხომ არ გაქვთ?

— თუკი მოვახერხე და, ვთქვათ, უახლოეს ხუთ წელიწადში „თანამედროვე არაბული პოეზიის“ კრებული იმავე მოცულობით გამოვეცი, რაც „სპარსული პოეზიაა“, ჩემს მისიას, როგორც მთარგმნელი, ამ მხრივ ამოწურულად ჩავთვლი. ფრაგმენტულად, წლებია, ვმუშაობ — რომელი არაბი პოეტიც მომეწონება, ვთარგმნი. ასეთი კი უკვე ბევრია. კრებულის შედგენისას გავითვალისწინებ ყველა იმ პოეტს, რომელმაც არაბული პოეზიის განვითარებაში გარკვეული წვლილი შეიტანა. გარდა ამისა, ჯალალ ედ-დინ რუმის „არსთა მესნევის“ ექვსი წიგნიდან ოთხი უკვე ვთარგმნე, მაგრამ დაფინანსების გაურკვევლობის გამო პროექტზე მუშაობა ჯერჯერობით შევაჩერე. სანამ საკითხი არ მოგვარდება, ვამჯობინებ, თარგმანი ჩემს არქივში ინახებოდეს. რა თქმა უნდა, ვაგრძელებ მუშაობას შუა საუკუნეების არაბულ პროზასა და თეოლოგიურ ტრაქტატებზე. გამოსაცემად მზადაა ადრეული შუა საუკუნეების დიდებული ძეგლი, იმამ ალის ქადაგებათა კრებული „ნაჰჯ ულ-ბალაღა“, რომელიც შიიტური ისლამის შესწავლის ერთ-ერთი წყარო გახლავთ. აქაც დაფინანსების პრობლემაა. მირჩევნია, ის ნამუშევრები, რასაც ჯანმრთელობა, თვალის ჩინი და უდიდესი ენერგია შევწირე, უჯრაში დარჩეს, ვიდრე მათ სრულიად არაადექვატურ ფასად გამოცემას დავთანხმდე. არ იფიქროთ, რომ მატერიალურ კეთილდღეობას ან გამდიდრებას ვესწრაფოდე, მაგრამ როცა წლებია, ამხელა საქმეებს ეჭიდები, საარსებო სახსარი ხომ მაინც უნდა გაგაჩნდეს?!

— თქვენი კონკურენტების ნამუშევრებს თუ იცნობთ?

— მართალი გითხრათ, არ ვიცი, ვინ მონაწილეობდა კონკურსში. არ მომიკითხავს. მინდა, გულწრფელად გითხრათ, რომ ჩემთვის, როგორც ადამიანისთვის, რომელიც ათჯერ იყო „საბას“ ფინალისტი და პრემია მხოლოდ ორჯერ მიიღო, გაცილებით კომფორტულია, სხვა ავიდეს სცენაზე ჯილდოს მისაღებად. ვიცი, რა შრომაა წიგნის თარგმნა, კარგია, როცა ეს გიფასდება, მაგრამ იქვე ჩნდება პატივისცემა კოლეგების ნამუშევრებისადმი, რომელიც შეიძლება შენსას არაფრით ჩამოუვარდება. „შორთ ლისტში“ ვინც ხვდება, ის გამარჯვებულია, ასობით კონკურსანტისგან გამორჩეულ ფინალისტებს გამარჯვების თანაბარი შანსი აქვთ. დანარჩენი დამოკიდებულია ხმების მექანიკურ დათვლაზე და რა ვიცი, კიდევ რაზე — ალბათ, პიროვნულ კეთილგანწობაზეც. ამიტომ განსაკუთრებით მაცინებს და მაბრაზებს ხოლმე ფრაზა „საბა მოიგო“ ან, ზოგადად, „პრემია მოიგო“. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ყოველთვის ვგულშემატკივრობდი მათ, ვინც ჩემთან ერთად იღებდა მონაწილეობას ამა თუ იმ კონკურსში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ჟიურის წევრებმა, ისე რომ, სახელი არ უხსენებიათ, სწორედ „კეთილგანწყობის გამო“ პირდაპირ სცენიდან შეურაცხმყვეს. აი, მაშინ კი მომინდა საკადრისი პასუხის გაცემა. დიდი რამაა ადამიანობა და ყოველთვის ვცდილობ, ვილაპარაკო მოვლენის ნეგატიურ მხარეზე და არასდროს დავწვრილმანდე ისე, რომ ადამიანები პიროვნულად შეურაცხვყო. ანგარიშსწორება უცხოა ჩემთვის, თუმცა ტრავმირებული ადამიანის რეაქციას სხვა ემოციები წარმართავს და ნუ მოსთხოვენ ყველანაირ თავშეკავებას.

ასაკმა თავდაჯერება მომიტანა, დარწმუნებულო ვარ, რომ რასაც ვაკეთებ, მნიშვნელოვანია. აუცილებლად მოვა დრო და მოიტანს ნამდვილ გამარჯვებას, თუ არა და — არც ამ საუბარს ჰქონია აზრი.

ესაუბრა თამარ ჟურული

როსტომ ჩხეიძე

გარდუვალი ხვედრი აკაკი ბელიაშვილისა

დასასრული

არა მჯერაო, — აცხადებდა გრიგოლ რობაქიძე და... მის ამ თითქოსდა დარწმუნებულ მოსაზრებაში ის ტკივილი გამოსჭვივის: ბუნებრივი სიკვდილი მაინც მაცალეთ, თქვე უღმერთოებოო!..

* * *

არსენა ოძელაშვილის დაღუპვას ანტიკური გმირის ტრაგედიას რომ გაუთანაბრებდა „გრაალის მცველთა“ შემოქმედი, მიიჩნევდა, რომ ეს იყო გულისფეთქვაც და მაჯისცემაც მიხეილ ჯავახიშვილის რომანისა „არსენა მარაბდელი“, და დასძენდა, რომ:

წმინდა ეპიკური ხაზით ამ რომანს ქართულ ლიტერატურაში „გაბზარული გული“ თუ ამოუდგებოდა გვერდით შიო არაგვისპირელისა;

ფეოდალური ყოფის გამოსახვის მხრივ კი აკაკი ბელიაშვილის „ცხოვრება ბესიკ გაბაშვილისა“ თუ გაუტოლდებოდა.

1946 წლის 29 იანვარს ლევან ასათიანი უბის წიგნაკში ჩაინიშნავდა აკაკი ბელიაშვილის ნაამბობს, თუ როგორ ესტუმრებოდა ერთი უცნობი ხანდაზმული ქალი, ბიბლიოთეკის თანამშრომელი.

— მაპატიეთ, რომ მოვედი თქვენთვის უცხო ადამიანი, — ეტყოდა, — მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო. მე წავიკითხე თქვენი ახალი რომანი „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა“ და მოვედი, გითხრათ უღრმესი მადლობა იმ დიდი სიამოვნებისათვის, რომელიც მისმა წაკითხვამ მაგრძნობინა!

აკაკის საქციელი წაუხდებოდა, აღელდებოდა, აღარ იცოდა, რა ეთქვა — ეს იყო მისთვის უდიდესი ჯილდო, უბრალო ქების სიტყვები უცნობი მკითხველისაგან.

ქალი მალე ადგებოდა და წავიდოდა, მაგიდაზე კი პატარა შეკვრას დატოვებდა.

მწერლის ქალიშვილი კართან დაეწეოდა:

— დეიდა, აი ეს დაგრჩათ!

— არა, ეგ ჩემი მცირე ძღვენია მადლობის ნიშნად.

გახსნიდნენ და... კახური ჩურჩხელები აღმოჩნდებოდა.

აკაკის მცირე ნატეხი ძლივს შეხვდებოდა იმ ჩურჩხელებიდან. არც ძალიან მიეტანებოდა.

აღელვებული იდგებოდა ფანჯარასთან ქუჩას მიჩერებული.

უცნობი ქალი უკვე აღარ ჩანდა, ხალხში გარეულიყო და თვალს მიფარებოდა.

მინიატურასავით გამოიკვანძებოდა ეს ეპიზოდი.

ასე გადაეჯაჭვებოდა ერთიმეორეს უცნობი მკითხველისა და გრიგოლ რობაქიძის შეხედულება, ორივე თავთავისებურად ძვირფასი რომანის ავტორისათვის.

* * *

რჩებოდა ხელნაწერი სამოგზაურო ნარკვევისა „ამერიკაში პარიზზე გავლით“, თუმც მწერლის თხზულებათა მეორე ტომში შეტანისას, 1964 წელს, სახელწოდება შეიცვლებოდა და დასათაურდებოდა ამგვარად: „მოგზაურობა ამერიკაში“, რადგანაც პარიზული შთაბეჭდილებანი პირწმინდად ამოიშლებოდა. არც ნიუ იორკულ, ვაშინგტონურ, ლოსანჟელოსურ თუ ჩიკაგოურ შთაბეჭდილებებს დაადგებოდა კარგი დღე, ცენზორის ულმობელი მაკრატელი უამრავ პასაჟსა და ფურცელს რომ ამოაკლებდა და დოკუმენტური პროზის ეს შესანიშნავი ნიმუში მთლად უღიმღამოდაც არა, მაგრამ ძალიან გაფერმკრთალებული კი იხილავდა მზის სინათლეს.

ქართული ლიტერატურის მუზეუმის ფონდებში დაცული ხელნაწერი ნახევარ საუკუნეზე მეტხანს რომ მოელოდა მკვლევარის ხელს, კიდეც მოიძიებდა რუსუდან ნიშნიანიძე და სრულფასოვანი სახით შემოიტანდა სალიტერატურო და საზოგადოებრივ მიმოქცევაში, იმ მხრივაც რომ იზრუნებდა — როგორც საერთოდაც სჩვევია — ტექსტი უნიკალური ფოტოებითაც გაემდიდრებინა, ქართული ლიტერატურის მუზეუმის აკაკი ბელიაშვილის არქივშიც რომ დაცულიყო და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, პენსილვანიაში, ლიჰაის უნივერსიტეტის არქივში, ჯორჯ და ჰელენ უეიტ პაპაშვილების სპეციალურ კოლექციაში, რათა მკითხველს საშუალება ჰქონოდა დიდებული თხრობის თანადროულად თვალი მიედევნებინა ფოტოქრონიკისთვისაც.

საგულისხმო ცნობებითა და დეტალებითაც შეავსებდა შესავალ სტატიაში დოკუმენტური მოთხრობის პერსონაჟთა გალერეას, განსაკუთრებით მაინც გიორგი გამყრელიძის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიურ პორტრეტს შესძენდა რამდენიმე აუცილებელ ფერსა და შტრიხს... ცხადია, წარმოაჩენდა ლადო ბელიაშვილსაც, გიორგი პაპაშვილსაც, იმხანად დიდად პოპულარულ მწერალს შტატებში, და ნიკოლოზ ქვარიანსაც, მოჭიდავე იყო თუ პოეტი, მაინცდამაინც რომ ვეღარ გაარკვევდი, ისე ამოუჯდებოდა გული თავისი სიყმაწვილისა და ქუთაისური სურათების წამოშლით... და საგანგებოდ მოიხმობდა ეპიზოდს სერგო კლდიაშვილის მოგონებიდან (სულ ახლახან რომ ეღირსებოდა დაბეჭდვა „საქართველოს რესპუბლიკის“ 2010 წლის 3 აპრილის ნომერში), თუ როგორ ზის 1937 წლის ერთ ავბედით დღეს მწერალთა კავშირში განსასჯელის სკამზე აკაკი ბელიაშვილი, რომელმაც პასუხი უნდა აგოს უპატიებელი დანაშაულისათვის: სტალინი უხსენებია თურმე აუგად.

— აღიარე! საჯაროდ! — მოითხოვს მწერალთა კავშირისა და კრების თავმჯდომარე დავით დემეტრაძე.

და სამარისებურ სიჩუმეში მხოლოდ აკაკი ბელიაშვილის ხმა გაისმის, სასოწარკვეთილის, განწირულის, მაგრამ მაინც შეუპოვარის:

— რა ვაღიარო... არაფერი მითქვამს და რა ვქნა, რა ბრალდება ავიღო ჩემს თავზე?!

შეუპოვრობა რას უშველიდა, უეჭველად გამოჩნდებოდნენ მოწმეები, პირზე რომ დაადგებოდნენ და ულმობელ განაჩენს წინ ვეღარაფერი დაუდგებდა, მწერალთა მიერ განწირულს უშიშროების კომიტეტი რომ გადაიბარებდა და ჯალათებსაც მიუგდებდა, მაგრამ... ეს ის დღე და ის წუთებია, პაოლო იაშვილმა გვერდით მჯდომ ალექსანდრე ქუთათელს პაპიროსი რომ უნდა სთხოვოს და ვითომდა მოსაწევად გავიდეს ორიოდ წუთით...

და მერეა პროტესტის ის უკიდურესი გამოვლენა, რუსუდან ნიშნიანიძე თავისი მხრივაც დითირამბით რომ შეამკობს:

— გასროლა! ამაყი გასროლა, დაუმორჩილებელთა გასროლა, ღირსეულთა გასროლა, „უძლურის ჭირისუფლის“ გასროლა — ასე ვხედავ ათეული წლების შემდეგ...

პაოლო იაშვილის ის ღირსეული და ტრაგიკული აქცია უშიშროების კომიტეტის ყურადღებას მთლიანად აქეთ მიმართავდა, მის ირგვლივ შექმნილი ხმაურის ჩასახშობად და გასაქარწყლებლად და... აკაკი ბელიაშვილი სულ მიავიწყდებოდათ.

უნებურად ასე იხსნიდა იმ დღეს პაოლო იაშვილი თანამოკალმეს გარდუვალი აღსასრულისაგან.

ასე გადავადდებოდა აკაკი ბელიაშვილის ცხოვრების ტრაგიკული ფინალი.

გადავადდებოდა, აბა, საიქიოდან როგორღა შესწეოდა „მეღორის სიმღერის“ შემოქმედი, იქიდან როგორღა დაეფარა, აჩრდილად მოვლენილს როგორღა აერიდებინა ავტოავარია...

მაინც იმათი წერა უნდა გამხდარიყო.

* * *

არა მჯერაო, — თავს არ უტყდებოდა გრიგოლ რობაქიძე.

* * *

მაინც რა სიცილი იცოდა ამისთანა აკაკი ბელიაშვილმა, ასეთი გულიანი, რომ მუხაც შეიძლება აეთახთახებინა?!.

ბარემ იქ ერჩივნა ყოფნა, მუხის ქვეშ თავშეფარება, თორემ შეძრწუნება და ასეთი — ტაძარში იდგე და... ტლაპო განვიმდეს ჩამოქცეული გუმბათიდან?!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალილა ბედიანიძე

„რომაული ლირიკის მწვერვალები“

ქართულად თარგმნილ ანტიკურ ლიტერატურას კიდევ ერთი საინტერესო წიგნი შეემატა — „რომაული ლირიკის მწვერვალები“, რომელიც თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო მანანა ღარიბაშვილმა. კრებულში შესულია რომაული ლირიკის ნიმუშები კატულუსიდან მარციალისამდე — თარგმნილი ავტორები არიან გაიუს ვალერიუს კატულუსი, პუბლიუს ვერგილიუს მარონი, კინტუს ჰორაციუს ფლაკუსი, ალბიუს ტიბულუსი, სექტუს პროპერციუსი, პუბლიუს ოვიდიუს ნაზონი და მარკუს ვალერიუს მარციალისი. წინასიტყვაობაში ნათქვამია: „რომაული ანუ ძველი ლათინურენოვანი ლირიკა ბერძნულის გავლენით შეიქმნა, შეიძლება ითქვას, მის თარგზეა მოჭრილი, მაგრამ სხვა ლიტერატურული ჟანრებისაგან განსხვავებით, არაფრით ჩამოუვარდება, რიგ შემთხვევაში თითქოს აღემატება კიდევაც ბერძნულს. თუმცა, შესაძლებელია, ეს შთაბეჭდილება იმითაც იყოს გამოწვეული, რომ მან გაცილებით უფრო სრულად მოაღწია ჩვენამდე, რადგან ლათინური ენის ცოდნა შემდგომი დროის ევროპაში არასოდეს დაკარგულა და მათი ლირიკაც მნიშვნელოვანწილად რომაულის ფესვზეა აღმოცენებული“.

პოეზიის თარგმნა ერთობ რთული საქმეა და დიდ ძალისხმევას მოითხოვს. მთარგმნელი უზადოდ უნდა ფლობდეს როგორც ორიგინალის, ასევე თარგმანის ენას და მხატვრულ სიტყვას. ეს მცდელობა ხშირად მარცხით მთავრდება და გაუგებარია, ესა თუ ის თარგმნილი ავტორი რატომ იყო დიდი პოეტი, მაგრამ ამჯერად საქმე გვაქვს რომაული პოეტების ქართულად ამეტყველების წარმატებულ მცდელობასთან — მანანა ღარიბაშვილი შესანიშნავად ფლობს როგორც ლათინურ, ასევე ქართულ ენას და ამასთან, აქვს ღვთით მომადლებული პოეტური ნიჭი. მისი თარგმანები გამოირჩევა ორიგინალთან სიახლოვით და მეტრიკული სიმდიდრით. მას წარმატებით დაუძლევია რომაული ლექსწყობის სირთულეები და არაერთი შესატყვისი მოუნახავს ამა თუ იმ ავტორის მიერ გამოყენებული საზომისათვის. ძარღვიანი ქართული ენით, მოქნილი, ტევადი ფრაზებით, საგანგებოდ შერჩეული ტერმინებით გამოირჩევა ეს თარგმანები და არაერთი მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი იმის დასტურად, რომ მთარგმნელმა სახიერად გააცოცხლა ეგრეთ წოდებულ „მკვდარ ენაზე“ დაწერილი ლექსები. დავიწყოთ კატულუსით, რომელიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ძვ.წ. I საუკუნეში. როგორც მანანა ღარიბაშვილი გვამცნობს, კატულუსის ლექსებში მოტივების მიხედვით გამოიკვეთება სამი ციკლი: პირველი „ლესბია“, მეორე „მეგობრები და მტრები“ და მესამე — „სხვადასხვა“. კატულუსს, უპირველეს ყოვლისა, ლესბიას მომღერალ პოეტად იცნობენ. ლესბია რომ კატულუსის მიერ შერქმეული სახელია, ამაზე მეცნიერები აღარ დავობენ. აპულეუსი თავის „აპოლოგიაში“ პირდაპირ აღნიშნავს, რომ კატულუსმა კლოდიას უწოდა ეს სახელი. კლოდია რომში განთქმული ლამაზმანი, სახალხო ტრიბუნის, კლოდიუს პულხერის და იყო, საქვეყნოდ ცნობილი თავისი სამიჯნურო თავგადასავლებით. ლესბიას ციკლის ლექსებში სასიყვარულო ურთიერთობის ყველა მხარეა გამოხატული, გულის პირველი აჩქროლებიდან საბოლოო იმედგაცრუებამდე. მაგალითისთვის ერთ ლექსს მოვიხმობ:

„სიცოცხლე ჩვენდა,
სიყვარული ჩვენდა, ლესბია!
დაე, წამითაც ნუ შეგვაკრთობს,
რაში გვეხება
ბებრუხანების ბუზღუნი და
მიეთ-მოეთი!
მზეს შეუძლია დილით აღჩნდეს,
ღამით ჩავიდეს,
მზეს შეუძლია,
მაგრამ როცა ჩვენი ვარსკვლავი
ერთხელ ჩაქრება,
სამუდამო ძილს მივნებდებით...
ასჯერ მაკოცე, ათასჯერ
და კიდევ ათასჯერ,
ასს კიდევ ასი მივადევნოთ,
ათასს ათასი,
შეუჩერებლივ, დაუცხრომლად,
შეუსვენებლად.
და მერე, როცა დავაგროვებთ
უამრავ ათასს,
თავიდან დავყვეთ,
სათვალავი ისე დავკარგოთ,
რომ თვლა აებნეთ ბურნეულებს,
რიცხვით მჩხიბავებს,
თავგზა აებნეთ...
ვეღარ შეძლონ ჩვენი გათვალვა!“

კატულუსის კიდევ ერთ ლექსზე შევჩერდები. ეს არის ორსტრიქონიანი სატრფიალო ლექსი, რომელიც სათარგმნელად მეტად რთულია თავისი მოქნილობის და ტევადობის გამო, მაგრამ მანანა ღარიბაშვილმა წარმატებით გაართვა ამ საქმეს თავი.

„მძულხარ და მიყვარხარ, ერთად!
როგორო, მავანი მკითხავს,
ან მე განა თუ ვიცი, ვგრძნობ
და ჯვარს ვეცვა ლამის!“

შემდეგი რომაელი ავტორი არის პუბლიუს ვერგილიუს მარონი (ძვ.წ. 70-19).

მანანა ღარიბაშვილს დახვეწილი გემოვნებით შეურჩევია სათარგმნი მასალა და არც ამ შემთხვევაში ღალატობს თავის გემოვნებას. მას უთარგმნია ვერგილიუსის IV, V, VI ეკლოგები. ვერგილიუსის ნაწარმოებთაგან ლიტერატურის ისტორიას შემორჩა სამი: „ბუკოლიკები“ (ანუ ეკლოგები), „გეორგიკები“ და ვრცელი პოემა გმირ ენეასის შესახებ „ენეიდა“.

ეკლოგათა შორის გამორჩეულია IV ეკლოგა, რომელიც 40 წელს არის დაწერილი. აქ პოეტი ხოტბას ასხამს ახალ პოლიტიკურ წყობილებას (რესპუბლიკა დაინგრა და მის ადგილს იჭერს პრინციპატი). ამ ეკლოგაში გატარებულია აზრი, რომ ოქროს ხანა დაბრუნდება და იგი მოუტანს საზოგადოებას მშვიდობასა და სიწყნარეს. ეს ეკლოგა მესიანისტურია. 40 წელს ქ. ბრუნდიზიუმში ხელშეკრულება დაიდო ავგუსტე ოქტავიანესა და მარკუს ანტონიუსს შორის. ეს ხელშეკრულება მიზეზს აძლევს პოეტს, მისნობის სახით ამცნოს ქვეყანას, რომ დაიბადება ახალი ღმერთი, რომელიც ახალ ცხოვრებას მოიტანს, ახალ სამყაროს შექმნის. უშუალო საბაბი მეოთხე ეკლოგის დაწერისა იყო შემდეგი გარემოება: 40 წელს ავგუსტუს ოქტავიანეს მეუღლე სკრიბონია ბავშვის გაჩენის მოლოდინში იყო. ვერგილიუსი ხოტბას ასხამს ავგუსტუსს, რომლის ახალდაბადებულმა ვაჟმაც კაცობრიობას უნდა დაუბრუნოს ოქროს ხანა, როდესაც ქვეყნიერებაზე აღდგენილი იქნება სამართალი. სკრიბონიას კი ვაჟის ნაცვლად ქალი შეეძინა. დასაბადებელი ბავშვის შესახებ მკვლევართა შორის სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. შესაძლოა, ვერგილიუსმა მართლაც იქადაგა ქრისტეს დაბადება, შესაძლოა, ახლად გაჩენილ ყრმაში მისნობის სახით დაენახათ ავგუსტუს ოქტავიანეს ზეობის ხანაც.

მანანა ღარიბაშვილს ჩვეული ოსტატობით უთარგმნია ვერგილიუსის ეკლოგები. ეს ეკლოგები დაწერილია დაქტილური ჰექსამეტრით, რომლის შესატყვისი ჩვიდმეტმარცვლოვანი სტრიქონიც კარგად მოუნახავს მთარგმნელს.

კვინტუს ჰორაციუს ფლაკუსი (ძვ.წ. 85-8) ერთ დროს უყოყმანოდ იყო მიჩნეული პირველ ლათინურენოვან ლირიკოსად. „ჰორაციუსის ლექსის ძალას მძლავრი რიტმები და სიტყვის ჭედურობა განაპირობებს, ურთულესი, ჯოჯოხეთურად ძნელი საზომების არა მხოლოდ დაძლევა, არამედ სილამაზის ძალზე მაღალ ხარისხში აყვანა“ — აღნიშნავს მანანა ღარიბაშვილი. ჰორაციუსის ლექსების თარგმანებიდან გამოირჩევა მისი ერთ-ერთი, მთელ მსოფლიოში უპოპულარესი შედევრის თარგმანი, რომელიც დიდი ოსტატობით არის შესრულებული:

„ძეგლი აღვიძე უფრო გამძლე,
ბრინჯაო ვიდრე,
აღმატებული პირამიდებს
ყოვლად მეფურებს.
ღვარცოფიანი მას დელგმები
ვერას დააკლებს,
ვერც აქვილონის მძვინვარება,
ვერც ჟამთა სრბოლა“...

ალბიუს ტიბულუსის (ძვ.წ. 55-18) პოეზია თანამედროვეთაგან ღირსეულად იქნა დაფასებული. ანტიკურ ხანაში ტიბულუსის პოეზია დიდად პოპულარული იყო, მაგრამ შუა საუკუნეებმა იგი სავსებით გადაივიწყა, მხოლოდ აღორძინების ხანიდან იწყება ამ პოეტის ხელახალი აღმოჩენა. მისი მოტივების მიხედვით არაერთი ლექსია შექმნილი. მას ქებით მოიხსენიებენ პოეზიის კორიფეები, მათ შორის გოეთე და პუშკინი — გვამცნობს მთარგმნელი, რომელსაც უთარგმნია მისი რამდენიმე ელეგია, რომლებიც ელეგიური დისტიქით არის შესრულებული. მაგალითად, I ელეგია ასე ჟღერს ქართულად:



„სხვამ დაე, ყვითელი ოქრო აგროვოს,
სიმდიდრე ხაპოს,
ჰქონდეს ურიცხვი მიწა,
არა ერთი და ორი,
ნიადაგ ელოდოს მომხდურს,
მისთვის მზად იყოს მუდამ,
ძილშიც ფხიზლობდეს უნდა,
ყურში ბუკის ხმა ედგას.
და მე კი ღარიბულ ბილიკს მინდა,
რომ გავუყვე მშვიდად,
ოღონდ კერაში ენთოს
და იტკაცუნოს ცეცხლმა.
თავადვე ჩავყრიდი ვაზებს — ისე,
ვით შეჰფერის გლეხკაცს
და მოვიწევდი ნაყოფს —
ხილს დიდრონსა და წვნიანს“.

პოეტი-ელეგიკოსი, რომლის შემოქმედებაც ელეგიური დისტიქის გარდა სხვა ფორმებსა და საზომებს არ ცნობს და რომლის პოეზიის ცენტრალური თემაც სიყვარულია, არის სექსტუს პროფერციუსი (ძვ.წ. 50-15). თარგმანთა შორის გამოირჩევა მისი I ელეგია მესამე წიგნიდან, რომელიც ასე იწყება:

„კოსელ ფილეტასის აჩრდილს,
კალიმაქოსის სულს შევთხოვ,
მაგ თქვენს ჭალაში მინდა,
ერთხელ შემოვდგა ფეხი.
პირველი ქურუმი მე ვარ,
ღვთაებრივ წყაროს წყალს შევსვამ,
ბერძნულ სიმღერის ჰანგზე
მე იტალიურს შევქმნი“.

ყველაზე პოპულარული რომაელი ელეგიკოსი პუბლიუს ოვიდიუს ნაზონი (ძვ.წ. 43-ახ.წ. 18) ოქტავიანეს ეპოქის მესამე დიდი პოეტია. მისი ლიტერატურული მოღვაწეობის პირველ პერიოდს ეკუთვნის ეროტიკული თემატიკის კრებულები Amores (ტრფობანი), Ars amatoria (სიყვარულის ხელოვნება) და Remedia Amoris (სიყვარულის წამალი), ასევე გალექსილი ტრაქტატი „ქალის ნელსაცხებელთათვის“ (De medicamin a faeiei feminae) და „ჰეროიდები“ — გმირი ქალების მიერ სატრფოებისადმი ან ქმრებისადმი მიწერილი წერილები. ოვიდიუსის მოღვაწეობის მეორე პერიოდს ეკუთვნის მისი პოემა „მეტამორფოზები“ (გარდაქმნანი), რომელიც 15 წიგნისაგან შედგება და რომელშიც მხატვრული სახეების მეშვეობით მოთხრობილია კაცობრიობის ისტორია. აქ მოთხრობილია ადამიანთა გარდაქმნის შესახებ მცენარეებად ან ცხოველებად. ეს პოემა ოვიდიუსმა 40 წლის ასაკში დაწერა. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე პოემა „ფასტები“ და გადასახლებაში შექმნილი „ნაღვლიანი ელეგიები“ (Tristia), ასევე „წერილები პონტოდან“ (Epistule exponto), ორი პოემა — პოემა ინვეკტივა „იბისი“ და „მეთევზეობისათვის“ (Halieutica), რომლის მხოლოდ ნაწყვეტებია ჩვენამდე მოღწეული. მანანა ღარიბაშვილი აღნიშნავს: „ოვიდიუსის პოეტური ოსტატობა ძალიან მაღალია, სალექსო სიტყვასა და სტრიქონს თამაშ-თამაშით იმორჩილებს, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ეს მართლა თამაშია, ლაღი, მსუბუქი, მოხდენილი. იგი პირველაღმომჩენი არ არის, ნიჭიერი მემკვიდრეა. ეს არავითარ შემთხვევაში, ეპიგონობას არ ნიშნავს, იგი სავსებით ორიგინალური პოეტია, ჭეშმარიტად დიდი პოეტია“. წინამდებარე წიგნში შეტანილია ელეგიები წიგნიდან „ტრფობანი“, „ნაღელნი ელეგიებიდან“ წიგნი I, ელეგია XI, წიგნი III — ელეგია II და „წერილები პონტოდან“ (წიგნი II, ატიკუსს; წიგნი IV — სევერუსისადმი). წიგნიდან „ტრფობანი“ X ელეგია ასე მთავრდება:

„მე კიდევ ერთი რამ მინდა —
ვენუსის ბრძოლებში მოვკვდე,
ჩემს საყვარელთან ვიწვე,
გამძვრეს ტრფობაში სული
და ვიღაც ქვითინით იტყვის,
როდესაც დამაყრის მიწას:
„როგორი კაციც იყავ —
ისე კაცურად მოკვდი!“

და ბოლოს, მარკუს ვალერიუს მარციალისი (ახ.წ. 40-104), რომლის პოეტური მემკვიდრეობა ვრცელი და მრავალფეროვანია, მაგრამ მისი თხუთმეტივე წიგნი მხოლოდ ეპიგრამის ჟანრს მიეკუთვნება. მთარგმნელის თქმით, მარციალისის ეპიგრამების უდიდესი ნაწილი სატირული ხასიათისაა, ზოგი მათგანი გესლიანია, ზოგიც ლაღი და მხიარული. პოეტი არ ერიდება არანაირ თემატიკას, რა საჩოთირო და მდაბალიც არ უნდა იყოს და ბილწსიტყვაობის მაგალითებიც იშვიათი არ არის. მარციალისის ეპიგრამები მისი წინამორბედებისაგან განსხვავდება მეტრული მრავალფეროვნებითაც. ტრადიციულად ეპიგრამა ელეგიური დისტიქით იწერებოდა, მან კი სხვა საზომებიც ჩართო: ჰექსამეტრი, იამბური ტრიმეტრი, ფალეკოსის თერთმეტმარცვლიანი საზომი, ქოლიამბი. მთარგმნელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისეულ თარგმანებში ეს მეტრული მრავალფეროვნება შენარჩუნებულია, ისევე, როგორც სკაბრეზი (იხ. I 35). მარციალისს საკუთარი საფლავის ქვის ეპიგრამაც კი დაუწერია:

„აქ არის იგი —
მონდომებით ვისაც კითხულობ,
მარციალისი —
მიწის პირზე სახელგანთქმული,
ეპიგრამათა ჭრელ-ჭრელი
და ბასრი წიგნებით,
ვისაც, მკითხველო, თავგაკლულო,
პატივს მიაგებ,
ჯერ ისევ ცოცხალს და
ცნობიერს იმ პატივს უძღვნი,
სიკვდილის მერეც
ბევრ პოეტს რომ არ ღირსებია“.

„რომაული ლირიკის მწვერვალები“ ანტიკური ლიტერატურით დაინტერესებული მკითხველისათვის სამაგიდო წიგნია, მითუმეტეს, რომ მასში შესული თარგმანების დიდი ნაწილი პირველად აჟღერდა ქართულად.

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი
რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
ISSN 2346-7940
9 772346 794004